პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრობ) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—26
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 8, ტელეფონი № 8—81.
ხელისმომწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის წინ—80 კ. ბონპარელის სტრიქონი. ტექსტის შემდეგ—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის წინ—1 მ. 50 კ.; ტექსტში—3 მ.; განმეორებულ განცხადების ფასი იკლებს 10% საქალაქო განცხადებები. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შემდეგ—შეღავათი შეთანხმებით მთ. კანტორაში. განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სადღესასწაულო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 20 დეკემბერი, 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 294 (2337)

დღიური

- ამერიკა წინააღმდეგია ერთა ლიგის ჩარევისა ბოლივია-პარაგვაის კონფლიქტში.
- 10 იანვარს პეკინში შესდგება სრ. ჩინეთის ანტი-იაპონური კონფერენცია.
- პოლიტპატიმართა შიმშილობა რიგის ცენტრ. ციხეში.
- პორტუგალიის ახალ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია კვინტეო მოირელი.
- საბჭოთა კავშირის კონსულების დანიშვნა სპარსეთში
- ბულორუსიის საბჭოთა რესპუბლიკის 10 წლის თავი.

მრეწველობა და სოფლის მეურნეობა

სოციალისტური მშენებლობის ყოველ ახალ საფეხურზე, საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრების ყოველი ახალი მოვლენის დროს ხელახლა თავს იჩენენ ხოლმე სამეურნეო მშენებლობის ის ზოგადი საკითხები, რომლებიც თითქოს უკვე გადაწყვეტილი არიან. ასეთია, პირველ ყოვლისა და უმთავრესად, ქალაქისა და სოფლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კავშირის პრობლემა, ხოლო კლასობრივი თვალსაზრისით — მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობის პრობლემა. მაგრამ ეს სრულებითაც იმას არ გულისხმობს, რომ ამ ზოგად პრობლემათა გარკვეულ დროს შეიძლება დავჯერდეთ საკითხების ზოგადად დასმას და წინ არ გადავდგათ ნაბიჯი წარსულთან შედარებით. პირიქით, უმთავრესი ის არის, რომ ახალი პირობების თვალსაზრისით, გავაშუქოთ ეს ზოგადი, დღემდე გადაუჭრელი საკითხები. ჩვენს ამოცანას ის შეადგენს, რომ ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის პრობლემაში დავინახოთ სპეციფიური მხარე, რომელსაც ახალი მდგომარეობა ჰქმნის.

ქალაქისა და სოფლის, მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობის პრობლემა ამჟამად რეკონსტრუქციის პირობებშია დაყენებული. რეკონსტრუქციის პირობები კი თვალსაჩინოდ ართულებენ მას. ქალაქისა და სოფლის პრობლემას რეკონსტრუქციის პერიოდში და აქედან გამომდინარე უმთავრეს ამოცანებს ვრცლად და საფუძვლიანად განმარტავს პარტიის ც. კ.-ის პლენუმის რეზოლიუცია „სახალხო მეურნეობის 1928—29 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ". რადგან ამ საკითხებს გადამჭრელი მნიშვნელობა აქვთ ჩვენს მუშაობაში, ამიტომ პარტიის ყოველი წევრი და სოციალიზმის ყოველი შეგნებული მშენებელი მოვალეა მალმალე დაუბრუნდეს ამ რეზოლიუციას, კეთილსინდისიერად შეისწავლოს იგი და უხვად გამოიყენოს რეზოლიუციის მითითებანი პრაქტიკულ მუშაობაში.

რა ახასიათებს ამჟამად ყველაზე მეტად მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ურთიერთობას? ყველაზე უფრო დამახასიათებელია ის, რომ სოფლის მეურნეობა მეტის-მეტად ჩამორჩება მრეწველობის განვითარებას, სახალხო მეურნეობის თანდათან გადიდებულ მოთხოვნილებებს. რეზოლიუციის სიტყვით რომ ვსთქვათ, „საფრთხე (სოციალისტური მშენებლობისათვის) ბოლოსა და ბოლოს მოქცეულია სოფლის მეურნეობისა და, განსაკუთრებით, მარცვლეული სექტორის განვითარების მეტისმეტ ჩამორჩენილობასა და ნელ ტემპში".

„მრეწველობის განვითარებისა და სასოფლო - სამეურნეო ბაზის შემდგომი გათიშვის საფრთხე მიმდინარე მომენტის მთავარი საფრთხეა". სასურსათო, საექსპორტო და სხვა დღევანდელი სიძნელეების საფუძველს წარმოადგენს სწორედ ეს ჩამორჩენილობა და სოფლის მეურნეობის ნელი განვითარება. ეს ჩამორჩენილობა გავლენას ახდენს მრეწველობაზე ნედლეულის სიმცირითაც, რაც ზღუდავს მსუბუქი ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებას. თუმცა სოფლის მეურნეობის ტეხნიკურ კულტურათა ზრდა საკმაოდ სწრაფად ხდება, მაგრამ მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ის უდიდესი მოთხოვნილებანი, რომლებსაც სოფლის მეურნეობას უყენებენ ინდუსტრიალიზაციის სწრაფი წინსვლა, მრეწველობის გაშლა - განვითარება, ქალაქების ზრდა და სხვა. ამიტომ დღევანდელი პერიოდის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სოფლის მეურნეობისა და, განსაკუთრებით, მისი მარცვლეული სექტორის განვითარების ტემპის გაძლიერება.

მაგრამ აქედან განა ის გამომდინარეობს, რომ მეორე რიგში უნდა დავაყენოთ მრეწველობის ამოცანები, ამოცანები მისი რეკონსტრუქციისა და ზრუნვა იმაზე, რომ მრეწველობის შემდგომი განვითარება სწრაფი ტემპით სწარმოებდეს? არავითარ შემთხვევაში. ასეთი დასკვნა უაღრესად ოპორტუნისტული და დამღუპველი იქნებოდა.

საქმის მდგომარეობა კი სულ სხვანაირია და სხვანაირიც უნდა იყოს. სწორედ იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობა მეტისმეტად ჩამორჩენილია და მიმდინარე მომენტს ეს ჩამორჩენილობა ახასიათებს, კიდევ უფრო მკვეთრად და ნათლად უნდა აღინიშნოს ჩვენი ამოცანები მრეწველობისა და მისი რეკონსტრუქციის დარგში. მრეწველობის ხელმძღვანელი როლი კიდევ უფრო მკაფიოდ უნდა მოჩანდეს და უფრო ცხადად უნდა იჩენდეს თავს. სოფლის მეურნეობის გაძლიერება და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის თვალსაჩინო აჩქარება დამოკიდებულია მრეწველობაზე, იგი მოითხოვს სამრეწველო წარმოებისა და, განსაკუთრებით, საწარმოო საშუალებათა წარმოების თვალსაჩინო განვითარებას. სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდება უმთავრესად დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო იარაღის, მანქანების და სასუქების წარმოების შეუფერხებელ განვითარებაზე. „მძიმე ინდუსტრია და საწარმოო საშუალებათა წარმოება მთელი სახალხო მეურნეობისა და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის მთავარი იარაღია. სწორედ საწარმოო საშუალებათა წარმოებაა და მძიმე მრეწველობის განვითარებაა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დასაყრდენი პუნქტი" (პლენუმის რეზოლიუციიდან).

ჩვენ სრული ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ახლანდელი მდგომარეობისა და 1921 წლის მდგომარეობას შორის. მაშინ სოფლის მეურნეობის გაძლიერება და განსაზღვრულ სანედლეულო და სასურსათო მარაგის დაგროვება წინასწარ პირობას წარმოადგენდა იმ მსხვილი მრეწველობის განვითარებისათვის, რომელიც უაღრესად განადგურებული და დარღვეული იყო. ახლა ჩვენ გვაქვს საკმაოდ მძლავრი მსხვილი მრეწველობა, რომლის ხელმძღვანელი და გარდამქნელი როლი დღითი-დღე ემჩნევა მთელ სახალხო მეურნეობას.

ჩვენი შესაძლებლობანი უდიდესად გაიზარდნენ. საკმარისია გავიხსენოთ შემდეგი ციფრები: 1925—26 წელს სოფ. მეურნეობის საერთო პროდუქცია უდრიდა 17.370 მილ. მან., მრეწველობის საერთო პროდუქცია—12.448 მილ. მან., 1928-29 წ. სოფ. მეურნეობის საერთო პროდუქცია უდრის 18.624 მილ მან., მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია—19,040 მილ. მანეთს.

სოფლის მეურნეობა მრეწველობის ბაზაა და სოფლის მეურნეობის ზრდა არის „ინდუსტრიალიზაციის სასურსათო და სანედლეულო ბაზის ზრდა. ინდუსტრიის ხანგრძლივი ზრდა ობიექტიურად შეუძლებელი იქნება, თუ სათანადოდ არ გაიზრდება სოფლის მეურნეობა". ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ბაზა კი ამჟამად ვიწროა. მისი გაფართოვება მოითხოვს მრეწველობის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებას. მრეწველობის განვითარების ტემპი კი არ უნდა შევანელოთ, არამედ უნდა ვიბრძოლოთ ამ ტემპის შენარჩუნებისათვის და ამავე დროს გავაძლიეროთ და დაუახლოვოთ მას სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი.

1929 წლის ერთ-ერთ გადამწყვეტ და უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ნათესი სივრცის გაფართოვება 7 პროცენტით და მოსავლიანობის გადიდება 3 პროცენტით. მომავალ წელს უკვე უნდა გადავდგათ ნაბიჯი წინ სამეურნეო მშენებლობაში არსებულ სიძნელეთა ყველაზე უფრო ღრმა მიზეზების აღმოსაფხვრელად. ჩვენი ცნობების მიხედვით კი შემოდგომის ნათესის სივრცე საერთოდ უცვლელი რჩება შარშანდელთან შედარებით. ამიტომ გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს ჩვენი ქვეყნის წინაშე სერიოზული, ძნელი და რთული ამოცანები ისახება.

ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ცოცხალი ძალებისა და საშუალებების ისეთი მობილიზაცია, რომელმაც ნამდვილად უნდა გადასწყვიტოს სოფლის მეურნეობის განვითარების კონკრეტული ამოცანები. საჭიროა მივიღოთ სათანადო ღონისძიებანი და გლეხობის მთავარ მასას — საშუალო და ღარიბ გლეხებს — განუმტკიცოთ სამეურნეო სტიმულები. ჩვენ უნდა დავძლიოთ კულაკების აგიტაცია ნათესის გაფართოვების წინააღმდეგ. გასაზოგადოებული სექტორის ისეთ ზრდას უნდა მივაღწიოთ სოფლად, რომ არა თუ ავინაზღაუროთ კულაკების ნათესის შემცირება, არამედ თვალსაჩინოდ გავადიდოთ კიდეც სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია. ის ყურადღება, რომელსაც პარტიული და საბჭოთა ორგანოები იჩენენ მოსავლიანობის გადიდების საკითხებისადმი, არ შეეფერება ამ რთულსა და გადაუდებელ ამოცანას. ამ საქმეში გარდატეხა უნდა მოვახდინოთ და მახლობელი თვეების განმავლობაში ენერგიული მუშაობა გავაჩაღოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ნათესი სივრცის შვიდი პროცენტით გაფართოვება და მოსავლიანობის სამი პროცენტით გადიდება, 1929 წელს აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

ძნელია და რთული მრეწველობის დარგის ამოცანები. დასახული გეგმის თანახმად, ჩვენ რამოდენადმე ვაჩქარებთ კიდეც მრეწველობის განვითარების ტემპს განვლილ წელთან შედარებით. კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა საკმაოდ თვალსაჩინოდ იზრდება. ჩვენ უნდა შევასრულოთ ეს გეგმა. მაგრამ იგი მოითხოვს მუშაობის ღირსების თვალსაჩინოდ გაუმჯობესებას. სამრეწველო განვითარების გეგმა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ გაუმჯობესდება მუშაობის ღირსება, რის გამოხატულებასაც წარმოადგენს პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

1928—29 წლის განმავლობაში თვითღირებულება უნდა შემცირდეს 7 პროცენტით მაინც შარშანდელი 5 პროცენტის ნაცვლად. ეს მოითხოვს სარაციონალიზაციო მუშაობის უდიდეს განვითარებას და გაღრმავებას მრეწველობის მთელ ფრონტზე, მუშათა ფართო მასების შემდგომ ჩაბმას მშენებლობაში, უდიდესი ენერგიის გამოჩენას, შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმის თავდადებულ ერთგულებას და გამხრწნელი და ენერგიის მომდუნებელი ელემენტების ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას.

მაგრამ პარტიამ მრეწველობას ამოცანად დაუსახა, რომ დამატებით განვითარდეს წარმოება გეგმის გარეშე. ეს დამატებითი განვითარება, გეგმის 3—4 პროცენტამდე, საშუალებას მოგვცემს, რომ სოფელს მივაწოდოთ საქონლის დამატებითი რაოდენობა ([illegible]). სამრეწველო წარმოების ეს დამატებითი განვითარება გაგვიადვილებდა სოფლის მეურნეობის გაძლიერების დაჩქარებას. ხოლო სოფლის მეურნეობის გაძლიერების ამოცანა ამ წლის უმთავრესი და უდიდესი ამოცანაა.

ეს პასუხსაგები და რთული ამოცანები მხოლოდ მაშინ გადაწყდება, თუ მთელ ჩვენ ძალღონეს მართლაც მოვახმართ მათ. ჩვენ უზრუნველვყოფთ სოციალიზმის შემდგომ ზრდას იმ შემთხვევაში, თუ იდეურად სრულიად გარკვეული ვიქნებით, თუ შეუნელებელ იდეურ ბრძოლას ვაწარმოებთ ლენინური ხაზისაგან ყოველგვარი მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრის წინააღმდეგ, თუ განვაგრძობთ მემარჯვენე, აშკარად ოპორტუნისტული საფრთხის იდეურ მხილებას.

„პრავდა", 10 დეკემბერი.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს

სპარსული გაზეთი „ტუფან"-ი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

უთანხმოება ნანკინის მთავრობასა და ჩჟან-სიუი-ლიანს შორის

გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

მოსკოვი, 19 დეკემბერი. გაიმართა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ეკონომიური კონფერენციის მესამე პლენარული სხდომა.

დღევანდლამდე პლენარულ სხდომებს მიღებული ჰქონდათ შემდეგი საკითხების საბოლოო ფორმულები: სამრეწველო საკუთრების დაცვა, სამედიატორო სასამართლოები, ზღვაოსნობა, ორივე სახელმწიფოებში შესვლისა და გამოსვლის საკითხი და ეკონომიური ურთიერთობა.

უფლებრივმა და ეკონომიურმა კომისიებმა უკვე დაამთავრეს თავისი პროგრამა.

პლენარული სხდომის შედეგები შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. კონფერენციის მუშაობა მალე დამთავრდება. (ადს).

დარბაზობა გერმანიის საელჩოს ბინაზე

მოსკოვი, 19 დეკემბერი. 18 დეკემბერს გერმანიის დელეგაციის მეთაურმა პოსემ დარბაზობა გამართა გერმანიის საელჩოს ბინაზე. დარბაზობას დაესწრნენ ამხ. ლიტვინოვი, საბჭოთა დელეგაცია, რომელიც გერმანიასთან მოლაპარაკებას აწარმოებს, ამხ. სტომონიაკოვის მეთაურობით გერმანიის დელეგაცია, გერმანიის საელჩო გერმანიის რწმუნებულის გაუს მეთაურობით, საბჭოთა კავშირის ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. განეცკი, აგრეთვე გერმანიის სავაჭრო-სამრეწველო წრეების და გერმანიის პრესის წარმადგენლები (ადს).

ბოლივია-პარაგვაის კონფლიქტი

ვაშინგტონი, 18 დეკემბერი. კელოგმა განაცხადა, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს არა აქვთ განზრახვა ჩაერიონ ბოლივიასა და პარაგვაის შორის წარმოშობილ კონფლიქტში. ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობას, ალბად, განზრახვა აქვს იმოქმედოს პანამერიკული საარბიტრაჟო კონფერენციის საშუალებით. ამით სურს თავიდან აიცილოს შეტაკება მონროეს დოქტრინასა და ერთა ლიგას შორის.

ამერიკული პრესა ერთა ლიგის ჩარევის წინააღმდეგია. გაზეთი „ჯორნელ ოფ კომერსი" ხაზს უსვამს ერთა ლიგის უძლურებას ამ კონფლიქტში, რომელიც წარმოიშვა ერთა ლიგის ორ წევრს შორის. (ადს).

ერთა ლიგა ცდილობს

პარიზი, 18 დეკემბერი. ჰავასი იუწყება, რომ ბრიანმა ერთა ლიგის გენერალურმა მდივანმა დრუმონდმა, აგრეთვე ესპანეთისა და იაპონიის წარმომადგენლებმა განიხილეს კონფლიქტი ბოლივიასა და პარაგვაის შორის. ბრიანმა მიიღო ბოლივიის და პარაგვაის ელჩები და ჩრდ. ამერიკის შეერ. შტატების საქმეთა რწმუნებული. ბრიანმა მოითხოვა მშვიდობიანი საშუალების გამონახვა კონფლიქტის მოსაგვარებლად და განაცხადა, რომ ერთა ლიგის საბჭო წინასწარ შეეცდება კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტასო. (ადს).

ბრიანი თათბირობს

პარიზი, 18 დეკემბერი. ჰავასი იუწყება: „18 დეკემბერს ბოლივიისა და პარაგვაის ელჩებმა ბრიანთან თათბირის დროს კვლავ გაიმეორეს თავიანთი მშვიდობიანი განზრახვები. ბრიანმა მიიღო ბრაზილიისა და სამხრეთ-ამერიკის სხვა სახელმწიფოების ელჩები, რომელთაც გამოსთქვეს სრული კმაყოფილება ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარის განცხადების გამო და იმედი, რომ კონფლიქტი ახლო მომავალში მშვიდობიანის გზით გადაიჭრება" (ადს).

საფრანგეთს აინტერესებს მდგომარეობა ბოლივიაში

პარიზი, 18 დეკემბერი. ჰავასი იუწყება: „საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ბერტელო რადიო-ტელეფონით შეეკითხა საფრანგეთის ელჩს ბუენოს-აირესში მდგომარეობის შესახებ ბოლივიაში. ამავე დროს ბერტელომ აცნობა ელჩს ბრიანის, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის და ერთა ლიგის საბჭოს მორიგი თავმჯდომარის, უკანასკნელი ინსტრუქციები (ადს).

სპარსული გაზეთი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

თეირანი, 18 დეკემბერი. გაზეთი „ტუფან"-ი კომენტარიებს უკეთებს ჩერჩილის მდივნის ბუტბის სიტყვას და სწერს:

„ინგლისი, რომელიც ყოველთვის ყოველ ღონისძიებას მიმართავდა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, ეხლა ეკონომიური მოსაზრებებით იძულებულია განაახლოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან". (ადს).

აჯანყება ავღანისტანში

სტამბოლი, 18 დეკემბერი. გაზეთ „მილიეტ"-ში დაბეჭდილია წერილი ავღანისტანის ამბების შესახებ. წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„წინააღმდეგ საეჭვო წყაროების [illegible] ცნობებისა **რეაქცია ავღანისტანში მარცხდება.** თურქეთის უდიდესი პრესტიჟი მაგალითს წარმოადგენს მოძმე ავღანისტანისა და აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებისათვის. სხვა ქვეყნების ახალგაზრდობა ჩვენს გამოცდილებაზე იზრდება. აღტაცებას იწვევს ის, რომ სახელმწიფოს ბელადი, აბსოლიუტიზმის მოსასპობად იბრძვის".

ლონდონი, 18 დეკემბერი. დელიდან რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ: „ავღანისტანიდან მიღებული ცნობებით, ხმებია, რომ აჯანყებულებმა დაიკავეს ორი ფორტი, რომელიც ზედ დაჰყურებს დედა-ქალაქს. აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს დიდძალი იარაღი და ამუნიცია. ისინი უცდიან დამხმარე ძალებს, რომ შეტევა განაგრძონ. მიღებულია ცნობა, რომ ინგლისის თვითმფრინავი, რომელსაც ინგლისის მისიასთან კავშირის დამყარება უნდოდა, იძულებული შეიქნა დაშვებულიყო. როგორც სჩანს, ის დაიშვა ქაბულის მახლობლად. ჯერ არ არის გამორკვეული, თუ, სახელდობრ, რა ადგილას დაეშვა თვითმფრინავი და აგრეთვე ისიც, დაიღუპნენ თუ არა მფრინავი და მეთვალყურე.

დელიდან უფრო გვიან მიღებული ცნობების თანახმად, ინგლისის თვითმფრინავი ქაბულზე გადაფრინდა და დაბრუნდა ცნობით, რომ ინგლისის მისიაში ყველაფერი რიგზეა".

იაპონია და ჩინეთი

იაპონიის მთავრობის პოლიტიკის შედეგები

ტოკიო, 18 დეკემბერი. ოპოზიციონურმა პარტიამ მინსეიტომ გამოაქვეყნა ბროშურა, რომელშიაც გადაჭრით იგი ჰკიცხავს ეხლანდელი მთავრობის პოლიტიკას ჩინეთში.

ბროშურაში აღნიშნულია, რომ ის საკითხები, რომლებიც იაპონიას აინტერესებენ მანჯურიას და შიდა მონღოლეთში, მთავრობის შემცდარი პოლიტიკის წყალობით, აღარ წარმოადგენენ იაპონიის საკითხებს; ისინი საერთაშორისო ხასიათის საკითხებად გადაიქცნენო.

ბროშურა აკრიტიკებს მთავრობის პოზიციას ეგრედ წოდებულ „ინგლის-იაპონიის ანტანტის" საკითხში და აცხადებს, რომ „იაპონიას არ ესაჭიროება ინგლისის დახმარება, ის თავისი გზით უნდა მიდიოდეს"-ო.

დასასრულ, ბროშურა აღნიშნავს, რომ ეხლანდელი მთავრობის პოლიტიკის წყალობით, მთელი მსოფლიო ეჭვის თვალით უყურებს იაპონიას, ამავე პოლიტიკამ გამოიწვია ჩინეთში ანტი-იაპონური მოძრაობა, იაპონიის ჯარის შესანახად ჩინეთში 700 მილ. იენის დახარჯვა და 40.000 ჯარისკაცის მობილიზაცია.

„ერთად-ერთ გზას იაპონია-ჩინეთის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად,—აღნიშნულია, დასასრულ, ბროშურაში,—წარმოადგენს ეხლანდელი კაბინეტის დამხობა" (ადს).

პრესა ტოკონამის მისიის შესახებ

ტოკიო, 18 დეკემბერი, პრესა განაგრძობს წერილების ბეჭდვას ტოკონამის ჩინეთში გამგზავრების შესახებ (ტოკონამი ბელადია სინტო-კურაბუს პარტიისა, რომელიც მხარს უჭერს მთავრობას). პრესა დაჟინებით იმეორებს ხმებს იმის შესახებ, რომ ტოკონამი იაპონიის მთავრობის ემისარია, რომელსაც მინდობილი აქვს ჩინეთთან შეთანხმების პირობების გამორკვევა.

გაზეთის გადმოცემით, ტოკონამი იმ აზრისაა, რომ იაპონიამ შანდუნიდან ჯარი გაიყვანოს, სამაგიეროდ ჩინეთმა იაპონიას მანჯურია უნდა დაუთმოს (ადს).

სრულიად ჩინეთის მეორე ანტი-იაპონური კონფერენცია

პეკინი, 18 დეკემბერი. 10 იანვარს პეკინში შესდგება სრულიად ჩინეთის ანტი-იაპონური კონფერენცია. (ადს).

გომინდანში ეპატიჟებიან

პეკინი, 18 დეკემბერი. გოვენის სააგენტოს ცნობით, **ჩჟან-სიუეი-ლიანმა** წინადადებით მიმართა პეკინის სამხედრო აკადემიის 90 მუკდენელ სტუდენტს—შევიდენ გომინდანის ორგანიზაციაში. სააგენტოს ცნობით, ჩჟან-სიუეი-ლიანმა განაცხადა, რომ უახლოეს დროში მიმართავს მანჯურიის ყველა სამხედრო და სამოქალაქო პირებს—შევიდნენ გომინდანში. (ადს).

ჩჟან სიუე ლიანი არ ემორჩილება ნანკინის ბრძანებას

პეკინი, 18 დეკემბერი. პრესის ცნობით, ჩჟან სიუე-ლიანმა უარი განაცხადა დაუბრუნოს ნანკინის მთავრობას პეკინ-მუკდენის რკ. გზის მოძრავი შემადგენლობა იმ დრომდე, სანამ არ გადაიჭრება ის პოლიტიკური საკითხები, რომლებიც მანჯურიას ეხებიან. (ადს).

„ზეცის ჭიშკრელებმა" განაახლეს სამხედრო მოქმედება

პეკინი, 18 დეკემბერი. გოვენის სააგენტოს ცნობით, გლეხთა საიდუმლო საზოგადოების „ზეცის ჭიშკარი"-ს რაზმებმა დეკემბერში განაახლეს სამხედრო მოქმედება და დაიჭირეს სამაზრო ქალაქი ლინსიანი, ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში. სააგენტოს ცნობით, ფინ-იუი-სიანი წინადადებას იძლევა—გაგზავნილ იქნეს დამსჯელი ექსპედიცია. (ადს).

ჰოლანდიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიის კონფერენცია

ბერლინი, 18 დეკემბერი. ამსტერდამიდან მიღებული ცნობით, მემარცხენე სოციალ-დემოკრატიის სრულიად ჰოლანდიის მესამე კონფერენციამ 50 ხმით 38-ის წინააღმდეგ მიიღო ყოფილი კომუნისტის კოდტის მიერ შედგენილი თეზისები. თეზისები მოითხოვენ მთლიანობას მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით. 38 დელეგატმა, მათ შორის ედო ფიმენმა ხმა მისცა თეზისების წინააღმდეგ. ისინი მოითხოვენ კომინტერნის და პროფინტერნის ცნობას. კონფერენციამ ერთხმად მიიღო თეზისები, რომლებიც ითვალისწინებენ საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას იმ შემთხვევაში, თუ ომი დაიწყო. (ადს).

გენერალ ლერონ'ს მოგზაურობის მიზანი

პრაღა, 18 დეკემბერი. საღამოს გაზეთი „ვეჩერ"-ი (მთავრობის უძლიერესი პარტიის, აგრარიების ორგანო) წერილში „საბჭოთა კავშირის (ვითომ) იმპერიალიზმის შესახებ" ადასტურებს ბუქარესტიდან „ბერლინერ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტის მიერ გადმოცემულ ცნობებს. ეს ცნობები ხსენებულ გაზეთში დაბეჭდილი იყო გენერალი ლერონის მოგზაურობასთან დაკავშირებით.

„ვეჩერ"-ი ამტკიცებს, რომ იმ ღონისძიებებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოები ატარებენ ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში, ვითომ საბჭოთა კავშირის მხრივ თავდასხმის საფრთხის გამო, ანტი-საბჭოთა ბლოკის შექმნა უნდა მოჰყვესო.

„საფრანგეთმა,—სწერს გაზეთი,—მიავლინა ლერონი ნამდვილი მდგომარეობის გასათვალისწინებლად და ყველა გამოსვლათა კოორდინაციისათვის. ბლოკში შევლენ პოლონეთი, რუმინეთი, სამხრეთ-სლავია, უნგრეთი და ბულგარეთი—ინგლისისა და საფრანგეთის ხელმძღვანელობით. ბლოკში შევა აგრეთვე ჩეხო-სლოვაკიაც" (ადს).

სამხ'დრო აკადემიის ათი წლის თავი

მოსკოვი 19 დეკემბერი. დიდ თეატრში შესდგა საზეიმო სხდომა სამხედრო აკადემიის ათი წლის თავის აღსანიშნავად. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა სამოქალაქო ომის გმირთა და აკადემიის იმ მსმენელთა ხსოვნას, რომელნიც დაიღუპნენ ფრონტებზე. თავისი ადგილი დაიკავეს საპატიო პრეზიდიუმში არჩეულმა ამხანაგებმა სტალინმა, კალინინმა, რიკოვმა, ვოროშილოვმა, მიქოიანმა და სხვებმა, რომელთაც კრებამ მხურვალე ოვაციები გაუმართა. სხდომა გაიხსნა ამხ. ეიდემანის სიტყვით.

„თავისი არსებობის მეორე ათი წლის დასაწყისში,—განაცხადა ამხ. ეიდემანმა,—აკადემია მთავარ მიზნად ისახავს სამოქალაქო და მსოფლიო ომის გამოცდილების შემოწმებას და სამხედრო საქმის შემდგომ განვითარებას. აკადემია განაგრძობს მუშაობას მუშურ-გლეხური წითელი არმიის მაღალი კვალიფიკაციის მეთაურების შესამზადებლად. ისეთი მეთაურებისა, რომელნიც არა თუ არ ჩამოუვარდებიან ბურჟუაზიული ქვეყნების გენერალური შტაბების ოფიცრებს, არამედ აჯობებენ კიდეც მათ".

საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოს სახელით აკადემიას მიესალმა ამხ. უნშლიხტი, რომელმაც გამოაქვეყნა სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოს გადაწყვეტილება აკადემიის ათი წლის თავის აღსანიშნავად. ამ გადაწყვეტილების თანახმად, საუკეთესო შრომებისათვის სამხედრო მეცნიერების დარგიდან დაწესდა სამი ფულადი ჯილდო.

ამხ. უნშლიხტის შემდეგ აკადემიას მიესალმა პროფკავშირების მერვე ყრილობის მიერ საზეიმო სხდომაზე გაგზავნილი დელეგაციის ხელმძღვანელი ამხ. უგაროვი. მთავრობის და პარტიის ცეკას სახელით აკადემიას მიესალმა ამხ. კალინინი, რომელსაც კრება ტაშით შეხვდა.

„საბჭოთა კავშირის მთავრობამ და კომპარტიის ცეკამ დამავალეს,—განაცხადა ამხ. კალინინმა,—მოგესალმებით საზეიმო დღის გამო, მთავრობისა და პარტიის დავალებით, გადმოგცემთ მხურვალე სალამს და გისურვებთ სრულ წარმატებას მუშაობაში, რომელმაც არა ერთი სახელოვანი ფურცელი შეიტანა წითელი არმიის ისტორიაში. საჭიროა [illegible] აკადემიის მსმენელებისა და პროფესორების კიდევ უფრო შეთანხმებული მუშაობა, მოწაფეთა და მასწავლებელთა ნაყოფიერი ძიება, რაც მოგვცემს მაღალ კვალიფიკაციის სამხედრო სპეციალისტების ახალ კადრებს და გაამდიდრებს სამხედრო მარქსისტულ აზროვნებას".

ამხ. პოკროვსკი აკადემიას მიესალმა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის, კომუნისტური აკადემიის და წითელი პროფესურის ინსტიტუტის სახელით.

აკადემიკოსმა ლაზარევმა, რომელიც აკადემიას მიესალმა სამეცნიერო აკადემიის სახელით, თავის სიტყვაში აღნიშნა მეცნიერების უდიდესი როლი სამხედრო საქმეში. ლაზარევმა გამოსთქვა სურვილი, რომ სამეცნიერო აკადემიასა და სამხედრო მეცნიერებას შორის არსებული კავშირი უფრო მეტად განმტკიცდეს მომავალში. სამეცნიერო აკადემია თავის მუშაობაში გასწევს წინ სამხედრო აკადემიასთან ერთად.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი ამხ. ბაუმანი, [illegible] ფაბრიკა „კრასნაია როზა"-ს მუშა-ქალი სერგეევა. საკავშირო ლენინური კომკავშირის ცეკას წარმომადგენელი როზენბერგი, სამხედრო აკადემიის პროფესორები ამხ. გორევი, სვეჩინი და ვაცეტისი.

კრებამ მისალმებები გაუგზავნა პარტიის ცეკას, საბჭოთა კავშირის ცაკ-ს, სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოს და პარტიის მოსკოვის კომიტეტს. (ადს).

მანქანები ჩვენს სასოფლო მეურნეობაში

სასოფლო - სამეურნეო მანქანა-იარაღების სტანდარტიზაციის და ამ საქმის ფართედ და მეცნიერულად დაყენების საჭიროებას ქმნის როგორც არსებულ სას.-სამ. მანქანა-იარაღების ტიპების და მარკების მრავალ-ნაირობა, ისე მათი დამამზადებელ ქარხნების მოწყობის წინადვე გათვალისწინებული ტემპი. ამასვე მოითხოვს სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის და მექანიზაციის ამოცანები და საქართველოს მიწათმოქმედების საჭიროებისათვის მანქანა - იარაღების ტიპების და მარკების მინიმუმის დამყარების აუცილებლობა.

სას.-სამ. მანქანა - იარაღების სტანდარტიზაცია, რომელსაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის, მოითხოვს დიდი მუშაობის ჩატარებას. თავის თავად ცხადია, ამ საქმეს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა იმ დაწესებულებამ და პირმა, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

სას.-სამ. მანქანა - იარაღების სტანდარტიზაციის საკითხი, როგორც საუწყებო საკითხი, აღძრულ იქნა უკვე 1925 წელს, ხოლო ს. ს. რ. კავშირის ცაკის დადგენილებით 1927 წელს იგი ცნობილ იქნა როგორც საკავშირო მნიშვნელობის მქონე და საქმისათვის დაარსებულ იქნა სპეციალური ფონდი, რომელშიაც შედის მოსახლეობაზე გაყიდულ სას.-სამ. მანქ.-იარაღების ღირებულების ნახევარ პროცენტიანი (მიმდინარე წელს ¼ პროცენტიანი) ანარიცხები.

სას.-სამ. მანქანა-იარაღების სტანდარტიზაციისათვის საჭიროა მტკიცედ გამორკვეულ იქნას, რამდენად ეგუებიან სას.-სამ. მანქანა-იარაღები ამა თუ იმ რაიონის ბუნებრივ ეკონომიურ, კულტურულ და ყოფა-ცხოვრების პირობებს; ამასთანავე განსაზღვრულ უნდა იქნას იმ სას.-სამ სამანქანო ინვენტარის ზომა და თვისებები, რომელიც საჭიროა ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

სას.-სამ. მანქანა-იარაღების სტანდარტიზაციის ამოცანების სირთულე და სიდიდე მოითხოვს მრავალნაირ მეთოდებს მათ გადასაწყვეტად. მთელი მუშაობა ამ საქმეში შეიძლება დაიყოს 3 ძირითად ჯგუფად: 1) დარაიონება, 2) უნიფიკაცია და 3) სტანდარტიზაცია. აღნიშნულ მუშაობის ხასიათი მოითხოვს მანქანა-იარაღების მეცნიერულ - ტეხნიკურ გამოკვლევას აგრონომიულ - მექანიკურ თვალსაზრისით, თეორიულ ანალიზს და დასაბუთებას.

ამ მუშაობის შედეგს მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება მრეწველობისათვის და მეტადრე ჩვენი სოფ. მეურნეობისათვის თავდაპირველად ამ მუშაობას შედეგად მოჰყვება სას. სამ. მანქანა-იარაღების ასორტიმენტის შეზღუდვა, ე. ი. ბაზარზე არსებული ერთი სახის სას.-სამ. მანქანა-იარაღების მეტად დიდი მრავალნაირობა შემცირდება და გაჩნდება შედარებით უფრო ერთნაირი მანქანა-იარაღი; ამით ქარხნები შესძლებენ მასიურ წარმოებაზე გადასვლას და მანქანა-იარაღებზე ფასების დიდად დაკლებას. მანქანა - იარაღების ასორტიმენტის შეზღუდვა გაუადვილებს აგრეთვე მუშაობას მანქანა-იარაღების მიმწოდებელ ქსელსაც.

ამ მუშაობის მეორე მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს სას.-სამ. მანქანა-იარაღების გაუმჯობესება, როგორც კონსტრუქტიულ, ისე იმ მასალის ხარისხის მხრივ, რომლიდანაც მზადდება ეს მანქანა-იარაღები.

მესამე მომენტს წარმოადგენს დეტალების ნორმალიზაცია, ე. ი. მანქანის ნაწილი უნდა იყოს სათანადოდ დამზადებული, მტკიცედ განსაზღვრული თვისებებით, გამოსადეგი ერთი მეორის შესაცვლელად, მაშასადამე, იგი უნდა გამოდგეს ყველა მანქანისათვის; ასე, მაგალითად, ერთი და იგივე ფორმის თითი—ან სეგმენტი გამოსადეგი უნდა იყოს ყველა სამკალ მანქანისათვის, ერთი სახნისი ყველა ერთნაირი ზომის გუთნებისათვის. ამის წყალობით მოგებაში დარჩება ქარხანაც, სოფლის მეურნეც და სას.-სამ. მანქანა-იარაღების გამყიდველი ორგანიზაციაც. დეტალების ნორმალიზაცია გარდა ამისა შესამჩნევად გაამარტივებს და გააადვილებს სათადარიგო ნაწილებით მანქანა-იარაღების მომარაგების საქმეს.

ჩვენ ამ მხრივ, სამწუხაროდ, ძლიერ ჩამოვრჩით სხვა ქვეყნებს. ამიტომ ჩვენში დიდძალი თანხები იხარჯება არანაყოფიერად. სას.-სამ. მანქანა-იარაღების სტანდარტიზაცია მეტად დიდ ეკონომიას მოგვცემს როგორც ფულადი თანხების, ისე სას.-სამ. საწარმოების საშუალებებისას, რაც თავის მხრივ დააჩქარებს და გააძლიერებს ჩვენი სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის ტემპს.

ამჟამად საქართველოს ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი აწარმოებს სტანდარტიზაციის ერთ-ერთ ძირითად სამუშაოს—სას.-სამ. მანქანა-იარაღების დარაიონებას, რისთვისაც გაიგზავნა სპეციალური ექსპედიცია, რომელიც მუშაობს ორი მიმართულებით: ერთი მხრივ სწარმოებს ნიადაგის, ხოლო მეორე მხრივ ბუნებრივი, ისტორიული, აგრონომიული და ეკონომიური პირობების გამოკვლევა. ამასთანავე ერთად აგრონომიული ქსელის დახმარებით წარმოებს საანკეტო გამოკვლევა, იმ მიზნით, რომ გაშუქებულ იქნას მთელი სურათი ჩვენი სოფლის მეურნეობის სას.-სამ. მანქანა-იარაღებით მომარაგებისა, მისი ნაკლი და სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებანი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დაწყებულ საქმეს ფრიად სერიოზული მნიშვნელობა აქვს და ის ერთ-ერთ ძირითად და აქტუალურ მუშაობას წარმოადგენს ჩვენი სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის: ადგილობრივმა მუშაკებმა ეს ნათლად უნდა შეიგნონ და ბეჯითი მონაწილეობა მიიღონ სას.-სამ. მანქანა-იარაღების დარაიონების და სტანდარტიზაციის ჩასატარებელ მუშაობაში, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინებას.

ს. ჯულელი.

პროფკავშირების სრულიად საკავშირო ყრილობა

კამათი ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 19 დეკემბერი. 18 დეკემბერს პროფკავშირთა ყრილობის დილის სხდომაზე დამთავრდა კამათი ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. კაგანოვიჩმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩვენი მრეწველობის რაციონალიზაციის დარგში ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტაა გაკეთებული. ამხ. კაგანოვიჩი შეეხო პროფკავშირების მონაწილეობის საკითხს რაციონალიზაციის საქმეში და განაცხადა, რომ თუ კავშირების ცალკე ცენტრალურ კომიტეტებში არიან ისეთი პირები, რომელნიც მუშაობენ ამ საკითხებზე, სამაგიეროდ ადგილებზე პროფორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მათ და არ ეხმარებიან სამეურნეო მუშაკებს ცენტრიდან მიღებული დირექტივების გატარებაში.

კამათის დროს თითქმის ყველა დელეგატი შეეხო საბჭოთა აპარატის გაწმენდის საკითხებს. დელეგატთა უმრავლესობა საჭიროდ სთვლიდა საბჭოთა აპარატის გადაჭრით გაწმენდას, საბჭოთა სახელმწიფოსთვის უცხო და მტრული ელემენტების გაძევებას აპარატიდან. დელეგატები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ხშირად სამსახურიდან დათხოვნილი ბიუროკრატები, ყოფილი ჩინოვნიკები და მღვდლები მაშინვე ეწყობიან სხვა დაწესებულებაში. საჭიროა ამას ბოლო მოეღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა აპარატის გამოშორების და მტრული ელემენტებისაგან გაწმენდის ამოცანა არ იქნება შესრულებული.

შემდეგ, ამხანაგები ეხებოდნენ საკითხს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის და პროფკავშირების ორგანოებს შორის მჭიდრო ურთიერთობის შექმნის შესახებ.

ამხ. ორჯონიკიძის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. ორჯონიკიძემ აღნიშნა, რომ დეფექტები არის როგორც მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის აპარატში, ისე პროფკავშირების მუშაობაშიაც. სწორად არ იქცევა ის, ვინც ვერ ამჩნევს დეფექტებს პროფკავშირების აპარატში და ყველაფერს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ორგანოებს ახვევს თავზე.

მხოლოდ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის და პროფკავშირების შეთანხმებული მუშაობა გააჯანსაღებს ადმინისტრატიულ-სამეურნეო და საბჭოთა აპარატს.

„აქამდის,—სთქვა ამხ. ორჯონიკიძემ,— მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების და პროფკავშირების მუშაობაში არ არსებობდა სათანადო კავშირი. პროფკავშირები სისტემატიურად არ აწარმოებდნენ ბრძოლას ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ საბჭოთა აპარატში. პროფკავშირები ამ ნაკლს ვერ დასძლევენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის დაუხმარებლად, მაგრამ თვით მუშათა და გლეხთა ინსპექციასაც ამ ამოცანების გადაჭრა შეუძლია მხოლოდ პროფკავშირების, დროებითი საკონტროლო კომისიების საწარმოო თათბირების და მთელი მუშათა მასის აქტიური დახმარებით".

გზა და გზა ამხ. ორჯონიკიძე შეეხო საკითხს მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატში გამოცდილ მუშაკთა საკმაო კადრის უქონლობის შესახებ. ეს მუშაკები უნდა მოგვცენ პროფკავშირებმა. მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატი გაძლიერებულ უნდა იქნას მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებით. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაკები უნდა გადაიქცნენ მასების ორგანიზატორებად ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შემდეგ ამხ. ორჯონიკიძე შეეხო საკითხს რკ. გზების მომარაგების შესახებ მასალით. მან სთქვა, რომ ზოგიერთი გზა მასალით უზრუნველყოფილია რამდენიმე წლით, ხოლო სხვებს მასალა არა აქვთ. უნდა მოვაწესრიგოთ მომარაგების საქმე. ამისთვის საჭიროა ცენტრალიზაცია, რათა ყველა რკინის გზა თანაბრად იქნას უზრუნველყოფილი საჭირო მასალით.

ამხ. ორჯონიკიძემ გამოსთქვა რწმენა, რომ პროფკავშირებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის შეთანხმებული მუშაობის წყალობით პროფკავშირების მომავალ მეცხრე ყრილობისათვის მიღწეული იქნება გაცილებით უფრო მეტი შედეგები.

ყრილობა ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში სავსებით იწონებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მუშაობას და წინადადებას აძლევს პროფკავშირებს, მომავალში მეტი მონაწილეობა მიიღონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მუშაობაში და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ამ ორგანოებს. რეზოლიუციის დასამუშავებლად ყრილობამ აირჩია 33 კაცისაგან შემდგარი კომისია.

ამხ. შმიდტის სიტყვა

18 დეკემბერს პროფკავშირების ყრილობის საღამოს სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. შმიდტი, რომელმაც დაახასიათა შრომის სახალხო კომისარიატის როლი კავშირის სახელმწიფო ორგანოების საერთო სისტემაში.

„შრომის სახალხო კომისარიატი,—განაცხადა ამხ. შმიდტმა,—მუდამ ცდილობდა თავისი მუშაობის შეთანხმებას პროფმოძრაობასთან. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ათი წლის განმავლობაში შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობაში იყო შეცდომები, მაგრამ მუშათა კანონმდებლობის ძირითად საკითხებში შრომის სახ. კომისარიატს არა ჰქონდა არავითარი გადახრა იმ გადაწყვეტილებებიდან, რომლებიც მიიღო პროფკავშირების ჯერ კიდევ პირველმა ყრილობებმა.

შრომის სახალხო კომისარიატს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ანგარიში უნდა გაეწია აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციების მოთხოვნილებისა და ინტერესებისათვის. პროფკავშირებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს შორის კონფლიქტის წარმოშობის დროს, შრომის სახალხო კომისარიატს, რომლის საარბიტრო გადაწყვეტილება საბოლოოა, ორგანიზაციულად შეკავშირებული მუშათა კლასის მოთხოვნები უნდა შეეთანხმებია სახალხო მეურნეობის ან მისი რომელიმე ცალკე დარგის საერთო მდგომარეობასთან. შრომის სახალხო კომისარიატი თავის მუშაობას საერთოდ დამაკმაყოფილებლად ასრულებდა, რამაც უზრუნველჰყო მისთვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საპატიო ადგილი საბჭოთა ორგანოების საერთო სისტემაში".

ამხ. შმიდტი გამოსთქვამს რწმენას, რომ ურთიერთობა შრომის სახალხო კომისარიატსა და პროფკავშირებს შორის, მომავალშიაც ურყევი დარჩება, რის გარეშე წარმოუდგენელია შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში.

შემდეგ გამოვიდა ამხ. უგაროვი რომელმაც აღნიშნა, რომ ამხ. შმიდტი 10 წლის განმავლობაში შრომის სახალხო კომისარი იყო. ეხება რა მის მუშაობას პროფკავშირებში რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ, ამხ. უგაროვი ყრილობის სახელით უსურვებს ამხ. შმიდტს სრულ წარმატებას მის შემდგომ საპასუხისმგებლო მუშაობაში საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე. (ტაში).

შრომის სახ. კომისარიატის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ტოლსტოპიატოვმა.

ამხ. ტოლსტოპიატოვის მოხსენება

თავის მოხსენებაში ამხ. ტოლსტოპიატოვმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შრომის სახ. კომისარიატმა თავის მუშაობაში სერიოზულ შედეგებს მიაღწია. დაზღვეულთა რაოდენობა 8.158.000-დან 9.658.000 კაცამდე (18 პროც.) გაიზარდა. პენსიონერთა კონტინგენტი იმავე ხნის განმავლობაში 609.000-დან 887.000-მდე ავიდა, რაც 47 პროცენტს უდრის. სიბერისაგან დაზღვევა, რომელიც დღემდე მხოლოდ ფეიქრებზე ვრცელდებოდა, გავრცელებული იქნება შრომის კიდევ სამ კატეგორიაზე, რკინისგზელებზე, მელითონეებზე და მემადნეებზე. 1928-29 წლისათვის სიბერისაგან დაზღვევა გავრცელდება სულ 40.000 კაცზე. შრომის სახ. კომისარიატის მუშაობაში ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს უმუშევრობასთან ბრძოლა. 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის, შრომის ბირჟაში რეგისტრაციაში გატარებული იყო 706.000 უმუშევარი, 1928 წლის პირველ ოქტომბრისათვის—1.374.000 უმუშევარი. უმუშევრობის სტრუქტურა 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის იყო შემდეგი: შავი მუშა—350.000, მოსამსახურე—250.000 ინდუსტრიალური მუშა—200.000, მშენებელი—100.000, დანარჩენი პროფესიების—120.000 და უმუშევრები, რომელნიც არასოდეს არ ეწეოდნენ დაქირავებულ შრომას—350.000 კაცი.

1927-28 წ. უმუშევრებს მიეცათ ფულადი დახმარება 100 მილ. მანეთის რაოდენობით, 1926-27 წელს სამუშაოზე გაიგზავნა 3.600.000 კაცი, 1927-28 წელს—5 მილ. კაცი. შემდეგ ამხ. ტოლსტოპიატოვმა აღნიშნა, რომ უბედური შემთხვევების რიცხვი ჩვენს მრეწველობაში ეხლაც დიდად საგრძნობია. მომხსენებელმა განაცხადა, რომ შრომის სახ. კომისარიატის ორგანოებმა და პროფკავშირებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა შრომის დაცვისათვის გადადებული თანხები მთლიანად ხმარდებოდეს პირდაპირ დანიშნულებას, ამასთან ერთად საჭიროა გაუმჯობესდეს მეთვალყურეობა შრომის კანონმდებლობის შესრულებაზე.

როგორც შვიდი საათის სამუშაო დღის გატარების პირველ შედეგებიდან სჩანს, სამეურნეო ორგანოები და პროფკავშირები დროულად არ მოემზადნენ ამ ღონისძიებებისათვის. იყო შემთხვევები როცა ზოგიერთმა წარმოებამ შვიდი საათის სამუშაო დღის გატარების შესახებ გაიგო მხოლოდ 2-3 დღით ადრე თვით გატარების ვადამდე.

შემდეგ სოციალური დაზღვევის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა სოც. დაზღვევის ცენტრალურ სამმართველოს უფროსმა ამხ. ნემჩენკომ. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ავღანისტანის ამბების გამო

ლონდონი, 19 დეკემბერი. რეიტერის სააგენტო ნიუ-დელიდან (ინდოეთი) იუწყება: „უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მდგომარეობა ავღანისტანში გაუარესდა. გადმოცემული ცნობების თანახმად, აჯანყებულებსა და მთავრობის ჯარებს შორის ბრძოლა სწარმოებს როგორც ქაბულისა, ისე ჯელალაბადის ირგვლივ. აჯანყებულებმა ქაბულის რაიონში ხელში ჩაიგდეს ორი ფორტი, იარაღი და ამუნიცია. ჯელალაბადში აჯანყებულებმა შესწყვიტეს მოლაპარაკება მთავრობის წარმომადგენლებთან და საომარი მოქმედება განაახლეს. ავღანისტანის საზღვრიდან გადმოცემული ცნობებით, ფადიშაჰმა ამანულამ და მისმა მეუღლემ ფორტში შეაფარეს თავი, რადგანაც მათ წინააღმდეგ გამოვიდა ჯარი. ქაბულსა და ინდოეთს შორის ერთი თვეა რაც მიმოსვლა შეწყვეტილია" (ადს).

საღვთო ომი ტრანსიორდანიისა და ირაქის წინააღმდეგ

სტამბოლი, 19 დეკემბერი. გაზეთ „ჯუმჰურიეტი"-ს ადანელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იბნ-საუდმა (ნეჯდისა და გეჯასის მეფე) დაძრა 50.000 ჯარის კაცი ტრანსიორდანის საზღვრისაკენ. ინგლისის აეროპლანები ყუმბარებს უშენდენ ვაჰაბიტებს. გაზეთის ცნობით იბნ-საუდმა ხელშეკრულება დასდო იემენთან. იმავე კორესპონდენტის ცნობით, რიაზეში იბნ-საუდის თავმჯდომარეობით შემდგარმა ლიდერებისა და ჯარის უფროსების ყრილობამ, დაადგინა: საღვთო ომი გამოუცხადოს ტრანსიორდანიას და ირაქს. თავის მხრივ ტრანსიორდანიის მთავრობამ გამოაცხადა მობილიზაცია.

„დეილი ნიუზ"-ი ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის აღდგენის შესახებ

ლონდონი, 19 დეკემბერი. ლიბერალური გაზეთი „დეილი ნიუზ"-ი მეთაურ წერილში ეხება საკითხს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის აღდგენის შესახებ და სწერს: „არის იმის ნიშნები, რომ ინგლისის მთავრობა მოხარული იქნებოდა დაედო მოსკოვთან ახალი შეთანხმება, მაგრამ ისე, რომ თავისი ღირსება არ შეელახა" (ადს).

დანიშვნები

თეირანი, 15 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის კონსული ასტრახანში ამხ. კალუცკი გაიწვიეს მოსკოვში. მის ადგილზე დაინიშნა საბჭოთა კავშირის ყოფილი კონსული ქერმანში ამხ. ლაკტიონოვი.

საბჭოთა კავშირის კონსულად ხისტანში დაინიშნა ამხ. გ. მ. ცატუროვი, ყოფილი ვიცე-კონსული ყაზვინში. (ადს).

კომუნისტი დეპუტატის გამოსვლა ჩეხო-სლოვაკიის დეპუტატთა პალატაში

პრაღა, 19 დეკემბერი. ჩეხო-სლოვაკიის დეპუტატთა პალატაში მთავრობის დეკლარაციის გამო გამართული კამათის დროს გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი ილეკი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ახლანდელი მთავრობის უმრავლესობის ფაშისტური ტენდენციები. ილეკი შეეხო ჩეხო-სლოვაკიის საგარეო პოლიტიკას და აღნიშნა, რომ ჩეხო-სლოვაკიის მონაწილეობას ანტისაბჭოთა ბლოკში ადასტურებს აგრარიების საღამოს გაზეთი „ვეჩერ"-ი. (ეს გაზეთი ადასტურებს ცნობას იმის შესახებ, რომ გენერალი ლერონი მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყნებში ანტისაბჭოთა ბლოკის „გამოსვლათა კოორდინაციის მიზნით", ამ ბლოკის შემადგენლობაში ჩეხო-სლოვაკიაც შევაო). შემდეგ ილეკმა აღნიშნა რომ ცენზურამ აკრძალა კომუნისტური პარტიის გაზეთ „რუდე პრავო"-ში ხსენებული წერილის გადაბეჭდვა; ილეკმა განაცხადა, რომ ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა ანხორციელებს ომისათვის მზადებას და ამუშავებს კანონპროექტს ქვეყნის მთელი მოსახლეობისა და მთელი მეურნეობის მილიტარიზაციის შესახებ, ამას წინედ საფრანგეთში მიღებული კანონის მსგავსად. კომუნისტურმა ფრაქციამ დეპუტატთა პალატაში დღეს სასწრაფო შეკითხვა შეიტანა გაზეთ „ვეჩერ"-ის წერილისადმი მთავრობის დამოკიდებულების შესახებ. (ადს).

საპროტესტო მიტინგები

ბერლინი, 19 დეკემბერი. გუშინ ბერლინში მოხდა რვა მასიური საპროტესტო მიტინგი დემონსტრაციის აკრძალვისა და წითელ ფრონტელთა კავშირის მოსალოდნელი აკრძალვის წინააღმდეგ. მიტინგებში მონაწილეებმა სასტიკი პროტესტი განაცხადეს ბერლინის პოლიციის უფროსის სოციალ-დემოკრატი ცერგიბელის ღონისძიებათა წინააღმდეგ. მათ განაცხადეს, რომ „იმას, რის განხორციელება ვერ შესძლო ბურჟუაზიული ბლოკის მინისტრმა კეიდელმა, ვერ შესძლებს ვერც ცერგიბელი და ზევერინგიო (ადს).

ამხ. მოლოტოვის მიწვევა მოსკოვის საგუბერნიო აღმასკომში

მოსკოვი, 19 დეკემბერი. მოსკოვის გუბერნიის აღმასკომის შუამდგომლობის გამო, სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა დაადასტურა ამხ. მოლოტოვის მიწვევა კოოპტაციით მოსკოვის გუბერნიის აღმასკომში. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი გამარჯვება
მშენებლობის ფრონტზე

მოსკოვი, 19 დეკემბერი. ამხ. რიკოვმა თურქესტან-ციმბირის რკინის გზის ჩრდილოეთ-ნაწილის მუშებისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„თურქესტან-ციმბირის რკინის გზის ჩრდილოეთ-ნაწილში რელსები დაწყობილია 335 კილომეტრის მანძილზე, სადგურ აიაგუზამდე. მთავრობის დავალება შესრულებულია, მშენებლობის ყველა სიძნელე გადალახულია, მუშა მშენებელთა საერთო კრება მოგილოცავთ ახალ გამარჯვებას სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე და გთხოვთ გადასცეთ ჩვენს მუშურ-გლეხურ მთავრობას, რომ მისი დავალებები მომავალშიაც შესრულებული იქნება. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის სამეურნეო ძლიერებას.“

ამხ. რიკოვის პასუხში ნათქვამია:

„გმადლობთ სალამისათვის. გადაეცით მუშებს და ტეხნიკურ პერსონალს ჩემი მხურვალე სალამი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს რკ. გზა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის სამეურნეო ძლიერების განმტკიცებისათვის, მუშების, ინჟენერებისა და ტეხნიკოსების ღონისძიებებით დანიშნულ ვადაზე დამთავრდება“. (ადს).

ბელორუსიის საბჭ. რესპუბლიკის ათი წლის თავი

მოსკოვი, 19 დეკემბერი. ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკის ათი წლის თავთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. რუძუტაკმა მისალმებით მიმართა ბელორუსიის მშრომელთ.

„საბჭოთა ბელორუსიის სამეურნეო და კულტურული ზრდის ათმა წელმა,—ნათქვამია მისალმებაში,—გადააქცია ეს ცარიზმის დროს ჩაგრული და დამონებული და ომის დროს განადგურებული ქვეყანა საბჭოთა კავშირის მტკიცე ავანპოსტად დასავლეთის საზღვარზე. საბჭოთა ხელისუფლებამ გაანთავისუფლა ბელორუსიის ჩაგრული ხალხები და ძველი ნაციონალური ჩაგვრისა და რბევის ნაცვლად შექმნა ბელორუსიაში მოსახლე ყველა ხალხის სამეურნეო და კულტურული თანამშრომლობის პირობები. ამით ბელორუსია დასავლეთის ქვეყნების ჩაგრული ხალხებისა და დასავლეთ ევროპის მუშათა და გლეხთა ფართო მასების თვალში გადაიქცა კულტურულად ჩამორჩენილ ქვეყნების გარდაქმნისა და პროლეტარიატის მიერ ნაციონალური პრობლემის სწორად გადაჭრის მაგალითად“. (ადს).

ლუდორვაის საქმის გარჩევა

იჟევსკი, 19 დეკემბერი. ვოტიაკების ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოში დაიწყო ლუდორვაის საქმის სამოსამართლო გამოძიება. ეს საქმე აღძრულია იმის გამო, რომ კულაკებმა მასიურად გამათრახეს ღარიბი და საშუალო გლეხები იჟევსკის მაზრის სოფელ ლუდორვაიში, ოუსკინში, და ლუძიანეპრომენანიაში.

საბრალმდებლო დასკვნა ხატავს საშინელ სურათს, თუ როგორ აწამებდნენ კულაკები რამდენიმე უკანასკნელი წლის განმავლობაში ღარიბ და საშუალო აქტივისტ გლეხებს. აქტივისტებმა და საზოგადოებრივმა მუშაკებმა, მიუხედავად მუქარისა და აბუჩად აგდებისა, შესძლეს მიწის გადაყოფა. რაც უკანასკნელი 49 წლის განმავლობაში აღარ მომხდარა, დაარსეს ამხანაგობა მიწის კოლექტიურად დასამუშავებლად და ხელს უწყობდნენ პურის დამზადებას. გაფთრებულმა კულაკებმა თავიანთი გავლენის შესანარჩუნებლად მოაწყვეს გლეხების მასიური გამათრახება. სულ გამათრახებულ იქნა 300 გლეხი.

ვოტიაკების კლუბი, რომელშიაც მიმდინარეობს პროცესი, სავსეა ვოტიაკი გლეხებით, სოფლებიდან პროცესზე დასასწრებლად ჩამოვიდა გლეხობის მრავალი წარმომადგენელი. „იჟევსკაია პრავდა“ და სხვა ადგილობრივი გაზეთები ბეჭდავენ მრავალი სოფლის გლეხთა ყრილობების რეზოლიუციებს. გლეხები მოითხოვენ გამათრახების მომწყობთა სასტიკად დასჯას. სახელმწიფო ბრალმდებელს გარდა, ბრალმდებლად გამოდიან ადგილობრივი პრესის, ღარიბი გლეხობის და ცენტრალური „კრესტიანსკაია გაზეტა“-ს წარმომადგენელნი. (ადს).

ვეფხვი ლენქორანში

ლენქორანი, 19 დეკემბერი. ლენქორანიდან 9 ვერსის მანძილზე, ვინიაევის რაიონში გარეულ ღორზე ნადირობის დროს მონადირე რიზა კული-ჰუსეინ კული-ოღლის თავს დაეცა ვეფხვი, რომელმაც მონადირეს სახე დაუსახიჩრა. დაშავებული მონადირე ადგილობრივ საავადმყოფოში მიიყვანეს. მას გატეხილი აქვს ქვედა ყბის ძვალი. ვეფხვი დაიჭრა, მაგრამ ჯერ არ გამოუტანიათ ლენქორანში. მონადირეები ფიქრობენ, რომ ვეფხვი გადმოსულია ინდოეთიდან სპარსეთის გზით. (ადს).

პარტიაში

ერევნის მეათე სამაზრო პარტკონფერენცია

ერევანი, 18 დეკემბერი. კამათს ერევნის კომიტეტის მდივნის ამხ. სარქისიანის მოხსენების გამო მოუნდა ოთხი სხდომა. კამათში მონაწილეობა მიიღო 60 დელეგატმა. ორატორების უმრავლესობამ კმაყოფილებით აღნიშნა ერევნის კომიტეტის მიერ აღებული კურსის სისწორე ძველი ხელმძღვანელობის შეცდომების გასწორების საქმეში. ამავე დროს ისინი აცხადებდნენ, რომ საჭიროა უფრო გაძლიერდეს შეტევა ანტიპროლეტარული იდეოლოგიის, პირველ რიგში კი ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

დელეგატები შეეხნენ იდეოლოგიური ფრონტის ამოცანებსაც. მათ აღნიშნეს, რომ ნაციონალიზმთან და შოვინიზმთან წარმატებით ბრძოლისათვის საჭიროა მეტად სერიოზული ყურადღება მიექცეს უნივერსიტეტს, მუშფაკს, მუშათა უნივერსიტეტს, ჩატარდეს ფართო მუშაობა ახალგაზრდათა აღსაზრდელად ინტერნაციონალისტურ ნიადაგზე. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მასიური პოპულარული პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემას.

კონფერენციის მეშვიდე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. სარქისიანის საბოლოო სიტყვა, რის შემდეგაც ამხ. კალამიანმა გააკეთა მოხსენება ქალაქად და სოფლად მასიური მუშაობის შესახებ. (ადს).

იცავენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ხაზს

ოდესა, 19 დეკემბერი, საოლქო პარტკონფერენციამ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმების შედეგების შესახებ გაკეთებული მოხსენებების გამო მიღებულ რეზოლიუციებში სავსებით მოიწონა პლენუმების დადგენილებები და აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან და მისდამი შემარიგებელ დამოკიდებულებასთან. საოლქო პარტკომის ახალ შემადგენლობაში არჩეულია 80 პროცენტი დაზგის მუშა. (ადს).

ლენრაიონის მეთერთმეტე პარტკონფერენცია
მეექვსე სხდომა

კონფერენციის მეექვსე სხდომა გაიხსნა ამხ. **გუდავაძის** თავმჯდომარეობით.

გრძელდება კამათი ამხ. **ფანცულაიას** და **გიორგობიანის** მოხსენების გარშემო.

ამხ. **გოგოლაშვილი** აღნიშნავს, რომ ორგანიზაციის ზრდა ჩვენს რაიონში არ სწარმოებდა წინასწარ შემუშავებული გეგმით. დაზგის მუშების რაოდენობა რაიონის ორგანიზაციაში აღწევს მხოლოდ 35 პროცენტს. ეს პროცენტი ძალიან მცირეა. რაიონული კომიტეტის ახალ შემადგენლობამ ამ გარემოებას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს და დაზგის მუშების პროცენტი პარტიაში აიყვანოს 50 პროცენტამდე. ადგილკომების და საერთოდ პროფკავშირების მასიური მუშაობა წარმოება-დაწესებულებებში მოისუსტებს. წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები სისტემატიურად არ იწვევა; თუ მოიწვევენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ტარდება რაიმე კამპანია. შრომის დისციპლინა არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ადგილი აქვს სამუშაო საათების გაცდენას, დაგვიანებას და სხვა. შრომის დისციპლინის გაძლიერებას და შრომის ნაყოფიერების აწევას პროფკავშირებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ.

ამხ. **ბეჟიგანოვი** ამბობს, რომ რაიონული კომიტეტი სისტემატიურად არ გზავნის ინსტრუქტორებს უჯრედებში შემჩნეულ დეფექტების გამოსარკვევად და პრაქტიკულ მითითებების მისაცემად. პოლიტიკურად მოუმზადებელი ამხანაგები ადვილად ვარდებიან არა მშრომელი ელემენტების გავლენის ქვეშ და ეხმარებიან მათ. მაგ. ერთი კომუნისტი—ელექტრო მონტიორი დაუმეგობრდა კონტრაბანდისტს და ეხმარებოდა მას. სამეურნეო ხარჯების 20 პრ. შემცირების დროს სამსახურიდან დაითხოვეს შიკრიკები, დარაჯები და სხვა ტეხნიკური მუშაკები.

ამხ. **ნაცვალოვი** ეხება ლოთობას და ამბობს: ლოთობასთან ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება არ ექცევა. ლენინის რაიონი თბილისში ერთ-ერთი მუშათა რაიონია. ამავე დროს არც ერთ რაიონში არ არის იმდენი მაგარი სასმელებით სავაჭროები, როგორც ჩვენს რაიონშია; სახელოსნოდან გამოსული მუშა შედის იქვე სამიკიტნოში და ლუდხანაში ითრობა. ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. **კლიმენტიევი** აღნიშნავს, რომ უვადო შვებულებაში გასულ წითელ არმიელებს ზოგიერთი საბჭოთა დაწესებულებები ცუდათ ეპყრობიან; ეს მაშინ, როდესაც დაწესებულებებში საკმაოდ არიან არა მშრომელი ელემენტები, ძველი თავად-აზნაურები და სხვა. შრომის სკოლები მარტო თეორეტიულ ცოდნას კი არ უნდა აძლევდეს მოწაფეებს, არამედ ისინი უნდა აცნობდენ, ახლო უნდა იდგნენ შრომის ორგანიზაციებთან. შრომის სკოლები ჯერ კიდევ ვერ გვაძლევენ მომზადებულ ახალგაზრდებს. 7 წლედდამთავრებულმა გამოცდების დროს რუკაზე თბილისი ვერ იპოვა და მათ აგრეთვე წარმოდგენა არ აქვთ საბჭოთა ხელისუფლებაზე.

გარდა ამისა კამათში გამოვიდა: ამხ. ლეჟავა, კობლაძე, ნონიკაშვილი, ვაშაკიძე, გოგსაძე, მონტი, კეშელავა მაისურაძე, გულამიანი და კალცოვი.

ამით დაიხურა კონფერენციის მეექვსე სხდომა. მეშვიდე სხდომა შესდგება დღეს საღ. 6 საათზე.

ქალაქის რაიკომის პლენუმი

ქალაქის რაიკომის გუშინ შემდგარ პლენუმმა, საბჭოთა საარჩევნო კამპანიის საკითხის განხილვის შემდეგ (ანგარიშს ვათავსებთ სათანადო განყოფილებაში), მოისმინა ახ. ლ. კ. კავშირის თბილისის წარმომადგენლის, ამხ. **კნიაზიანის** მოხსენება კომკავშირის კულტურული ლაშქრობის შესახებ.

მომხსენებელმა სხდომას გააცნო კულტურული ლაშქრობის ამოცანები, ჩასატარებელი გეგმა და მოუწოდა პარტიულ ამხანაგებს კულტურულ ლაშქრობისათვის ყოველმხრივი დახმარების აღმოსაჩენად.

პლენუმმა ინფორმაციული მოხსენება მიიღო ცნობად და თავის მხრივ გამოიტანა დადგენილება, რომ იგი წინადადებას მისცემს ადგილებზე ყველა უჯრედს, რათა კულტურულ ლაშქრობაში მიიღონ მონაწილეობა და აგრეთვე გაუწიონ დახმარება თავისუფალ საზოგადოებების და ორგანიზაციების ჩაბმით ამ მუშაობაში.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ინფორმაცია რაიონში პარტგანმანათლებელ მუშაობის დაყენების შესახებ.

კომკავშირში
კომკავშირის ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის მესამე პლენუმი

საკავშირო ა.ლ.კ.კ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმის 18 დეკემბრის დილის და საღამოს სხდომები მოუნდა კამათს ამხ. ახუნდზადეს მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო 20 კაცზე მეტმა. ორატორები პირველ რიგში შეჩერდნენ ისეთ საკითხზე, როგორიც არის კომკავშირის ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან და კომკავშირის რიგებში ბიურჟუაზიული იდეოლოგიის შეჭრასთან შემარიგებელი დამოკიდებულება.

„კომკავშირმა ყოველმხრივ უნდა გაამაგროს თავისი ფრონტი, რომ არ დარჩეს არც ერთი გასაძვრომი მტრულ და უცხო განწყობილებათა შემოპარვისათვის ახალგაზრდობაზე გავლენის მოსახდენად“,—ამბობდნენ კამათში გამოსულნი, ისეთ ღონისძიებებთან ერთად, როგორიცაა ორგანიზაციის გაწმენდა და სხვ., ორატორები აღნიშნავდნენ პროლეტარული და პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება-განმტკიცების, კომკავშირის სწავლა-განათლებისათვის ბრძოლის გაძლიერების და ახალგაზრდობის კულტურული და პოლიტიკური დონის ამაღლების საჭიროებას.

კამათში გამოსული პროლეტარული მწერლები აღნიშნავდნენ პროლეტარულ ლიტერატურის კომკავშირის ხელმძღვანელობის სისუსტეს, ზოგჯერ არა დამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობასაც.

გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია კომკავშირის მუშაობის საკითხებმა ყოფა-ცხოვრების და სასკოლო მშენებლობის დარგში. გამოსულმა ამხანაგებმა მრავალი სასარგებლო და პრაქტიკული წინადადება შეიტანეს. გარდა ამისა, კამათში დიდი ადგილი დაიჭირა კომკავშირელების სამხატვრო განათლებისა და აღზრდის საკითხებმა.

მრავალმა ორატორმა აღნიშნა, რომ სამხატვრო სკოლებსა და კონსერვატორიებში დღემდე კომკავშირელთა მცირე პროცენტია მოქცეული, მაშინ, როცა უკანასკნელ წლებში პროლეტარულ ახალგაზრდობაში გაიზარდა მისწრაფება სამხატვრო განათლებისაკენ. საჭიროა დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ მოსწავლეთა მიღებას სამხატვრო სკოლებში უფრო მეტი კლასობრივი თვალსაზრისით მიუდგეთ.

რაც შეეხება მუშათა ახალგაზრდობის თეატრებს, ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ამ კულტურულ საქმეში კომკავშირის უმნიშვნელო დახმარებას უწევენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ახალგაზრდობის თეატრი კი თავის მხრივ არავითარ ზომებს არ ღებულობს ახალგაზრდობისათვის კულტურული სამსახურის გასაწევად და მის მხატვრულ მოთხოვნილებათა გასაღვივებლად.

ამხ. ახუნდ-ზადეს საბოლოო სიტყვის მოსმენისა და მოხსენებების გამო რეზოლიუციების მიღების შემდეგ პლენუმი დაიხურა.

ქუთაისის მე-11 სამაზრო კონფერენცია
(ტელეფონით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კონფერენციის 18 დეკემბრის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. გაიოზ დევდარიანის მოხსენება ახალგაზრდობაში იდეოლოგიურ მუშაობის შესახებ. ამხ. დევდარიანის გამოსვლას კონფერენცია მხურვალე ტაშის ცემით შეხვდა, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბრძოლა მშრომელი ახალგაზრდობის დასაპყრობათ, ბრძოლა კომკავშირის იდეოლოგიურ ფრონტზე დღეს უაღრესად დიდ სირთულეს წარმოადგენს, რადგან ჩვენს წინააღმდეგ ყოველმხრივ ილაშქრებენ ანტი-კომუნისტური ორგანიზაციები. ამიტომ ეს საკითხი ჩვენს წინაშე აყენებს რევოლუციონური თეორიის უფრო მეტად განმტკიცებას, ახალგაზრდობაში კომუნისტური აღზრდის გაძლიერების ამოცანას და დაუნდობელი ბრძოლის წარმოებას ჩვენი ყოფა-ცხოვრების ყოველი მახინჯი ფორმების წინააღმდეგ.

კამათში ამხ. დევდარიანის მოხსენების გამო მონაწილეობა მიიღეს ამხ. თოხაძემ, ხაგუამ, ცირეკიძემ, ჟღენტმა, გიორგაძემ, მოსიძემ და სხვ. ორატორები ეხებოდნენ მრავალგვარ მახინჯ მხარეებს ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრებაში, როგორიც მაგ. ხულიგნობა. ლოთობა, და სხვა, და მოითხოვდნენ გაძლიერებულ ბრძოლის წარმოებას ამ მოვლენების წინააღმდეგ. ამხანაგები მოითხოვდნენ აგრეთვე დაუნდობელ ბრძოლას ახალგაზრდობაში კულაკური და ანტი-საბჭოთა იდეოლოგიის გავლენის წინააღმდეგ.

ამხ. დევდარიანის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციის მეოთხე სხდომა დაიხურა.

სხდომის დახურვის შემდეგ თემებიდან ჩამოსულმა დელეგატებმა დაათვალიერეს ქალაქის წარმოებები (მაუდის საქსოვი ქარხანა, ზარის ქარხანა; სტამბა და სხვ.), რამაც დელეგატებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

ა. ლ. კ. კ. ტყიბულის სარაიონო კონფერენცია

12 დეკემბერს დაასრულა მუშაობა ტყიბულის ა. ლ. კ. კ. სარაიონო კონფერენციამ, რომლის სხდომები გრძელდებოდა ორი დღე. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) სამაზრო კომიტეტის ანგარიში, 2) რაიკომის ანგარიში, 3) მოხსენება კომკავშირის მონაწილეობის შესახებ მომავალი საბჭოთა საარჩევნო კამპანიაში.

პირველი საკითხის ირგვლივ კონფერენციამ მოისმინა ამხ. გრ. ჩიხლაძის მოხსენება სავსებით მოიწონა სამაზრო კომიტეტის მიერ აღებული ხაზი როგორც ორგანიზაციულ, ისე კულტურული მუშაობის სფეროში და დაავალა სამაზრო კომიტეტს განაგრძოს მუშაობა მუშა და მოჯამაგირე ახალგაზრდობის შემდგომი მასიურად დარაზმვისათვის კომკავშირის ორგანიზაციის რიგებში დაუნდობელი ბრძოლის წარმოება ყოველგვარი მემარჯვენე გადახრებისა და ტროცკისტულ ოპოზიციის ნაშთების გამოცოცხლების წინააღმდეგ.

კონფერენციამ მეორე საკითხზე მოისმინა სარაიონო კომიტეტის მდივნის ამხ. დ. ცირეკიძის საანგარიშო მოხსენება.

ორივე მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში, მონაწილეობა მიიღო 37-მდე დელეგატმა, რომელთა შორის უმრავლესობა მაღაროს მუშები იყვნენ.

მესამე საკითხზე კონფერენციამ აღნიშნა გასულ წელში კომკავშირის სუსტი მონაწილეობა—საბჭოთა არჩევნებში. განსაკუთრებით კი სუსტი მონაწილეობა ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირე ახალგაზრდობის და გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი მიმდინარე საბჭოთა არჩევნებში კომკავშირის უფრო აქტიურად მონაწილეობის მიღების მიზნით.

დასასრულს მოსმენილი მოხსენებების გამო რეზოლიუციების მიღების შემდეგ, არჩეულ იქნა ახალი სარაიონო კომიტეტი 23 წევრის შემადგენლობით და გაიგზავნა დელეგატები სამაზრო მეთერთმეტე კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ.

გ. ხ—ძე.

საბჭოთა არჩევნებისათვის

თბილისის პარტორგანიზაციები არჩევნებისათვის ემზადებიან
„26 კომისრის“ სახელობის რაიკომის პლენუმში

გუშინ, საღამოს 6 საათზე ამხ. ტერ-ვართანოვის თავმჯდომარეობით შესდგა „26“ კომისრის სახელობის რაიკომის გაფართოებული პლენუმი უჯრედთა ბიუროების მდივნებისა და ფაბქარხადგილკომების კომუნისტ თავმჯდომარეების მონაწილეობით. პლენუმის დღის წესრიგში პირველ საკითხად დასმული იყო მოხსენება საბჭოების საარჩევნო კამპანიის შესახებ. ხსენებულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ი. ვარძიელმა.

საანგარიშო კამპანია—ამბობს მომხსენებელი, არის ჩვენი მუშაობის გენერალური შემოწმება. საანგარიშო კრებებზე უნდა გამოაშკარავდეს მუშაობაში შემჩნეული ყოველგვარი ნაკლი. მასების აქტივობამ უნდა მოგვცეს ისეთი საბჭოები, რომლებიც ადვილად შესძლებენ წარმატებით გაუძღვენ როგორც სოციალისტურ მშენებლობას, ისე კულტურული რევოლუციის საკითხის მოგვარებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიმდინარე საბჭოთა გადარჩევაში ენიჭება პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციების მჭიდრო შეკავშირებას. მათი აქტივობის გაძლიერების და ამ გზით ფართე მშრომელი მასების ჩაბმას, როგორც მოსამზადებელ საანგარიშო კამპანიაში, ისე თვით საარჩევნო კრებებშიაც. მაქსიმალურად უნდა გავაცხოველოთ საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა. ადგილებს დროზე და საკმაოდ მივაწოდოთ ბროშურები, პლაკატები, მობილიზაცია უნდა უქნათ პრესას, წარმოება-დაწესებულებებში და სოფლადაც უნდა გამოიცეს კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები, სადაც გაშუქებული იქნება საარჩევნო კამპანიის მსვლელობა, დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კინოს და რადიოს გამოყენებას. ჩვენ ვამზადებთ კინო-სურათს „საბჭოების არჩევნები“ სახელწოდებით, მაგრამ ეს არ არის საკმაო.—საჭიროა ყველა იმ კინო-სურათის გამოყენება, რომელთაც საგიტაციო მნიშვნელობა აქვთ, ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ სახკინმრეწვის არქივი. საანგარიშო და საარჩევნო კრებების დროს მუშა-მოსამსახურენი ან უნდა გავანთავისუფლოთ სამუშაოდან ან ისეთ დროს მოვიწვიოთ კრებები, როცა მათ თავისუფლად შეეძლებათ კრებებზე დასწრება. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე კრებისთვის ბინის გამოძებნას და მომხსენებლებისათვის დროზე გამოცხადებას.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო განაწესების (ნაკაზების) შედგენის საკითხს და განაცხადა, რომ წინად ნაკაზებს ვადგენდით შაბლონურად, რასაც ამიერიდან ბოლო უნდა მოეღოს. ნაკაზი უნდა იყოს რეალური, რომ შესაძლებელი შეიქნეს მისი მთლიანად განხორციელება.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო ქალთა და ახალგაზრდობის მონაწილეობას საბჭოების გადარჩევაში, კანდიდატების შერჩევის საკითხს, საარჩევნო კომისიების მუშაობის შემოწმების საჭიროებას პარტორგანიზაციების მიერ და საანგარიშო კრებებზე საქმიანი მოხსენებების გაკეთების აუცილებლობას.

ამხ. ვარძიელის მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი.

ამხ. **მერაბოვი** შეეხო საშეფო კომისიების მუშაობას სოფლად და აღნიშნა, რომ ხშირად საშეფო სოფლებში მოხსენების გასაკეთებლად გაგზავნილი ამხანაგები იქ ეწევიან ლოთობას და ამით ზიანს აყენებენ მუშათა კლასის დაკავშირების საქმეს მშრომელ გლეხობასთან. აუცილებლად საჭიროა სოფლად იგზავნებოდნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ მოვალეობას.

ამხ. **იმნაშვილს** საჭიროდ მიაჩნია მეტი ყურადღება მიექცეს კანდიდატების შერჩევის საკითხს და პრესაში გამოქვეყნდეს იმ დეპუტატების ვინაობა, რომლებიც საბჭოში არავითარ მუშაობას არ ეწეოდნენ, რომ ისინი კვლავ აღარ იქნენ არჩეული დეპუტატებად.

ამხ. **მატინიანი** ეხება ქალთა რიცხვის გადიდების საჭიროებას საბჭოებში და ამბობს, რომ მიუხედავად მრავალი დადგენილებისა, უმაღლეს ორგანოების მიერ მოცემული დირექტივა ცხოვრებაში არ ტარდება, ქალთა შორის ბლომად მოიპოვებიან აქტიური ელემენტები, რომლებიც შესძლებენ საბჭოში ნაყოფიერ მუშაობას.

ამხ. **შახსუვარიანმა** აღნიშნა თვითკრიტიკის გაცხოველების აუცილებლობა საანგარიშო და საარჩევნო კრებებზე, რაც მოგვცემს დადებით შედეგებს. მაგრამ უნდა ვიხილოთ ანტისაბჭოთა ელემენტები, რომლებიც შეეცდებიან თვითკრიტიკა გამოიყენონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამხ. **ბელელაძე**, მოსამზადებელი მუშაობა ადგილებზე ჯერ კიდევ ვერ სწარმოებს დამაკმაყოფილებლად. მთელ რიგ წარმოებებში, მუშაობა კიდევ არ არის დაწყებული. დრო ცოტა დარჩა და საჭიროა ეს მუშაობა დაუყოვნებლივ იქნას დამთავრებული. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე პარტხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხს.

ამხ. **ლ. სუხიშვილი**, ამხ. ვარძიელი თავის მოხსენებაში არ შეხებია ნაციონალური უმცირესობათა საკითხს. ეს საკითხი მნიშვნელოვანია განსაკუთრებით თბილისისათვის. თბილისის საბჭოში უსათუოდ უნდა იქნენ წარმოდგენილი ნაციონალური უმცირესობანი სათანადო პროცენტით.

ამხ. **ტერ-ვართანოვი** ეხება წარმოება-დაწესებულებებში მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების საკითხს და ამბობს, რომ დირექტივის თანახმად 15 დეკემბრამდე ადგილებზე უნდა დამთავრებულიყო მოსამზადებელი მუშაობა, მაგრამ დირექტივა დღემდის შეუსრულებელია. დღევანდელმა პლენუმმა ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს და დაუყოვნებლივ უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. **ჩიხრაძემ, ჩირკოპიანმა, ჯანჯღუვაზოვმა, მანუკოვმა** და **მკვიანოვმა**.

ამხ. ვარძიელის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

ქალაქის რაიკომის პლენუმი

გუშინ, თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა ერთ-ერთი მთავარი საკითხად საბჭოების არჩევნები.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა თბილისის აღმასკომის წარმომადგენელმა ამხ. მესხმა. მომხსენებელმა პლენუმს გააცნო ყველა ის ღონისძიება, რომელიც მიღებულია თბილისის აღმასკომის მიერ არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად.

მომხსენებლის სიტყვით, მოსამზადებელი მუშაობა უკვე მიმდინარეობს და დამთავრდება პირველ იანვრისათვის, რის შემდეგ უკვე დაიწყება საანგარიშო კამპანია. საანგარიშო კამპანიის დამთავრება ნავარაუდევია 1-ლ თებერვლისათვის, არჩევნების კი 25 თებერვლისათვის.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ არჩევნების დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და ხელმძღვანელობა გაეწიოს სოფელს, რადგან არჩევნებში მუშაობის ოდნავი შესუსტება გასაქანს მისცემს კულაკურ ელემენტებს თავიანთი ზრახვების განხორციელებისათვის.

კამათის დამთავრების შემდეგ სხდომამ გამოიტანა შესაფერისი რეზოლიუცია და აგრეთვე გამოიმუშავა ღონისძიებები ქალაქის რაიონში არჩევნებში მონაწილეობის და ხელმძღვანელობის გაწევისათვის.

სასკოლო ქსელის მონაწილეობა არჩევნებში

იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მოწოდებული არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში, ერთი პირველი ადგილი უჭირავს სახკოლო ქსელს. განათლების ორგანოებმა უკვე დაამუშავეს მასწავლებლებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობის გეგმა და სათანადო ახსნა-განმარტებით დაუგზავნეს ყველა საფეხურის სკოლებს. გეგმა ითვალისწინებს, თუ რა უნდა გააკეთონ სკოლებმა მოსამზადებელ, საანგარიშო და საარჩევნო პერიოდებში.

მოსამზადებელ პერიოდში სკოლებს, პირველ ყოვლისა, ევალებათ გაეცნონ საარჩევნო ინსტრუქციას და პრესაში საარჩევნო კამპანიის შესახებ მოთავსებულ საინსტრუქციო და სადირექტივო ხასიათის წერილებს. იმ მასალებს შორის, რომლებიც განათლების სახ. კომისარიატის მიერ არის დასახელებული, არის შემდეგი: ამხ. მოლოტოვის მოხსენება მე-15 პარტყრილობაზე „მუშაობა სოფლად“. ამხ. მახარაძის მოხსენება ამავე საკითხზე, საქ. კომპარტიის მე-15 პარტყრილობაზე. ამხ. მახარაძის განმარტებითი წერილები გაზ. „კომუნისტში“, და ამავე გაზეთში გამოქვეყნებული ინსტრუქცია და სხვა წერილები.

მოსამზადებელ პერიოდშივე სკოლებს ევალებათ მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო კომისიების შედგენასა და საინსტრუქციო თათბირებში, ეს საქმე უმთავრესად ეკისრება ცხრაწლედების, ტეხნიკუმების და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოწაფეებს. სკოლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე საარჩევნო სიების შედგენაში. შემდეგ, სკოლები ეხმარებიან ადგილობრივ ხელისუფლებას საარჩევნო ფურცლების შევსებასა და მათ დაგზავნაში.

საანგარიშო კამპანიას სკოლები უნდა შეხვდნენ სავსებით მომზადებულნი. ამ მიზნით სკოლების კოლექტივები წინასწარ უნდა გაეცნონ და შეისწავლონ ის მასალები, სადაც გაშუქებულია ამ თემის და მაზრის აღმშენებლობა, რომლის ფარგლებშიაც სკოლები მდებარეობენ, და შემდეგ საბჭოთა აღმშენებლობა საერთოდ მთელი რესპუბლიკის ფარგლებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას [illegible] ფართოება, წერა-კითხ. უცოდინარობის ლიკვიდაცია, სოფლის სამკითხველოების, საბავშვო სახლების და ბაღების მუშაობა, მოსამზადებელი მუშაობა საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოსაღებად და სხვა). სკოლები არა მარტო უნდა გაეცნონ ამ მასალებს, არამედ უნდა დაამუშაონ კიდეც ამომრჩეველთა მასებისათვის წარსადგენად. უფროს ჯგუფების მოწაფეებმა უნდა შეადგინონ დიაგრამები, დახატონ პლაკატები, რომლებიც გამოხატავენ საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი მუშაობის შედეგებს.

ამავე პერიოდში სკოლამ უფროსი ჯგუფის მოწაფეებისათვის უნდა მოაწყოს მოხსენებები შემდეგ თემებზე: პარტიის პოლიტიკა სოფლად, საბჭოთა არჩევნები და პარტიის ამოცანები. საარჩევნო სისტემები ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

თვითეულმა სკოლამ საანგარიშო პერიოდში უნდა გამოუშვას თავისი კედლის გაზეთი და ჟურნალი, სადაც ფართოდ უნდა იქნას გაშუქებული და შეფასებული ადგილობრივი ხელისუფლების საამშენებლო მუშაობა.

სკოლა მარტო ამით არ განსაზღვრავს თავის საქმიანობას საანგარიშო პერიოდში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს თვით საანგარიშო კრებებზე. ადგილობრივი აღმასკომის და საბჭოს მიერ საანგარიშო მოხსენების მოსმენის შემდეგ მოწაფეები აძლევენ მათ შეკითხვებს, მონაწილეობენ კამათში, ადგენენ რეზოლიუციის პროექტებს და სხვ. ასეთივე აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მოსწავლე ახალგაზრდობა ახალ საბჭოებისათვის წარსადგენ ნაკაზების შემუშავებაში, კერძოდ მათ ხაზგასმით უნდა მოითხოვონ მტკიცე ბიუჯეტი სკოლებისათვის, მშობელთა დამხმარე კომიტეტების მოწყობა, მოწაფეთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება, საერთო საცხოვრებლების გახსნა მოწაფეებისათვის და სხ. მათი მოთხოვნები უნდა ემყარებოდეს რეალურ საფუძველს და არ უნდა წარმოადგენდეს განუხორციელებელ რამეს. ნაკაზი, რომლის მიცემასაც სკოლა დაპირებს, წინასწარ განხილული და დამუშავებული უნდა იქნეს მოწაფეების საერთო კრებაზე. წინასწარ უნდა იქნეს არჩეული მოწაფეებიდან დელეგატები, რომელთაც დაევალებათ ამ ნაკაზის დაცვა.

ზემოდ დასახელებულ მუშაობას, როგორც აღნიშნავს განათლების სახ. კომისარიატი თავის საინსტრუქციო წერილში, ექნება ორმაგი მნიშვნელობა: ერთი მხრივ, ეს წარმოადგენს საპროგრამო მასალის დამუშავების ერთ-ერთ ფორმას. მეორეს მხრივ სკოლის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას მოწაფეთა ზოგიერთი ჯგუფებისათვის ეს მუშაობა იქნება დამუშავებული მასალის შევსება და გაღრმავება. ხოლო ზოგიერთი ჯგუფებისათვის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა იქნება წინასწარი მუშაობის ხასიათი იმ მასალის დამუშავებაში, რომლის დამუშავებასაც სკოლის პროგრამა შემდეგი წლისათვის გულისხმობს.

როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა
გორის მაზრაში
(წერილი გორიდან)

საბჭოთა არჩევნების კამპანიის წინასწარი სამზადისი გორის მაზრაში უკვე დაიწყო. ჩამოყალიბებულია სამაზრო საარჩევნო კომისია 11 წევრის შემადგენლობით და ყველგან ქალაქად და თემებში ადგილობრივი საარჩევნო კომისიები (სათემო 26, ქალაქის 3) რომლებიც ამჟამად დანაწილებულ უბნების მიხედვით აწარმოებენ ამომრჩეველთა სახელობითი სიების შედგენას.

საბჭოების გადარჩევასთან დაკავშირებით სამაზრო აღმასკომის მიერ 4 დეკემბერს მოწვეულ იქნა გაფართოებული პლენარული სხდომა, სადაც დაესწრნენ, როგორც სამ-აღმასკომის წევრები, ისე ქალაქის და თემ-საბჭოს თავმჯდომარეები, თემ-საბჭოს წარმომადგენლები და ქალაქ გორში მომქმედ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია-დაწესებულებების წარმომადგენლები.

პლენუმზე როგორც სამაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სერგო ცხოვრებაშვილის საინსტრუქციო მოხსენებაში, ისე მოკამათეების მიერ აღნიშნულ იქნა საბჭოთა მეხუთე გადარჩევების დროს დაშვებული შეცდომები და მათ გამოსასწორებლად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს საბჭოთა მომავალი არჩევნებისათვის ფართო ორგანიზაციულ მომზადებას და გადარჩევებში ღარიბი გლეხობის, მოჯამაგირეების და ქალების აუცილებელი მიზიდვას, ფართო მონაწილეობის მიღებას. ადგილობრივ ორგანიზაცია-დაწესებულებების მხრივ, ამომრჩევლების და უფლება ართმეულების სახელობითი სიების დაკვირვებით შედგენას და ასეთების სწორი აღრიცხვის წარმოებას; თვით კრიტიკის ლოზუნგის გატარებას. შედარებით წარსულ წლებთან საბჭოებში მოჯამაგირეების და ქალების მეტი პროცენტის გაყვანას; ამომრჩეველთათვის უწყებების თავის დროზე ჩაბარებას; განაწესებში რეალურ საქმიანობის შეტანას, მოსახლეობასთან დაახლოვების მიზნით საარჩევნო უბნების რიცხვის მაქსიმალურად გამრავლებას და სხვა.

ეს რეზოლიუცია ისახავს პრაქტიკულ ღონისძიებებს და ხსენებულ მოთხოვნილებების ცხოვრებაში გატარებას უვლებს სამ-აღმასკომს, სამაზრო საარჩევნო კომისიას და ადგილობრივ ორგანიზაცია-დაწესებულებებს.

მაზრაში საბჭოების საარჩევნო კამპანია გაყოფილია სამ პერიოდად; მოსამზადებელი მუშაობა უნდა დასრულდეს იანვრის პირველამდე, საანგარიშო კამპანია თებერვლის პირველამდე და საბჭოთა გადარჩევები მარტის 15-მდე.

საბჭოთა გადარჩევების წარმატებით ჩატარების და საზოგადო ხელმძღვანელობის სწორად გაწევის მიზნით ყველა საარჩევნო კომისიებზე მიმაგრებულია მაზრიდან თითო პასუხისმგებელი ამხანაგი, რომლებიც უკვე იმყოფებიან მივლინებაში და ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს უწევენ ხელმძღვანელობას.

საარჩევნო კომისიების ტეხნიკურ აპარატის მომზადების მიზნით დეკემბრის პირველ მოწვეულ იქნა თემ-საარჩევნო კომისიების მდივნების თათბირი, რომელსაც განემარტათ საბჭოთა გადარჩევების პოლიტიკური მნიშვნელობა. აქვე მათ მიერ შესწავლილი იქნა საბჭოთა გადარჩევების ინსტრუქცია, ყველა საარიცხვო ფორმები და უკანასკნელნი მიღების შემდეგ დაბრუნდნენ ადგილებზე მუშაობის საწარმოებლად.

საბჭოთა გადარჩევებში მოსახლეობის, ფართო ფენების, მშრომელი ინტელიგენციის, სამ-აღმასკომის და საბჭოს წევრების უშუალო მონაწილეობის მიღების მიზნით სამაზრო-საარჩკომის მიერ გამოშვებულ იქნა სხვადასხვა სახის სამი მოწოდება, რომელიც დაეგზავნათ საარჩკომებს მოსახლეობაში გასავრცელებლად და სხვა.

საერთოდ ემჩნევა, რომ წელს გადარჩევების და მოსახლეობისათვის ანგარიშის ჩაბარების კამპანია ჩატარებული იქნება დიდი წარმატებით და აღმოფხვრილ იქნება ის უწესრიგო ნაკლოვანებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა წარსული არჩევნების დროს.

ფ.

ზუგდიდის მაზრაში
წერილი ხეთიდან

ხეთის თემში უკვე დაიწყო საარჩევნო კამპანიის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა.

11 დეკემბერს პარტიისა და კომკავშირის აქტივის გაერთიანებულ კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენება მაზრის წარმომადგენელ ამხ. [illegible], არჩევნების პოლიტიკური მნიშვნელობისა და ორგანიზაციული საკითხების შესახებ. მასთან აქტივთა კრებამ მუხლობრივ განიხილა საარჩევნო ინსტრუქცია. განსაკუთრებული ყურადღებით იქნა განხილული ის მუხლები, რომლებიც ეხება საარჩევნო ხმის უფლების მქონე და არა მქონეთა საკითხს.

12 დეკემბერს მოწვეულ იქნა ღარიბთა ჯგუფისა და მოჯამაგირეების გაერთიანებული კრება, სადაც მოხსენება ჩატარდა ღარიბთა მონაწილეობის შესახებ საბჭოთა არჩევნებში.

არჩეულია საარჩევნო კომისია 11 კაცის შემადგენლობით. საარჩევნო კომისია უკვე შეუდგა წინასწარ მუშაობას. თუ წარსული არჩევნების დროს თემი გაყოფილი იყო 7 საარჩევნო უბნად, დღეს გლეხობასთან მეტი დაახლოებისა და საბჭოთა არჩევნებში გლეხიქალების უფრო მეტი პროცენტით ჩაბმის მიზნით, თემი გაყოფილია 14 საარჩევნო უბნად.

18 დეკემბერს საბჭოს გაფართოებულ კრებაზე ჩატარებული იქნა მოხსენებები არჩევნების შესახებ,

16 დეკემბერს მოწვეულია ქალთა კრება დელეგატ-ქალებთან ერთად, სადაც გაკეთდება მოხსენება საბჭოთა არჩევნებში ქალთა მონაწილეობის შესახებ.

მიხ. ცხადაია.

შორაპნის მაზრაში
ჩხარის თემი

თემ-საბჭოს არჩევნებისათვის წინასწარი მზადება ჩხარის თემში უკვე დაიწყო და გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს.

7 დეკემბერს თემ-საბჭოს სხდომაზე განხილული იქნა მუხლობრივად საბჭოს საარჩევნო ინსტრუქცია, როგორც პარტიის ისე ა.ლ.კ.კ. ორგანიზაციებში ჩატარდა მოხსენებები მომავალი საბჭოების არჩევნების და მასში პარტიის და კომ-კავშირის წევრების ამოცანებზე. ასეთივე მოხსენებები ჩატარდა პროფ-კავშირის ხაზითაც.

თემ-საბჭოს სხდომაზე არჩეული იქნა საბჭოს საარჩევნო კომისია 11 ამხანაგისაგან შემდგარი, კომისიაში შედიან: თემსაბჭოდან, თემპარტკომიდან, კომკავშირიდან, პროფ-კავშირებიდან, გლეხკომიდან, უპარტიო ღარიბ გლეხობიდან, ქალთა ორგანიზაციიდან, მოჯამაგირეებიდან და სხვ.

საარჩევნო კომისიის სხდომებზე, რომელიც შესდგა 9 და 10 დეკემბერს, ესწრებოდა სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. დავით გულოვი, რომლის ახსნა-განმარტებით და შეკითხვებზე პასუხების გაცემით გარჩეულ იქნა, საბჭოს საარჩევნო ინსტრუქცია და საარჩევნო კომისიის უფლება-მოვალეობანი, მთელი თემი დაყოფილია 19 საარჩევნო უბნად,

საარჩევნო კომისიამ გამოიწვია ტეხნიკურად დამხმარე ამხანაგები—საარჩევნო სიების შესადგენად, რომლის შედგენაც უნდა დამთავრდეს 15 დეკემბრამდე.

დაბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ პარტია, ხელისუფლება უდიდეს მნიშვნელობას აძლევს მუშა და გლეხ-კორესპონდენტების მონაწილეობას საბჭოების არჩევნებში, მთელი ამ მუშაობის დროს გლეხკორები პირველ რიგში უნდა იდგნენ, როგორც პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების აქტიური თანაშემწენი. მაგრამ ასეთ მუშაობის დროს ჩხარში ვერ შეხვდებით გლეხკორს, არც არის გაშუქებული საბჭოების არჩევნების შესახებ ადგ. კედლის გაზეთში, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ გლეხკორთა შორის მუშაობა ძალზე მოისუსტებს.

საჭიროა ჩატარებული იქნეს ჩხარის თემის გლეხკორთა თათბირი, სადაც გაშუქებული იქნება „მიმდინარე საბჭოების არჩევნები და მასში გლეხკორების ამოცანები“.

ვ. სიმონგულოვი.

თავასის თემი

საბჭოთა მომავალ არჩევნებისათვის სამზადისი თავასის თემში დაიწყო 1 დეკემბრიდან. კვირას, 9 დეკემბერს შესდგა საბჭოს, ღარიბების, ღარიბ. საშუალო და პროფკავშირის წევრთა გაერთიანებული კრება, სადაც მიმაგრებულმა ამხანაგებმა ბუხრაშვილმა და მოდებაძემ გააცნეს დამსწრეთ ღარიბ, საშუალო და პროფკავშირის წევრთა შეკავშირებული მონაწილეობის მიღების აუცილებლობა საბჭოთა არჩევნებში კულაკური ელემენტების წინააღმდეგ.

ჩამოყალიბდა საარჩევნო კომისია 11 წევრის შემადგენლობით. დაიყო თემი 9 საარჩევნო უბნად, ნაცვლად 5 უბნისა, რომელიც იყო წარსულ არჩევნებში. შესდგა ხმის მქონე პირთა სიები ცალ-ცალკე უბნებში, ეხლა სდგება შავ სიაში შესატან პირთა სია. მშრომელი გლეხობის მონაწილეობა წინასწარ სამზადისში დამაკმაყოფილებელია, მოწვეულ კრებებზე ბლომად ესწრებიან. საარჩევნო კომისიას გვერდში უდგას და სათანადო დახმარებას უწევს მასწავლებლობა.

ჭალ—ია.

შეცდომის გასწორება

ქუთაისი, 19 დეკემბერი. „კომუნისტი“-ს მე-292 №-ში (18 დეკემბერი) მოთავსებულ ამხ. ქუჩულორიას საუბარში შეცდომით არის ნაჩვენები მაზრის გლეხობის ფენებად დაყოფის პროცენტული ციფრები. უნდა იყოს: ღარიბი გლეხობა—42%, საშუალო—52%, კულაკი—5%.

კეკელია.

სვანეთის გზის გაყვანისათვის
(საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილების გამო)

გზათა მშენებლობით დაინტერესებულმა მკითხველმა ალბად იცის, თუ რა ყურადღება აქვს მიქცეული ამჟამად მთელ კავშირის და კერძოდ საქართველოს ფარგლებში გზათა იმ წესით აგებას და ისე გაუმჯობესებას, რომ შესაძლებელი გახდეს „ცოცხალ ტრანსპორტის“, ე. ი. ურმის შეცვლა მექანიკურით, ავტო-ტრანსპორტით. ამაზე ზრუნავენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება, ამისათვის არსდებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები „ავტომობილიზმის განვითარებისა და გზათა გაუმჯობესების ხელშემწყობ საზოგადოებათა“ სახით.

ასეთს პირობებში ძნელად წარმოსადგენია, რომ ჩვენი ქვეყნის ფარგლებში არსებობდნენ ისეთი კუთხეები, რომელთათვისაც უბრალო საურმე გზა ჯერ კიდევ საოცნებო საგანია. მაგრამ სამწუხაროდ ეს ასეა.

ერთ-ერთი ასეთ კუთხეთაგანი არის სვანეთი, რომელიც თამამად შეგვიძლია დანარჩენ საქართველოსაგან თითქმის მოწყვეტილად ჩავთვალოთ უგზოობის გამო.

ძველი რუსეთის მთავრობა, რომელიც დიდპყრობელობითი თვალსაზრისით უყურებდა ყველა პატარა ერებს, ყოველგვარ მშენებლობას ამ ერებით დასახლებულ ქვეყნებში აწარმოებდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საკმაო იყო ამ მთავრობის პოლიტიკურ და ფისკალურ ინტერესებისათვის.

ამ თვალსაზრისით მან განიზრახა 1858 წ. სვანეთის გზის აშენება, მაგრამ საქმე მაშინ განზრახვითვე გათავდა.

ხელახლა საკითხი დაისვა მხოლოდ ორმოცდაათი წლის შემდეგ და 1909—10 წ. წ. მთავრობის მიერ გაყვანილ იქნა ე. წ. „სვანეთის ბილიკი“, რომელიც ალბად საკმაოდ იყო მიჩნეული პოლიციურ და საფინანსო მიზნებისათვის, ხოლო ქვეყნის საწარმოო ძალების ამოძრავება და ხალხის კულტურულ-ეკონომიური წარმატება კი, აღნიშნულ მთავრობას სრულიად არ აინტერესებდა და პირიქით ეწინააღმდეგებოდა კიდეც მის პოლიტიკურ ინტერესებს.

თავიდანვე ასე არადამაკმაყოფილებლად გაყვანილი „სვანეთის ბილიკი“ იმპერიალისტური ომის დაწყებიდან სრულიად უყურადღებოთ იყო მიტოვებული თითქმის ათი წლის განმავლობაში, რის გამოც, ალაგ-ალაგ ზაფხულობითაც კი თითქმის გაუვალი გახდა ფეხით მოგზაურთათვისაც.

საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე, როდესაც ყოველგვარ მშენებლობას საფუძვლად დაედვა ქვეყნის ეკონომიურ-კულტურული წარმატება, სვანეთის გზის აშენების საკითხმაც მიიპყრო შესაფერი ყურადღება.

მაგრამ ასეთ საკითხების მრავალრიცხოვნობის და სირთულის გამო პრაქტიკულ მუშაობის დაწყება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1925 წლიდან, როდესაც საქართველოს მთავრობამ წინადადება მისცა საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს, მოეხდინა სვანეთის გზის აშენების დეტალური გამოკვლევა ჯვარიდან მესტიამდე.

ეს დავალება შესრულებულია. გამოკვლევების მიხედვით უკვე შედგენილია გზის აშენების პროექტი, რომელსაც, როგორც მკითხველი ქვემოთ დაინახავს, ესაჭიროება ნაწილობრივი გადაკეთება.

ამის გარდა საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველო, მთავრობის დავალებით და წითელ არმიის და ადგილობრივ მოსახლეობის ენერგიულ დახმარებით 1926-28 წლებში ზაფხულობით აწარმოებდა არსებულ ბილიკის აღდგენის, გაგანიერების და მასზე საჭირო დროებით ხიდების აშენების სამუშაოებს, რომელთა წყალობითაც ამჟამად შესაძლო გახდა ჯვარიდან მესტიამდე საპალნიან ცხენის გავლა. მაგრამ თვლიანი ტრანსპორტი ჯერ კიდევ უცნობია სვანეთისათვის და ერთ ფუთ ტვირთის აზიდვა სვანეთის ბილიკით ჯერ კიდევ უჯდება სვანს ზაფხულში 6 მან. 50 კ., ხოლო ზამთარში კი სრულიად შეუძლებელია.

დღეს, როგორც მკითხველი გაზეთებიდან გაიგებდა *), უკვე გადაწყდა სვანეთში ნამდვილ გზის გაყვანის საკითხი: **1928-29 წელიწადში გზის აშენების სამუშაოთა საწარმოებლად გადებული იქნება საკავშირო მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 850.000 მანეთი.**

განვიხილოთ მოკლედ ამ გზის მნიშვნელობა.

მინერალური სიმდიდრენი: სვანეთი ძველადვე ცნობილი იყო თავისი სიმდიდრით, ხოლო ვილეევმა 1861 წ. აღმოაჩინა ოქროს მნიშვნელოვანი რაოდენობა ენგურის ბასეინში, აცხში, ბახის მთაში; სიმეონოვმა და სოროკინმა — 1876 წ.—ელში, იპარში და კალაში; ინჟენერ ლებედევი, 1898 წელში დაბეჭდილ წერილში ამბობს, რომ ოქრო უმთავრესად მოიპოება ენგურის ბასეინში და ისეთ რაოდენობით, რომ ყურადღების ღირსია პრაქტიკული თვალსაზრისითაც. უფრო მეტის დაბეჯითებით, ასეთივე შეხედულებას იცავდა გურსკი და გამოსთქვამდა მწუხარებას, რომ უგზოობის გამო ამ სიმდიდრის გამოყენება შეუძლებელი ხდება.

სულ უკანასკნელ დროს — 1919 წელს—ინჟენერ-გეოლოგმა კონიუშევსკიმ აღმოაჩინა ოქრო ენგურის ნაპირებზე და ხუბერში, ტოტნაში, იდლიანში, ლალვორში, ფარში, ბეჩოში, მესტიაში და იპარში და აზბესტის ლითონი—ხალდეში.

ქიმიკოსმა ოტტენმა სვანეთიდან მოტანილ აზბესტის ლითონში აღმოაჩინა 65 პროც. წმინდა აზბესტი. ამ ლითონის დამუშავებას შეუდგენ კიდეც. მაგრამ მსოფლიო ომმა შესწყვიტა დაწყებული მუშაობა.

1926 წელს ინჟენერ-ქიმიკოსის კუპცისის მიერ დადრაშის მთის (ლაშხეთის თემი) მდინარეებში აღმოჩენილია რადიუმის 1000 ერთეული, მაშინ, როდესაც რადიის სიმრავლით ცნობილი წყალტუბოს მინერალური წყალი შეიცავს მხოლოდ 40 ერთეულს. რადიუმი აღმოჩენილია აგრეთვე ბეჩოს რაიონშიც.

უკანასკნელ, 1927 წლის ზაფხულში საქართველოს სმუს მიერ მივლინებულმა გეოლოგიურმა კომისიამ, მიუხედავად იმისა, რომ საშუალება არ ჰქონდა ორ თვეზე მეტი ემუშავნა,—აღმოაჩინა სვანეთში ოქროს, სურმის, აზბესტის, გრაფიტის და სხვა ლითონთა მნიშვნელოვანი რაოდენობის შემცავ ადგილების არსებობა.

ზემოაღნიშნულის გარდა, ყველამ კარგად იცის, რომ სვანეთი მდიდარია წყლის ენერგიით, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს სამთა-მადნო მრეწველობის განვითარებას.

ტყეები. სვანეთის ხელუხლებელი ტყეები ფართობით 200.000 დესეტინამდე, შეიცავენ უმთავრესად ფიჭვს, ნაძვს, წიფელს, არყს, მუხას, წაბლს და წითელხეს. ამ ტყეების ექსპლოატაცია უკვე დაწყებულია, მაგრამ უგზოობის გამო შესაძლოა მხოლოდ ქვედა რაიონებში. ამჟამად სვანეთის ტყეებიდან იზიდება ხმელეთით და წყლით 3.000.000 კუბ. ფ. ხე. ენგურის ქაღალდის ქარხნის აგების შემდგომ ყოველწლიურად საჭირო გახდება 5.000.000 ფუტამდე ხის მასალის გამოზიდვა. გარდა ამისა, სხვა რაიონებში საამშენებლო ხე-ტყის შემცირების გამო გაიზრდება სვანეთის ხე-ტყეზე მოთხოვნილებაც. ამის გამო სვანეთის სატყეო მრეწველობის განვითარებას ფრიადი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ეკონომიკისათვის. ზედა სვანეთში გზის გაყვანა შესაძლოდ გახდის სვანეთის ტყის სიმდიდრით სარგებლობას, როგორც შინა ბაზრისათვის, ისე ექსპორტისათვის.

საძოვრები და თივა. სვანეთი მდიდარია საუკეთესო ალპიურ საძოვრებით და სათიბებით, რომელთა ფართობი 250.000 დესეტინას აღემატება. ამჟამად ეს სიმდიდრე გამოუყენებელია უგზოობის გამო, რადგანაც შეუძლებელია ერთის მხრით სხვა რაიონებიდან სვანეთში საძოვრებზე საქონლის მირეკვა და მეორეს მხრით სვანეთიდან თივის გამოზიდვა. გზის გაყვანის შემდგომ შესაძლებელი გახდება სვანეთიდან ყოველწლიურად დაახლოებით 2.000.000 ფუთი საუკეთესო თივის გამოზიდვა.

მესაქონლეობა. ამასთან დაკავშირებით ფრიად განვითარდება სვანეთში მესაქონლეობა, რომლისათვისაც ყველა ხელსაყრელი პირობები არის, გარდა გზისა, რომლის უქონლობაც ხელს უშლის სამრეწველო მერძევეობის წარმოებას.

მეფუტკრეობა. მყუდრო (უქარო) ალპიურ ფლორის თაფლიან ყვავილებითა და ტყეებით მდიდარი სვანეთის ბუნება ფრიად ხელსაყრელია მეფუტკრეობის საქმის განვითარებისათვის. სვანები ამ საქმეს მისდევენ კიდეც და ხშირია შემთხვევა, რომ თვითეულს ოჯახს 100 სკამდე აქვს. მაგრამ თაფლს სვანი ბარბაროსული საშუალებით იღებს, სახელდობრ საუკეთესო თაფლით მდიდარ სკას ასხამს წყალს და ხოცავს ფუტკარს და ამის გამო, ყოველწლიურად იხოცება რამოდენიმე ასეული სკა ფუტკარი.

საკურორტო საქმე და ტურიზმი. ყველა ზემოაღნიშნული ეხებოდა ისეთ საკითხებს, რომელნიც ოდესღაც შეადგენდა ან ამჟამად შეადგენენ პრაქტიკულ მუშაობის საგნებს. არა ნაკლები მნიშვნელობა, და თუ წმინდა ეკონომიურ თვალსაზრისს მივატოვებთ, იქნებ მეტიც, აქვს სვანეთის საკურორტო საქმის განვითარებას და ტურიზმსაც.

სვანეთის სრულიად მყუდრო ალპიური ჰავა, ხელუხლებელი წიწვოვანი ხეები, ყოველგვარი მინერალურ წყაროების მრავალრიცხოვნობა და უკანასკნელ, უმაღლეს თოვლიან მწვერვალების, ყინულით და სურნელოვან ალპიურ მცენარეულობით დაფარულ მთების სანახაობა — საუკეთესო პირობებს წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის ამ კუთხეში ფართო მასშტაბით საკურორტო მშენებლობისათვის.

ამის გარდა ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხის ჯანმრთელობისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, ტურიზმის განვითარებას. ტურიზმი, ფიზიკურ ჯანსაღობასთან ერთად ანიჭებს ადამიანს გამბედაობას, ბუნების არახელსაყრელ პირობებთან ბრძოლის უნარს, ამტანლობას და სხვა და აცილებს მას ჯანსაღობისათვისაც და ზნეობრიობისათვისაც მრავალს მავნე მოვლენებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ტურიზმს საქართველოს და საზოგადოთ აღმოსავლეთ პატარა ერების ახალგაზრდობისათვის, რომელიც ამ მხრივ ფრიად ჩამორჩენილია დასავლეთის მოძმეებისაგან.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ კიდეც არის მიქცეული ასეთი ყურადღება ახალგაზრდობის ფიზიკურ განვითარებაზე.

ხოლო სვანეთი კი ტურიზმის და საზამთრო სპორტის განვითარებისათვის საუკეთესო კუთხეს წარმოადგენს არა მარტო საქართველოს, არამედ, შეიძლება, მთელ კავშირის ფარგლებშიაც.

თქმულიდან ნათელი უნდა იყოს სვანეთის გზის გაყვანის საჭიროება, მისი დიდი მნიშვნელობა.

მაგრამ ამ გზის აუცილებლობის უმთავრესი და უპირველესი საბუთი ის არის, რომ სვანეთის ფარგლებში მომწყვდეული მოსახლეობა მიუხედავად ზემოაღნიშნულ ბუნებრივ სიმდიდრეებისა, წარმოუდგენელს გაჭირვებას განიცდის იმის გამო, რომ კულტურულ ცენტრებისაგან მოწყვეტილი, ჯერ კიდევ დღესაც სცხოვრობს კაცობრიობის ისტორიის თითქმის პირვანდელ ხასიათის ყოფა-ცხოვრებით, ადათებით, ზნე-ჩვეულებებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ პირვანდელ საზოგადოების წესწყობილების და უფლების ისტორიის გამოჩენილს მკვლევარს მ. კოვალევსკის მე-19 საუკუნის ბოლოს სვანეთი აღნიშნული აქვს, როგორც პირვანდელ საზოგადოებრივ წყობილებისა, ადათთა და ზნე-ჩვეულებათა ნიმუში.

მაქსიმე კოვალევსკის გამოკვლევის შემდგომ სვანეთის შინაგან ყოფა-ცხოვრებაში ბევრი რამ არ შეცვლილა.

შემდეგ, ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი მოსახლეობა, იძულებულია ეძებოს სამუშაო სვანეთის გარეშე. ამის გამო სვანების დიდი ნაწილი ექვსი თვის განმავლობაში მოწყვეტილია ოჯახსა და იმ პირვანდელ მეურნეობასაც კი, რომელსაც სახლში აწარმოებს, ხშირად კი სვანი, ბილიკის დახურვის შემდგომ, მთელი წლითაც სახლის გარეთ რჩება.

უმრავლესობა შინ სხვადასხვა სნეულებებით დაავადებული ბრუნდება, უმთავრესად მალარიითა და ვენერიულ სნეულებებით, რომელნიც მოითხოვენ სისტემატიურს და განუწყვეტელს მკურნალობას. უგზოობის გამო, ასეთ მკურნალობის საშუალება მოსპობილია და ამრიგად წლიდან-წლამდე ვრცელდება ხალხის გამანადგურებელი და გადამგვარებელი სნეულებანი.

სვანეთის გზის გაყვანა გადაარჩენს ამ მოსახლეობას გადაგვარებასა და სრულ განადგურებისაგან და საშუალებას მისცემს მასში ჩამარხული ძალები ამოძრავოს და განავითაროს.

იქნებ ყველა ზემოაღნიშნულის მოთხრობა დღეს მეტიც იყოს, რადგანაც, როგორც აღნიშნული იყო, გზის გაყვანის აუცილებლობა უკვე დადასტურებულია და ამჟამად უნდა დასმულ იქნენ უკვე პრაქტიკული კითხვები თუ რა მიმართულებით და რა წესით უნდა ხდებოდეს ამ გზის მშენებლობა.

საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს მიერ 1925 წ. ნაწარმოებ გამოკვლევების და მათ დამყარებულ პროექტის მიხედვით ნავარაუდევია გზატკეცილის გაყვანა მესტიიდან ჯვარამდე, სიგრძით 110 კილომეტრი, საერთო ღირებულებით 3-3 ნახევარ მილიონამდე.

ამ პროექტის განხილვისას ამიერ-კავკასიის და საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოთა შეერთებულ ტეხნიკურ თათბირში საჭიროდ იქნა ცნობილი: 1) დამატებითი გამოკვლევების მოხდენა — მესტიიდან 7 ვერსის მანძილზე მდ. მუხურის მარჯვენა ნაპირით, 63 ვერსიდან 88 ვერსამდე მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირით და 88 ვერსიდან — მე-100 ვერსამდე მდ. ენგურის მარცხენა ნაპირით. შემდეგ ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს უფროსს ინსპექტორის ინჟ. სიმონსონის მიერ ტრასის ადგილობრივ დათვალიერებით გამოირკვა, რომ სამუშაოთა დაწყებამდე აუცილებლად საჭიროა დამატებითი გამოკვლევების მოხდენა: მე-15 ვერსიდან სოფელ ლიხგა-ქაბელამდე (31 ვ.) ორი ვარიანტით: ა) ბეჩოს ხეობაში შეუსვლელად და ენგურის მარჯვენა ნაპირის რაც შეიძლება ახლოს გავლით და ბ) მდ. დოლრიდან სოფ. ლიხგა-ქაბელამდე, ენგურის მარცხენა მხარით; შემდეგ ს. ლიხგა-ქაბელიდან (31 ვ.) მდ. ნაკრაზე გადასასვლელამდე (46 ვ.) — ენგურთან დაახლოებით.

ყველა ამ დამატებითი გამოკვლევების მიზანია ტრასის შემოკლება, მძიმე აღმართებისა და დაღმართების აცილება, გზის მზიან მხარეზე მოქცევა, რასაც სვანეთის ზამთრის პირობებში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს და, უკანასკნელ, ხიდების რაოდენობის შემცირება.

ამ მოკლე მიმოხილვიდან ისახება ის წესიც, რომლითაც უნდა წარმოებულ იქნან სვანეთის გზის აშენების სამუშაოები. სახელდობრ, უპირველეს ყოვლისა უნდა მიღებულ იქნეს საბოლოო ტრასა, რის შემდეგაც დაწყებულ იქნეს მთელ სიგრძეზე უპირველეს ყოვლისა საურმე გზის გაყვანა. გზის გაუმჯობესება, გატკეცვა, მექანიურ ტრანსპორტისათვის მისი მოწყობა კი უნდა შეადგენდეს, ჩვენის აზრით, მეორე რიგის სამუშაოებს.

იძს.

---

*) იხ. „კომუნისტში“ (18 დეკ.) დეპეშა მოსკოვიდან.

სპარსეთ-საბჭოთა კავშ. სავაჭრო ურთიერთობა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა სპარსეთის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი ბ. **მოხამედ-ხან შეიბანი** და ჯულფა-თავრიზის რკინის გზის უფროსი და სპარსეთის გზათა მიმოსვლის სამინისტროს წარმომადგენელი ბ. **გედაიტოლახ-ხან ქალანთარი**. მათი ჩამოსვლის მიზანია შეიძინონ ა.-კ. რკინის გზების სამმართველოსაგან ჯულფა-თავრიზის რკინის გზისათვის მოძრავი შემადგენლობა, ახალი შპალები და რკინის გზის ტრანსპორტისათვის საჭირო სხვა მასალები.

ბ. მოხამედ-ხან შეიბანი ჩვენს თანამშრომელთან საუბარში შეეხო სპარსეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობას და განაცხადა:

— ჯულფა-თავრიზის რკინის გზა მთავარი ხაზია, რომლითაც სწარმოებს სავაჭრო ურთიერთობა და ტვირთების გადატან-გადმოტანა ორივე ქვეყნებს შორის. სამწუხაროდ აღნიშნული რკინის გზის მდგომარეობა არ შეეფერება სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებულ სავაჭრო ურთიერთობის მასშტაბს; ჯულფა-თავრიზის რკინის გზაზე მოძრავი შემადგენლობის სიმცირის გამო ხშირად ბრკოლდება ტვირთების გადაზიდვა.

იმ მიზნით, რომ ჯულფა-თავრიზის რკინის გზა სავსებით შეეფერებოდეს ორივე ქვეყნებს შორის არსებულ სავაჭრო ურთიერთობის მოთხოვნილებებს, სპარსეთის მთავრობამ გადასწყვიტა შეიძინოს საკმაო რაოდენობის მოძრავი შემადგენლობა (ვაგონები, ორთქლმავლები და სხ.).

ამ დავალებით ჩამოსული ვართ თბილისში, სადაც ჩვენ ვფიქრობთ, მივაღწევთ შეთანხმებას ამიერ-კავკასიის რკინის გზის უწყებასთან. მაგრამ, თუ ა.-კ. რკინის გზამ რაიმე მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შესძლო მოგვცეს ჩვენთვის საჭირო საქონელი, მაშინ დავალებული გვაქვს წავიდეთ მოსკოვში და მოვაგვაროთ ეს საქმე.

ყოველ შემთხვევაში, უახლოესი თვეების განმავლობაში ჯულფა-თავრიზის რკინის გზა სავსებით უზრუნველყოფილი იქნება საჭირო რაოდენობის მოძრავი შემადგენლობით, რაც ხელს შეუწყობს სპარსეთისა და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა

რკინის გზელი მუშები მოითხოვენ ლენინის უბანში და რკინის გზის სადგურის მახლობლად მდებარე კერძო სამიკიტნოების დაკეტვას.—შრომის დისციპლინა მემანქანეთა შორის ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე.—ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის სამჭედლო საამქროს ადმინისტრატორი მოქ. კუჩერენკო მთვრალი ცხადდება სამუშაოზე

ვებრძოლოთ ლოთობას

ჩვენ საწარმოებში ამჟამად გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს რაციონალიზატორული და სამუშაო დროის შესამცირებელი მუშაობა. ამასთან დაკავშირებით პროფკავშირები დიდ მუშაობას აწარმოებენ შრომის დისციპლინის გასამტკიცებლად და საწარმოო თათბირების საქმიანობის გასაჯანსაღებლად. მაგრამ ეს მუშაობა თავისთავად არავითარ ნაყოფს არ მოიტანს თუ თვით მუშებმა არ შეუწყეს ხელი შრომის დისციპლინის აწევას და არ მიიღეს აქტიური მონაწილეობა წარმოების გაჯანსაღებაში.

ამისათვის, რომ გავაუმჯობესოთ წარმოება და გადავიდეთ მოკლე სამუშაო დღეზე, უპირველეს ყოვლისა საჭიროა მუშის დამოკიდებულების გაუმჯობესება წარმოებასთან და შრომის დისციპლინის აწევა. ამაში დიდი მნიშვნელობა აქვს მუშებში კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობას და საერთოდ პროფესიონალური ორგანოების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. შრომის დისციპლინის დასამყარებლად და მის გასამტკიცებლად არ კმარა მარტო ადმინისტრატიული ზომები. ასეთი საშუალებით მუშას ვერ შევაგნებინებთ შრომის დისციპლინის მნიშვნელობას. ამისათვის აუცილებელი საჭიროა მუშათა კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ასეთი საშუალებით მეტოქეობის გაწევა სამიკიტნოებზე.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერი გაკეთებულა. პროფკავშირის ადგილობრივმა ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს კულტურული მუშაობის გაცხოველება და ზოგიერთი მუშის გამოსწორება. ეს ითქმის განსაკუთრებით რკინის გზებზე. აქ ძალიან მოისუსტებს შრომის დისციპლინის დარღვევისა და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა; მაგალითად მემანქანეებში თითქმის არავითარი მუშაობა ამ დარგში არ სწარმოებს. ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ შრომის დისციპლინის დარღვევას მემანქანეებში უფრო აქვს ადგილი, ვიდრე სხვა დარგის მუშებში.

ლოთობას განსაკუთრებით ხელს უწყობენ ლენინის რაიონში მდებარე აურაცხელი კერძო სამიკიტნოები, საიდანაც წესით სარგებლობენ მუშები და სადაც თვის ბოლოში სტოვებენ თავიანთი ჯამაგირის მეტ ნაწილს. მთავარ სახელოსნოს მუშებმა ითხოვეს ამ სამიკიტნოების დაკეტვა. მაგრამ არაფერი გამოვიდა. ხაზის სადგურების მახლობლად ბევრია სამიკიტნოები. რკინისგზელთა პროფკავშირმა ანგარიში უნდა გაუწიოს ამ გარემოებას და დასვას საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე აღნიშნულ სამიკიტნოების დაკეტვის შესახებ. ამასთანავე საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები ადგილობრივი კულტკომისიების მუშაობის გასაცხოველებლად. თითეული მუშა ჩაბმული უნდა იქნას სხვადასხვა საზოგადოებრივ მუშაობაში. ის უნდა დავაკმაყოფილოთ კულტურულად, შევაგნებინოთ შრომის დისციპლინის მნიშვნელობა. მხოლოდ ასეთი საშუალებით შევძლებთ ნაყოფიერად ჩავატაროთ რაციონალიზატორული მუშაობა და გავაჯანსაღოთ ჩვენი წარმოება.

რკინისგზელი.

„რა შესძლებია ღვინოს“

ამას წინად სამი მემანქანე: გიორგი, სტეფანე და „რიჟა“ ივანე შევიდნენ გორჯაანის სადგურის მახლობლად მდებარე ე. წ. გასპარას სამიკიტნოში და გააჩაღეს ქეიფი. ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო სადღეგრძელოების მჭერმეტყველი სიტყვები

საკვირველია: არც საერთო კრებებზე და არც სხვა რაიმე თათბირებზე, კაცი ვერ გაიგებს მათ ლაპარაკს. აქ—სამიკიტნოში კი ერთი მეორეს ეჯიბრებიან სადღეგრძელოებში. წარმოთქმაში არაფერი დარჩათ —სადღეგრძელებელი: მტერი თუ მოყვარე, ცოცხალი თუ მკვდარი, ხეები და ბუჩქები, მზე და მთვარე, მთა და ბარი, გამვლელ-გამომვლელი და სხვ.

— კიდევ ერთი სადღეგრძელო ამხანაგებო! ღიმილით გიორგიმ და ღვინით სავსე ჭიქით ხელში წამოდგა ფეხზე.—ეს გაუმარჯოს ჩვენ მემანქანეს, რომელიც არ გამოცხადდება მატარებელში წასასვლელად და მის მაგიერ წავალთ ჩვენ, რომლებიც განუწყვეტლივ და დაუყენებლივ ვდგევართ რიგში მატარებელში წასასვლელად.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!—შესძახეს ერთხმად მოქეიფეებმა და ასტეხეს ერთი ალიაქოთი, ხვევნა, კოცნა, სიმღერა, ტაში, ცეკვა და შემდეგ კიდევ სადღეგრძელოები.

ამ დროს სადგურის წინ, პირველ ხაზზე, ერთი ცივი მემანქანე მიტრო ამზადებდა ორთქლმავალს. სახალხო მატარებლის შემოსვლის შემდეგ სამუშაოდ უნდა გამგზავრებულიყო.

მოქეიფეები აიშალნენ. გაუსწორეს სამიკიტნოს პატრონს ანგარიში და ბარბაცით წაუმიზეზოთ დაუწყეს ჩხუბი ორთქლმავალზე ვიდნენ სადგურისაკენ. აქ მათ სრულიად მომუშავე მემანქანეს და ცოტა ხნის შემდეგ თავპირიც წაუშინეს. მოხუცი მემანქანე მიხვდა, რომ საქმე ცუდადაა. მთვრალი მემანქანეები აპირებდნენ ორთქლმავლის ნებადაურთველად წაყვანას. სახალხო მატარებელი საცაა უნდა შემოვიდეს სადგურზე.

მიტროს დაავიწყდა მთვრალი მემანქანეების მიერ მიყენებული მწარე ტკივილები და სისხლის დენა; მან საჩქაროდ მოხსნა ორთქლმავალს წასასვლელი „კრანი“ და მორთო ყვირილი. ასე „პირნათლად“ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა ლოთმა მემანქანეებმა.

ცემისაგან დაბეჟილი მიტრო, რკინის გზის საავადმყოფოში წევს და ებრძვის ტკივილებს. ლოთი მემანქანეები კი ამჟამად ამ.-კ. რკ. გზ. სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტ-სამმართველოს სარდაფში განისვენებენ და ეკითხებიან ერთი მეორეს: „რა შესძლებია ღვინოს?“.

მუშურ-გლეხური სასამართლო სათანადო სასჯელს მიუსჯის შრომის დისციპლინის დამრღვევებს და ხულიგან მემანქანეებს.

მემანქანე.

ლოთი ადმინისტრაცია

(ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხანა)

ყველასათვის ცხადია, თუ რა შედეგი მოაქვს ლოთობას, როგორც თვით მუშების ოჯახისათვის, ისე მის ჯანმრთელობისათვის და წარმოებისათვისაც. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მუშა მაინც განაგრძობს ლოთობას და აუარებელ ზარალს აყენებს თავის ოჯახსაც და წარმოებასაც.

ორთქლმავლების და ვაგონების შემკეთებელ ქარხნის სამჭედლო საამქროს ადმინისტრატორს, მიხეილ კუჩერენკოს, ძალიან უყვარს ღვინო. ის ხშირად ითვრება და ისე მოდის წარმოებაში სამუშაოდ; ამას წინად მოქ. კუჩერენკომ ღამის, დაახლოვებით 7 საათზე, ბარბაცით მოიარა საამქრო და სრულიად უმიზეზოდ აუტეხა ყვირილი ღამის ოსტატს, ამხ. მეტრეველს. კუჩერენკო, ამ გაცხოველებულ მუშაობის დროს, მოითხოვდა ცნობას იმის შესახებ—თუ რომელი მუშა როგორ მუშაობს, ჯერ ერთი ეს ცნობა მას სრულიად არ ესაჭიროებოდა, და მეორეც, საღამოს 7 საათზე რა დროს ცნობის მიცემა იყო. მას ღვინო ულიტინებდა თავში და ამით სხვასაც აცდენდა მუშაობიდან.

გარდა ამისა, მოქ. კუჩერენკო ხშირად ადრე ანებებს თავს საამქროს და მიდის ღვინოს დასალევად. ასეთი შემთხვევა იყო მაგალითად ნოემბრის ბოლო რიცხვებში. ეს გარემოება აფერხებს წარმოების მუშაობას და ხელს უშლის შრომის ნაყოფიერებას. აღსანიშნავია, რომ ღვინით გალეშილ მოქ. კუჩერენკოს ძალიან ხშირად ხედავს ადმინისტრაცია, მაგრამ არაფერს ეუბნება. რად ხდება ასე? რატომ არ მოსთხოვს პასუხს საამქროს გამგე ლოთ კუჩერენკოს?

ზალიკო.

საყურადღებო საკითხები

მუშგლეხკორთა მდევნელების წინააღმდეგ სასტიკი ზომები უნდა იქნას მიღებული.—სოფ. ჩუმლაყის გლეხობა აშენებს სკოლის შენობას.—მანავის თემის საექიმო პუნქტი დიდ დახმარებას უწევს მშრომელ მოსახლეობას. დადგენილება წითელარმიელთა ოჯახებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ უნაკლოდ უნდა განხორციელდეს.

გლეხკორს სდევნიან

(ყაზბეგის თემი, სოფ. სნო)

თვითკრიტიკის ლოზუნგმა ფართო გამოძახილი ჰპოვა მშრომელ საზოგადოებაში და საგრძნობლად აამოძრავა მუშ-გლეხკორები. ისინი დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებენ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და საშკარაოზე გამოაქვთ ყოველგვარი ბოროტმოქმედება, არავის არ ერიდებიან იმ იმედით, რომ მათ ჰყავთ მძლავრი დამცველი, საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც სასტიკად გაუსწორდება ყველა იმას, ვინც სიმართლის დაწერისათვის ხმას აღიმაღლებს მუშ-გლეხკორების —ახალი საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეთა წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ხშირია შემთხვევა, მუშ-გლეხკორთა დევნისა.

აი ამის მაგალითი: გაზ. „კომუნისტი“-ს 3 ივლისის ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „აღმასკომის თავმჯდომარე კულაკებს ეხმარება“. წერილი შეეხებოდა ყაზბეგის თემის აღმასკომის თავმჯდომარე გიორგი ღუდუშაურის უკანონო მოქმედებას. კორესპონდენტი აღნიშნავდა, რომ „ღუდუშაურმა სიღარიბის მოწმობა მისცა სოფ. სნოს მცხ. კულაკ ივანე ხართიშვილს, რომლითაც მან აცდინა სწავლის ფულის გადახდა“-ო. ყოფილ დუშეთის მაზრის ხელისუფლებას ამ გარემოებისათვის არავითარი ყურადღება არ მოუქცევია. ამით გათამამებული ღუდუშაური დღესაც არხეინად განაგრძობს ძველებურ „მოღვაწეობას“.

რა მოუვიდა ხართიშვილს, ის უმაღლეს სასწავლებელში აპირებდა შესვლას, მაგრამ ყალბი მოწყობის გამო, იგი გამოცდებზე არ დაუშვეს და დღის სწავლის გარეშეა დარჩენილი. ამ გარემოებით აღშფოთებულმა ხართიშვილმა დაიწყო კორესპონდენტის ძებნა, ბოლოს წერილის ავტორობა იჭვით დააბრალეს მასწავლებელ ქალს, ბაბალე ხართიშვილს, რომელიც საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს და ებრძვის ყოველგვარ უსამართლობას, თუმცა ხსენებული წერილის ავტორი ბაბალე ხართიშვილი არ არის. ივანე ხართიშვილი და მისი მშობლები მიუცვივდნენ სახლში მასწავლებელ ქალს და საშინელი შეურაცხყოფა მიაყენეს. ეს ვაჟბატონები სიკვდილითაც კი დაემუქრნენ ბაბალე ხართიშვილს. თუ ადგილობრივი ხელისუფლება არ მიიღებს რაიმე ზომებს კორესპონდენტის მდევნელების დასასჯელად, შესაძლებელია ივანე ხართიშვილმა აასრულოს კიდეც მუქარა.

ჯაყო.

ვაშენებთ სკოლის შენობას

ჩუმლაყი, კახეთის მაზრა

კულტურულ მუშაობას სოფლად დიდი ყურადღებით ეპყრობა პარტია და საბჭოთა ხელისუფლება. ამ მხრივ არც ჩვენი ორგანიზაცია ჩამორჩა სხვებს. ჯერ კიდევ გასულ წელში ჩუმლაყის პარტორგანიზაციამ და კომკავშირმა გადადგეს პირველი ნაბიჯი, შეძენილ იქნა 30 ათასი ცალი აგური, სულ სხვადასხვა საშუალებებით შეძენილია 80 ათასი ცალი. გლეხობამ გადასწყვიტა ოთხწლედისთვის შენობის აგება თვითდაბეგვრის საშუალებით. საქმის განხორციელება მიენდო საამშენებლო კომისიას. მიმდინარე წელში სკოლის შენობის აგების მუშაობა დამთავრდება მიმდინარე წლის ბოლომდე. შენობის აგება ჯდება 12.252 მანეთი. სულ იქნება 6 საკლასო ოთახი.

კომისიას განზრახული აქვს სახალხო სახლის აგებაც, რაშიაც გლეხობაც გაუწევს დახმარებას. სკოლის საამშენებლო მუშაობაში დიდი შრომა მიუძღვით ამხ. ეფრემ ედიშერაშვილს, ნიკ. ბერიაშვილს და ალექსი ბერულაშვილს

მიხ. ხარჩევნიშვილი.

დადგენილებას არ ახორციელებენ

ვანის თემი, ქუთაისის მაზ.

თანახმად ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისა, წითელ-არმიელებისა და პოლიტშემადგენლობის ოჯახის წევრები უნდა სარგებლობდნენ სხვადასხვა შეღავათებით. მიუხედავად ამისა, ადგილებზე ჯერ კიდევ ბევრმა არ იცის ასეთი დადგენილების შინაარსი და მას ცხოვრებაში არ ახორციელებენ. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ვანის თემი, სადაც აღმასკომის თავმჯდომარე სრულიად ვერ იცნობს ასეთ დადგენილებას. ასევე ითქმის ვანის სკოლის გამგეზედაც, რომელიც არავითარ შეღავათს არ აძლევს წითელ არმიელთა ოჯახის წევრებს სკოლაში მიღების დროს.

ასეთ დაუდევრობაში დამნაშავეა არა მარტო თემაღმასკომების თავმჯდომარეები, არამედ სამაზრო ხელისუფლებაც, რომელიც ამის შესახებ არავითარ ცნობას არ აწვდიან თემაღმასკომის თავმჯდომარეებს.

დროა ამის შემდეგ მაინც მიექცეს სათანადო ყურადღება უმაღლესი ხელისუფლების მიერ გამოცემული დადგენილების ცხოვრებაში გატარებას წითელარმიელთა შეღავათების შესახებ.

ი. ეფრემიძე.

მანავის წითელი ჯვრის საექიმო პუნქტი

(გარე-კახეთი)

სამი-ოთხი წლის წინეთ მანავის თემში მალარიას მაგრად ჰქონდა ფეხი მოკიდებული, თემში იშვიათი იყო ისეთი ოჯახი, სადაც მალარიით დაავადებული ავადმყოფი არ ყოფილიყო. გლეხობა მოკლებული იყო სათანადო საექიმო დახმარებას. მეზობელ თემის საექიმო პუნქტი კი მანავიდან 12-13 ვერსით იყო დაშორებული რის გამო გლეხობა ამ პუნქტით ვერ სარგებლობდა.

მდგომარეობა ერთობ შეიცვალა საქართველოს წითელი ჯვრის საექიმო პუნქტის დაარსებამ. პუნქტი დაარსებისთანავე კარგად მოეწყო. გლეხობას ეძლევა უფასო საექიმო დახმარება და მედიკამენტები. ადგილობრივი მედპერსონალი არ იშურებს არავითარ შრომას და ენერგიას ჯანმრთელობის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

ყოველთვიურად პუნქტში რამოდენიმე ასეული ავადმყოფი ტარდება. მალარიით დაავადების შემთხვევა საგრძნობლად შემცირდა. ადგილობრივი საექიმო პუნქტი ეხმარება არა მარტო მანავის თემის მცხოვრებთ, არამედ აგრეთვე მახლობელ სოფლების გლეხობასაც.

ცისველი.

უნაყოფო შრომა

ს. ვარდისუბანი, კახეთის მაზრა

სოფელ ვარდისუბანში ნახევარი კილომეტრის მანძილზე გაიყვანეს ახალი გზა. აქ საჭირო იყო ხიდის გაკეთება, რომლის აგება დამთავრდა ამ ორი თვის წინად. ხიდის აგება 4 ათასი მანეთი დაჯდა სამუშაო ბეგარის გარდა. ხიდის აგების დამთავრებისთანავე ჯერ ორივე კიდელი დაირღვა და შემდეგ წვიმის დროს ხიდი სულ განადგურდა.

ამ ხიდის აგებას ხელმძღვანელობდა ამხ. თანდილაშვილი და ტეხნიკები ამხ. აზიკური და კირვალიძე. ეს ამხანაგები ხიდის სიმკვიდრისათვის იმდენ ზომებს არ იღებდნენ, რამდენადაც უფრთხილდებოდნენ კულაკ ნამღვდლევის მამულს, რომ გზას მის მამულზე არ მოსწეოდა გავლა. სწორედ ამან გამოიწვია ასეთი უთავო მუშაობა და უთავბოლო ხარჯები.

საჭიროა კახეთის აღმასკომმა ეს საქმე დაწვრილებით გამოიკვლიოს და დამნაშავეებს პასუხი მოსთხოვოს, რომ შემდეგში არ განმეორდეს ასეთი უყაირათობა და სახელმწიფო ქონების უქმად გადაყრა.

გ.—ლი.

ჭიათურა

ახალგაზრდობა წარმოებაში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

კონცესიონერის დროს ჭიათურის წარმოებაში ჩაბმულ მოზარდ მუშების რიცხვი უდრიდა მთელი მუშების 6 პროცენტს.

ამავე დროს მოზარდი მუშები დაშვებულნი იყვნენ მხოლოდ გარეთ სამუშაოებზე. მაღაროებსა და ქარხნებში მოზარდნი თითქმის არ მუშაობდნენ.

არ იყო დაყენებული სათანადოთ მოზარდთა მომზადების საქმე, მათი კვალიფიკაციის ამაღლება. მოზარდი ახალგაზრდობა მოკლებული იყო საშუალებას გაეცნო დაახლოებით ესა თუ ის ხელობა და მომზადებულიყო შემდგომი მუშაობისათვის განსაკუთრებულ დარგში.

ეხლა მოზარდთა ჩაბმას წარმოებაში და მათ მომზადებას მიქცეული აქვს კომკავშირის რაიკომის და პროფკავშირების მიერ სერიოზული ყურადღება.

ამჟამად სწარმოებს გამოკვლევა იმის, თუ რამდენი მოზარდია ჩაბმული წარმოებაში და რა სამუშაოს ასრულებენ ისინი. ირკვევა აგრეთვე მათი ხელფასი და კვალიფიკაცია.

მოზარდ მუშების რიცხვი, თანახმად არსებული კანონმდებლობისა, უნდა უდრიდეს მთელი მუშების 4 პროცენტს. მხოლოდ, მოზარდნი ჩაბმულნი იქნებიან ყველა დარგის სამუშაოებში, როგორც გარეთ, ისე ქარხანა-მაღაროებში.

მაღაროებში დაშვებულნი იქნებიან მოზარდნი 18 წლიდან 20 წლამდე, გარე სამუშაოებზე კი — 14 წლიდან —18 წლამდე.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მოზარდთა მომზადებას. ეს ახალი საქმეა ჭიათურაში და ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა სათანადო ნაბიჯი. ამას წინად მოწვეულ იქნა მუშების სარაიონო თათბირი, რომელსაც დაესწრენ მაღალი კვალიფიკაციის მუშები. თათბირზე დასმული იყო საკითხი მოზარდთა მომზადების შესახებ, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს მათთან მუშაობა და როგორი მეთოდი უნდა იქნეს შემოღებული.

გამოსულმა მუშებმა გამოსთქვეს აზრი ამ საკითხის შესახებ, მათ აღნიშნეს, რომ საჭიროა, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდობა თეორიულად გაეცნოს ამა თუ იმ სამუშაოს და, შემდეგ, გადაყვანილ იქნეს ხელოსნად. საჭიროა აგრეთვე, რომ ახალგაზრდობა მიეჩვიოს წესიერ მუშაობას, დისციპლინიანობას, რის გარეშე შეუძლებელია ხელობის შესწავლა. გამოითქვა აგრეთვე ის აზრი, რომ მუშაობის ყველა დარგისათვის შემუშავებული უნდა იქნეს მტკიცე პროგრამა და აგრეთვე გაძლიერებული კულტურული მუშაობა ახალგაზრდათა შორის.

დასასრულს თათბირმა აირჩია 13 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა გეგმის და მითითებების გამომუშავება მომავალ კვალიფიციურ ხელოსანთა მოსამზადებლად.

ე. ხუციშვილი.

სატყეო ტეხნიკუმის გახსნა ყვარელში

კვირას, 16 დეკემბერს, ყვარელში (კახეთის მაზრა) მოხდა სატყეო ტეხნიკუმის საზეიმო გახსნა, რომელსაც დაესწრენ სახ. კომისართა საბჭოს წარმომადგენელი ამხ. კ. კაკაბაძე განათლების კომისარიატიდან—ამხ. ი. ზაუტაშვილი, კახეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. აფციაური, სამაზრო პარტკომის მდივანი ამხ. მ. ვარამაშვილი, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელი და სხ.

ტეხნიკუმის საზეიმო გახსნას დაესწრენ აგრეთვე აუარებელი გლეხები.

საზეიმო სხდომა გახსნა კახეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ—ამხ. აფციაურმა, რომელმაც აღნიშნა ტეხნიკუმის გახსნის მნიშვნელობა.

შემდეგ ტეხნიკუმის დაარსების შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ტეხნიკუმის გამგემ მიხ. თაქთაქიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ასეთი ტეხნიკუმი პირველია არა თუ საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაშიაც.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს სახ. კომისართა საბჭოს სახელით ამხ. კ. კაკაბაძემ, განათ. კომ. სახელით—ამხ. ი. ზაუტაშვილმა, სამაზრო პარტკომის მდივანმა ამხ. მ. ვარამაშვილმა, სხვადასხვა ტეხნიკუმის მოწაფეთა და მასწავლებელთა წარმომადგენლებმა, გლეხების წარმომადგენლებმა და სხ. დასასრულ წაკითხულ იქნა საქ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„საქართველოს ცხოვრებაში ტყესა და მის ცოდნით დამუშავებას უეჭველად დიდი ადგილი უჭირავს. მიუხედავად ამისა, ჩვენში აქამდე არ მოიპოვებოდა არც ერთი სპეციალური სასწავლებელი, სადაც საგანგებოდ აღიზრდებოდნენ სატყეო დარგის მუშაკები. სწორედ ამიტომ პირველ სატყეო ტეხნიკუმის გახსნას სოფელ ყვარელში საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავს და ჩვენი ქვეყნის მშრომელი მოსახლეობის სახელით მიუძღვის მხურვალე სალამს, გამოვთქვამთ რწმენას, რომ ყვარელის სატყეო ტეხნიკუმი მოგვცემს ნამდვილი ცოდნით აღჭურვილ ახალ კადრებს, რომლებიც თავიანთი ნაყოფიერი შრომით ხელს შეუწყობენ ჩვენი ქვეყნის ნივთიერ და კულტურულ წარმატებას“.

დეპეშის წაკითხვას მხურვალე ტაშით შეხვდა დამსწრე საზოგადოება. შემდეგ წაკითხულ იქნა სხვადასხვა ორგანიზაციების მისასალმებელი დეპეშები.

კრებამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნოს საქართველოს ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს, საქ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლ. ქართველიშვილს, საქ. კომპ. (ბ) ცეკას, განათ. სახ. კომისარს ამხ. დ. კანდელაკს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

ტეხნიკუმი მოთავსებულია ყოფ. ყაზარმაში, რომლის გადაკეთება ტეხნიკუმის მოთხოვნილებასთან შეფარდებით კახეთის სამაზრო აღმასკომს დაუჯდა 25.000 მანეთი. ტეხნიკუმისათვის საჭირო ლაბორატორიები, კაბინეტები და სხვა მოწყობილობა შეძენილია განათლების კომისარიატის მიერ. ტეხნიკუმთან მოწყობილია მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი. მოსწავლეთა რიცხვი უდრის 85. აქედან 82 კომკავშირელია. ტეხნიკუმი 4 წლის შემდეგ გამოუშვებს ტყის გამგის თანაშემწეებს, ტაქსატორებს და ხის ნაწარმოების დამზადების ტეხნიკოსებს.

მისალმება საქ. სახკომსაბჭოს

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ქართველიშვილმა ყვარელში სატყეო ტეხნიკუმის გახსნის გამო შემდგარ საზეიმო მიტინგის სახელით მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა: „კახეთის სატყეო ტეხნიკუმის გახსნის გამო მოწვეული საზეიმო მიტინგი მოგესალმებათ მორიგ ბრწყინვალე გამარჯვებას კულტურულ ფრონტზე. მთელი კახეთის მოსახლეობა აღგითქვამს აქტიურ დახმარებას თქვენ მიერ დაწყებულ ყოველგვარ საქმიანობაში, რათა პარტიის და ხელისუფლების საბოლოო მიზანი—კომუნიზმი ბრწყინვალედ იქნეს განხორციელებული“

5.029.858 მან. იარაღ-მანქანები საქ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის

„სოფლის კავშირმა“ შეიმუშავა მიმდინარე წლის სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვით განზრახულია 5.029.858 მანეთის საქონლის მიწოდება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის. აქედან სას.-სამ. იარაღ-მანქანების შესაძენად გამოყოფილია 1.715.845 მანეთი. გეგმის თანახმად შემოზიდული იქნება სხვადასხვა გუთნები—6.855 ცალი, ფარცხი—535, კულტივატორი—2.110, სათესი მანქანა—530, ძნის შესაკრავი მანქანა—100, სათიბი მანქანა—161, ფოცხი—200, ცელი—26.600, სალეწი მანქანა—26, ტრიერი—210, სანიავებელი მანქანა—310, ხორბლეულის საწმენდი მანქანა—200, თივის საწნეხი მანქანა—40, სიმინდის საფშვნელი მანქ.—4.180, გოგირდის სასხურებელი მანქანა—5.430, ვერმორელის აპარატი—8.329, ხილის საშრობი მანქანა—20, შუშხუნა—5.000, ტრაქტორი „ინტერნაციონალი“—39, ტრაქტორი „ვატერპილერი“—52, პუტილოვის ქარხანაში დამზადებული ტრაქტორი— 50, ტრაქტორის სათადარიგო ნაწილები—20.000 მანეთის, სხვადასხვა სავეტერინარო იარაღები—7.600 მანეთის, ღვინის სარდაფის მოწყობილობა—32.500 მან., მეფუტკრეობისათვის საჭირო ინვენტარი—8.415 მან., მერძევეობის ინვენტარი—49.760. ხელოვნური სასუქი—60 ტონა, შაბიამანი—2.500 ტონა, გოგირდი—1.300 ტონა. გარდა ამისა შემოზიდული იქნება სხვადასხვა რკინეული და საქონლის საკვები. პირველ კვარტალში შემოზიდული იქნება 710.880 მანეთის საქონელი, მეორე კვარტალში—3.021.162 მანეთის, მესამე კვარტალში—924.480 მანეთის და მეოთხე კვარტალში—373.776 მანეთის.

როგორ მიმდინარეობს რიონჰესის სამუშაოები

რიონჰესის სამუშაოების საერთო სურათი (თომაში)

ქუთაისი, 18 დეკემბერი. რიონჰესის საამშენებლო კომიტეტი შეუდგა საგუბარის აგებას. დამთავრებულია წყალგადასაშვების გაყვანა საგუბრის მარჯვენა სანაპირო ჯებირების ასაგებად. დაიდგა წყლის ამოსაქაჩი მანქანები და სწარმოებს ქვაბულის ამოღება საგუბრის ასაგებად. კლდის სამუშაო შესრულებულია ქვაბულის ამოსაღებად 7.000 კუბ. მეტრი. მალე შეუდგებიან საბეტონო მუშაობას საგუბრის მოსაწყობად.

ხალორიის ზეგანზე არხის გასათხრელად ამოღებულია 53.000 კუბ. მეტრი მიწა.

ანტირელიგიური პროპაგანდა

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ ყველა კავშირების ცენტრ. გამგეობებს, სამაზრო პროფბიუროებს და ავტონომიურ რესპუბლიკების პროფსაბჭოებს მიმართა ცირკულიარული წერილით, რომელშიაც ნათქვამია:

საშობაო დღესასწაულების მოახლოების გამო საჭიროა პროფკავშირების წევრთა შორის გაძლიერებული იქნეს ანტირელიგიური პროპაგანდა.

უკანასკნელ ხანებში სარწმუნოებრივ ორგანიზაციებს ერთგვარი გამოცოცხლება ემჩნევა. საჭიროა ამ მოვლენას დავუპირისპიროთ ფართო ანტირელიგიური პროპაგანდა, რომ გამომჟღავნებული იქნეს საეკლესიო დღესასწაულების, კერძოთ შობის და ნათლისღების დღესასწაულების რეაქციონური ხასიათი.

მიმდინარე ანტირელიგიური კამპანია მიზნათ ისახავს აგრეთვე „ურწმუნოთა“ საზოგადოების იდეების გავრცელებას პროფკავშირების წევრთა მასაში და ხსენებული საზოგადოების უჯრედების დაარსებას კლუბებსა, წითელ კუთხეებსა და წარმოება-დაწესებულებებში.

ანტისაშობაო და ანტინათლისღების კამპანია ჩატარებული იქნება იანვრის 20-დე (შობა და ნათლისღება მართლმადიდებელნი უქმობენ 6 იანვრის 7—19-ს, ხოლო სომხები იანვრის 5—6-ს.)

ანტირელიგიური კამპანიის ჩასატარებლად ძირითად ფორმებს უნდა შეადგენდეს მოხსენებები, ლექციები და საუბრები ანტირელიგიურ და საბუნებისმეტყველო თემებზე; სასურველია მოეწყოს აგრეთვე კითხვა-პასუხის საღამოები ანტირელიგიურ თემაზე. ასეთ საღამოებზე მოწვეული უნდა იქნეს 3 ლექტორი (ანტირელიგიური პროპაგანდისტი, ბიოლოგი და ექიმი).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ანტირელიგიურ და, კერძოდ, ანტისაშობაო ლიტერატურის გავრცელებას. ამ მიზნით ყველა კლუბებსა, წითელ კუთხეებსა და ბიბლიოთეკებში საჭიროა მოეწყოს ანტირელიგიური ლიტერატურის გამოფენა.

საჭიროა აგრეთვე ფართოდ იქნეს გამოყენებული კინო საბუნებისმეტყველო და ანტირელიგიური კინო-სურათების საჩვენებლად. ყველა ანტირელიგიური საუბრები, ლექციები, მოხსენებები და მხატვრული დადგმები უნდა თავდებოდეს მოწოდებით, რომ მსმენელნი ჩაეწერონ „ურწმუნოთა“ საზოგადოებაში.

იანვრის 5, 6, 7 და 19 კლუბებსა და წითელ კუთხეებში უნდა მოეწყოს დიდი მხატვრული საღამოები საუკეთესო ძალების მონაწილეობით, რომ ამ საღამოებზე მოზიდული იქნეს მუშათა მასა. მასწავლებელთა შორის ანტირელიგიური კამპანიის ჩატარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს განათლების მუშაკთა კავშირმა, რისთვისაც უნდა მოეწყოს სპეციალური მოხსენებები და ლექციები ანტირელიგიური მუშაობის მეთოდის შესახებ სკოლებში.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

მშრომელ ებრაელთა მიწად-მოწყობა

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა მშრომელ ებრაელთა მიწად - მომწყობ საზ-ბის მოხსენება მშრომელ ებრაელთა მიწად-მოწყობის შესახებ და მოხსენების მიხედვით, პრაქტიკული ღონისძიებების გამოსამუშავებლად გამოყოფილი ცალკე კომისია ამხ. ი. ვარძიელის (თავმჯდ.), ლინეცკის და დიმოევის შემადგენლობით.

უზენაესი სასამართლო

საქ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, ს. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს წევრი სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურ ოლქიდან ამხ. **ეფრემ გრიგოლისძე გაგლოევი** განთავისუფლებულია თავის მოვალეობიდან.

ს. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს წევრად სამხრეთ - ოსეთიდან დაინიშნა ამხ. **გიორგი ბესარიონისძე ჯიოევი.**

მიწად-მოწყობა თბ. მაზრაში

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა თბ. აღმასკომს პირველ რიგში მიწად - მოწყობა ჩაატაროს სოფ. სალაშენში, ბოგვში, დიდ ენაგეთში და სხ. მეზობელ სოფლებში და შესაძლებლობის ფარგლებში დააკმაყოფილოს დიდი ენაგეთის მცხოვრებნი მათთვის საჭირო საძოვრების გამოყოფით.

საქ. სახკომსაბჭოში

დელფინების დაჭერა და დამუშავება

სახკომსაბჭოს დადგენილებით საქართველოს ტერიტორიაზე დელფინების დამჭერი და გადამმუშავებელი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მათ მიერ დამზადებული დელფინების ტყავისა და ქონის მთელი რაოდენობა ჩააბარონ ტყავეულობის საკავშირო სინდიკატს.

ადგილების შემსწავლელი თათბირის მოწვევა

საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო ნახევრად უდაბნო ამოშრობილი და სამთო საძოვარი ადგილების შემსწავლელი თათბირის მოწვევა.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ

პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს მოხსენების თანახმად წინადადება მიეცა ყველა აღმასკომს გამონახონ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის საჭირო სახსარი (მოსახლეობის თვითდაბეგვრის წესით).

ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო, რათა საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 1929 საოპერაციო წელში გასაშენებელი პლანტაციების სივრცე გადიდებულ იქნეს 2.733 ჰექტარიდან 3.500 ჰექტარამდე. აქედან აფხაზეთში — 500 ჰექტარი, აჭარისტანში—525 ჰექტ., სამეგრელოში—826 ჰექტ. და გურიაში—1.649 ჰექტარი.

წინადადება მიეცა სასოფლო-სამეურნეო ბანკს გაითვალისწინოს თავის წლიური გეგმით 255.400 მან. გრძელვადიანი კრედიტის გაღება ზემოხსენებულ საჭიროებისათვის.

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს ეთხოვა მოახდინოს განკარგულება აღნიშნულ თანხის ვალების შესახებ ამიერ-კავკ. სას.-სამ. ბანკიდან 1928—29 წ. განმავლობაში.

წინადადება მიეცა ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს უზრუნველჰყოს ჩაის რაიონები საჭირო რაოდენობის პურით.

კომკავშირის კულტურული ლაშქრობა

ექიმების მონაწილეობა ლაშქრობაში

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებასთან შესდგა ქალაქის სანიტარულ ექიმების, ექიმ-ლექტორების და სანიტარული განათლების დარგში მომუშავე ექიმთა საქალაქო თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი ექიმების მონაწილეობის შესახებ კომკავშირის ხელმძღვანელობით დაწყებულ კულტურულ ლაშქრობაში.

კომკავშირის წარმომადგენელმა ამხ. ხაჩიკიანმა თათბირს გააცნო კულტურული ლაშქრობის მიზნები და ამოცანები. მან აღნიშნა რომ კულტურული ლაშქრობის ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მიქცეული ალკოჰოლიზმთან და ექიმბაშობასთან ბრძოლას. ამ დარგში სამუშაოთ, კომკავშირს განზრახვა აქვს მიიზიდოს ექიმთა ფართო წრეები, რომლებიც გამოყენებული იქნებიან ლექტორებათ და ხელმძღვანელობას გაუწევენ კომკავშირელებს ლაშქრობის პერიოდში. კულტურული ლაშქრობის დროს ფართოდ იქნება დაყენებული სალექციო მუშაობა ექიმა - ლექტორებმა. კომკავშირის მიერ მოწვეულ მასიურ კრებებზე, უნდა გაარკვიონ ყველა ის საკითხები, რომლებიც ხელს უშლიან და აბრკოლებენ მუშათა მასების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას.

ამხ. ხაჩიკიანის საინფორმაციო ცნობის შემდეგ თათბირმა გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც საჭიროთაა ცნობილი, რომ კულტურულ ლაშქრობაში ფართო მონაწილეობა მიიღონ ქალაქის ჯანმრთელობის დარგში მომუშავე ყველა ექიმებმა. ამასთანავე თათბირის აუცილებლათ მიაჩნია, რომ ლაშქრობის დროს კომკავშირის მფრინავმა რაზმებმა მოახდინონ ყველა საზოგადო საკვები ადგილების (სასადილოები, რესტორანები, საკონდიტეროები და სხ.) გამოკვლევა. მოეწყოს ანტისანიტარულ მდგომარეობაში მყოფ ადგილების (ბაზრები, სანაგვე ადგილები) წმენდა. ქალაქის ყველა რაიონებში უნდა ჩატარდეს ექიმბაშობის საწინააღმდეგო ბრძოლა.

თათბირმა საჭიროდ აღიარა აგრეთვე, რომ ყველა მუშათა კლუბებში და მსხვილ წარმოებებში მოეწყოს სანიტარული გამოფენები. კულტურული ლაშქრობისათვის საჭირო წინასწარი სამუშაოების ჩასატარებლათ თათბირმა გამოყო სამი ექიმი, რომლებიც მიმაგრებული არიან კომკავშირის სარაიონო კომიტეტებზე.

აფხაზეთის ადგილობრივი ბიუჯეტი

აფხაზეთის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე განხილული იქნა ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მიერ შემუშავებული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტისა 1928—29 წლისათვის. ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა 3.557.150 მანეთის რაოდენობით. სუბვენცია მასწავლებელთა ხელფასისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 434.773 მანეთის რაოდენობით. ვინაიდან შეუძლებელია სამაზრო ბიუჯეტების შემოსავლის გადიდება და ხარჯების შემცირება ცაკის და სახკომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა ქალაქებში სახელმწიფო სარეწაო გადასახადის ანარიცხებიდან შემოსული თანხიდან გამოყოს 211.600 მანეთი რესპუბლიკურ ფონდში გადასარიცხავად.

ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მიეცათ ქალაქებს 1928—29 წლის ბიუჯეტის შესრულების ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციისგან შემოსულ 10 პროცენტიან ანარიცხებიდან გამოყონ 35 პროც. საგზაო მშენებლობისათვის.

ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ მოსამსახურეთა ხელფასის გადიდებას 1929 წლის 1-ლ იანვრიდან.

საქართველოს მეაბრეშუმეთა თათბირი

მეხუთე სხდომა

თათბირის მეხუთე სხდომაზე (11 დეკემბერს საღამოს) დამთავრდა კამათი ს. ჩომახიძის მოხსენების გარშემო, რის შემდეგ მოსმენილი იქნა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა.

თათბირს ესტუმრა საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარი ამხ. **ს. ჯუღელი**, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა სხდომას.

ამხ. ს. ჯუღელის სიტყვა

თავის მისასალმებელ სიტყვაში ამხ. ს. ჯუღელმა სთქვა: საბჭოთა ხელისუფლების უმთავრეს ამოცანას შეადგენს ჩვენი მრეწველობის აღდგენა-გაფართოება. ამ მიზნის განხორციელება შეუძლებელია ნედლეულის ბაზის გაფართოების გარეშე. ამიტომ სამეურნეო მუშაკებს პირდაპირ მოვალეობას შეადგენს მთელი ძალღონით შეუწყონ ხელი როგორც სასოფლო მეურნეობის, აგრეთვე მრეწველობის შეთანხმებულ და მიზანშეწონილ განვითარებას. თქვენ კარგათ იცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ეკონომიკაში მეაბრეშუმეობას. ძველად ჩვენი გლეხობა, მართალია მისდევდა მეურნეობის ამ დარგს, მაგრამ მეაბრეშუმეობას მაშინ ჩვენში ჰქონდა მხოლოდ ნედლეულის დამზადების ხასიათი და გლეხობა მთლიანად დამოკიდებული იყო კერძო ვაჭრებზე, რომლებიც მიზნად ისახავდენ გლეხის რაც შეიძლება მეტად გაყვლეფას. უკანასკნელი სამი ოთხი წლის განმავლობაში განვითარდა არა მარტო თვით მეაბრეშუმეობა, არამედ წარმოიშვა და გაიზარდა ჩვენი აბრეშუმის მრეწველობა, რომელშიაც ამჟამად ჩაბმულია 5.000 მუშა. ეს უსათუოდ დიდი გამარჯვებაა. მაგრამ ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. მომავალში ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ რომ მეაბრეშუმეობა გლეხობისათვის უფრო ხელსაყრელი და შემოსავლიანი შეიქნეს, და თუ გლეხობა ამჟამად ერთ კოლოფ თესლზე ღებულობს ერთ ფუთ პარკს, უნდა ვეცადოთ, რომ მომავალში მან მიიღოს ორი და სამი ფუთი.

ამასთანავე ერთად, მთელი ძალღონით უნდა შევუწყოთ ხელი აბრეშუმის მრეწველობის გაფართოებას და ნაწარმოების გაიაფებას. ამ მიზნისთვის უნდა ავამაღლოთ ჩვენი ქარხნების მუშების კვალიფიკაცია და შრომის დისციპლინა. უნდა გავატაროთ წარმოების რაციონალიზაცია და გამოვიჩინოთ მეტი მომჭირნეობა.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენს მეაბრეშუმეობას აქვს ზოგიერთი დეფექტები. თქვენი თათბირი მოწოდებულია გამოარკვიოს წარსული მუშაობის ნაკლი და შეიმუშაოს მომავალი მუშაობის სწორი გეგმა.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სრულის შეგნებით მოეკიდებით ჩვენი სამეურნეო განვითარების საქმეს, შეთანხმებული და გეგმაშეწონილი მუშაობით ააღორძინებთ ჩვენი მეურნეობის ერთ მნიშვნელოვან დარგს, რითაც ხელს შეუწყობთ საბჭოთა ხელისუფლების და მუშათა კლასის კეთილდღეობის განმტკიცებას. პრაქტიკულ საქმიანობაში თქვენ გვერდით გყავთ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი, რომელიც ყოველ მხრივ ეცდება ხელი შეუწყოს როგორც მეაბრეშუმეობის, აგრეთვე მთელი ჩვენი სახ. მეურნეობის განვითარებას.

ამხ. ს. ჯუღელის სიტყვის შემდეგ გამოყოფილი იქნა კომისიები, რომელთაც დაევალათ რეზოლუციების და პრაქტიკულ წინადადებების შემუშავება.

მეექვსე სხდომა

აგრიკულტურული მუშაობა

19 დეკემბერს დილის სხდომაზე მოსმენილი იქნა აგრონომ ცქიტიშვილის მოხსენება აგრიკულტურული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა დაახასიათა წარსულ წელში ჩატარებული მუშაობა და განაცხადა, რომ მეაბრეშუმეობის განვითარება მოითხოვს აგრიკულტურულ საქმიანობის ფართოთ გაშლას და გეგმიანად წარმოებას.

ამჟამად საქართველოში მთლიანად გამოყენებულია თუთის ხეების მთელი რაოდენობა და მეაბრეშუმეობის შემდგომ განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს თუთის ხეების რაოდენობის გადიდება. ამ მიზნით თუთის ხის სანერგეების სივრცე აყვანილი უნდა იქნეს 150 დესეტინამდე რომ შესაძლებელი გახდეს ყოველწლიურად 2 მილიონ ძირი ნერგის დარიგება. ინსტრუქტაჟის გაძლიერების მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს აგრიკულტურულ და დამამზადებელ განყოფილებათა და საგრენაჟო-სადგურების პერსონალი.

გასულ წელს ინკუბაციის წესით გამოყვანილი იყო 6.500 კოლოფი თესლი. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ამ წესით გამოყვანილი თესლი ორჯერ უფრო მეტ პარკს იძლევა, ამიტომ აბრეშუმის ტრესტს გადაწყვეტილი აქვს წელს ინკუბაციის წესით გამოიყვანოს 36.000 კოლოფი თესლი.

საინკუბაციო კურსები წელს მოწყობილი იქნება ქუთაისში, სოფ. ვანში, ზუგდიდ-სენაკში და ოზურგეთში. მეაბრეშუმეობის რაიონებში, მეაბრეშუმეთა ოჯახებში, სკოლებში და კოლექტივებში მოწყობილი იქნება ჭიის საჩვენებელი კვება. ჭიის რაციონალურათ გამომკვებ მეაბრეშუმეებს, რომლებიც მიიღებენ უკეთესი ხარისხის უმაღლეს მოსავალს, მიეცემა პრემიები; ასეთივე პრემიები გაიცემა თუთის ხის უკეთესად მოვლა-მოშენებისათვის. გამოცემული იქნება შესაფერი პოპულიარული ლიტერატურა, რა მიზნითაც გადადებულია 10.000 მან. განზრახულია ახალგაზრდების გაგზავნა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში და საზღვარ-გარეთ უმაღლესი კვალიფიკაციის მისაღებათ. მეაბრეშუმეებს წელს დაურიგდება 25.000 თერმომეტრი. საფენ-გადასაყვანი ქაღალდი და სხვ. აგრიკულტურულ მუშაობისათვის გადადებულია სულ 34.000 მანეთი.

19 დეკემბერს საღამოს სხდომაზე სწარმოებდა კამათი აგრონომ ცქიტიშვილის მოხსენების გარშემო.

აგრონომთა საქალაქო კონფერენცია

სასოფლო-სამეურნეო მუზეუმში შესდგა თბილისის აგრონომთა საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც სპეციალისტთა საკავშირო ცენტრალური ბიუროს პირველი პლენუმის შესახებ მოხსენება გააკეთა აგრ. ხაჩაპურიძემ.

მომხსენებელი შეეხო სამ უმთავრეს საკითხს: აგრონომთა კადრების მომზადებას, საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას და სასოფლო-სამეურნეო მუშაკთა კავშირის აგრონომიულ სექციის ამოცანებს საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში.

სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია და მსხვილ საბჭოთა მეურნეობების შექმნა მოითხოვს აგრონომთა კადრების სათანადოდ მომზადებასაც. საჭიროა ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა მიზნად დაისახოს აგრონომიულ მუშაკთა სპეციალიზაცია. ასეთი სპეციალიზაცია უკვე შემოღებულია ტიმირიაზევის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, უკრაინაში და სხვ. გარდა ამისა, საჭიროა მუშაობაში ჩაბმულ აგრონომთა გადამზადება. რადგან ახლად კურს-დამთავრებულ აგრონომებს არა აქვთ სათანადო პრაქტიკული ცოდნა, ამიტომ პლენუმმა საჭიროდ სცნო ხანგრძლივი პრაქტიკის მიღება არა მარტო კურსის დამთავრების შემდეგ არამედ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლამდეც. სტუდენტთა სოციალური შემადგენლობაც ერთ-ერთი საყურადღებო საკითხთაგანია. საჭიროა აღზრდა საბჭოთა აგრონომების, რომლებიც იდეურადაც ჩვენთან იქნებიან. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები მეტად ღარიბია ლაბორატორიებით, მოწყობილობით, სასოფლო-სამეურნეო საცდელ იარაღებით და სხვ. აგრონომების სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენება მოგვცემს ახალ საბჭოთა აგრონომს, რომელიც სავსებით მომზადებული იქნება პრაქტიკული მუშაობისათვის სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

სასოფლო მეურნეობაში სოციალისტური სექტორის გაძლიერების და ხორბლეულობის მეტი რაოდენობით დამზადების მიზნით, ხელისუფლებამ გადასწყვიტა მიწის თავისუფალ ფონდებზე შექმნას მსხვილი საბჭოთა მეურნეობანი, რომლებში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ახალი ტეხნიკა. ასეთ მსხვილ მეურნეობების შექმნის გამოცდილება არა გვაქვს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ არა აქვთ საზღვარ-გარედაც. მსხვილ საბჭოთა მეურნეობების შექმნას აქვს უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა.

საბჭოთა მსხვილ მეურნეობათა შექმნა მოითხოვს დიდ ხარჯებს მანქანა-იარაღების შესაძენად, მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტთა კადრების მოსამზადებლად, ნიადაგის გასანოყიერებლად, ტრანსპორტისათვის და სხვ. საერთოთ მსხვილ საბჭოთა მეურნეობათა მოწყობილობაზე 1930 წლისათვის გამოთხოვილია 100 მილიონი მანეთი. ამჟამად საბჭ. რუსეთში არსდება 10 მსხვილი საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც ექნება 153 ათასი ჰექტარი მიწა. 1929 წლის გაზაფხულზე ჩამოყალიბდება 50 მსხვილი საბჭ. მეურნეობა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში, რომელთაც ექნება 703 ათასი ჰექტარი მიწა, ამ მეურნეობებში იმუშავებს 2600 სხვადასხვა სისტემის ტრაქტორი.

მოხსენების შემდეგ დამსწრე აგრონომებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ აგრონომთა კადრების მომზადების საკითხი დაისვას აგრონომთა რესპუბლიკანურ თათბირზე.

ქრონიკა

აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოები

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილებით უკვე ჩატარებულია აჭარისწყალის ჰიდრო - ელსადგურის სამუშაოთა საქართველოს გადახალისება. ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა მთავარ ინჟინრად დაინიშნა ინჟ. ტიმოფეევი და საამშენებლო სამუშაოთა მწარმოებლად ტეხნიკოსი ურუშაძე.

ს.მ.უ. საბჭომ წინადადება მისცა სადგურის საამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს გააძლიეროს საამშენებლო სამუშაოთა ტემპი.

სადგურის საამშენებლო სამუშაოთა მდგომარეობასთან გასაცნობათ და გამოსაკვლევად თბილისიდან ბათომში გაემგზავრა ს.მ.უ.ს. თავმჯდომარე ამხ. გ. ჟურულიშვილი, ინჟ. ბ. ჭიჭინაძე და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი ამხ. ივანოვ-კავკასკი.

შაქარი ამიერ-კავკასიისათვის

ამ კვირის დამლევს ოდესიდან ფოთში მოელიან გემს „ვოროვსკი“-ს, რომელიც ამიერ-კავკასიისათვის მოიტანს 5.000 ტონა შაქარს.

ტრამვაით მგზავრობის მოწესრიგება

ამჟამად მეტად გაძნელებულია ტრამვაით მგზავრობა, ვინაიდან განსაზღვრული არ არის, თუ რამდენი მგზავრი უნდა წაიყვანოს ვაგონმა, ამის გამო წინა ვაგონს აწყდება მგზავრები იმ დროს, როცა მომდევნო ვაგონი ნახევრად ცარიელია.

გარდა ამისა, შემჩნეულია, რომ კონდუქტორები და ვატმანები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მგზავრები წაიყვანონ, რადგან მათ პროცენტები ეძლევა დღიურ შემოსავლიდან. ეს გარემოება კი, გარდა იმისა, რომ იწვევს უწესოებას ტრამვაით მგზავრობის დროს, ანელებს ტრამვაის მიმოსვლის სისწრაფესაც.

ამ საკითხის მოსაგვარებლად თბ. აღმასკომის საგეგმო კომისიაში შესდგა სპეციალური თათბირი, რომელმაც საჭიროდ სცნო განსაზღვრული იქნეს ტრამვაით წასაყვან მგზავრების რიცხვი და კონდუქტორ-ვატმანებისათვის პროცენტები დაწესდეს არა დღიური შემოსავლიდან, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენ მანძილს გაივლის ვაგონი.

თბილ. აღმასკომში

◆ დუშეთის საავადმყოფოს საჭიროებისათვის თბ. აღმასკომმა გადასდო 1893 მ.

◆ თბ. სამაზრო გლეხკომს კულტურულ მუშაობის გასაძლიერებლად გადაეცა 750 მან.

◆ ლუდის ახალი ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობის შესაძენად საზღვარგარედ გაიგზავნა ინჟ. მიროშნიკოვი.

◆ ტრამვაის ახალი ხაზი. თბ. აღმასკომმა ნება დართო ტრამვაის დირექციას გაიყვანოს ტრამვაის ახალი ხაზი კლარა ცეტკინის ქუჩაზე (მეტეხის და სადგურის ქუჩების შუა).

სხვადასხვა

◆ მომღერალთა კონკურსი. შაბათს, 22 დეკემბერს, დღის 12 საათზე რადიო-სტუდიის შენობაში შესდგება იმ არტისტიულ ძალების გამოცდა, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ რადიო-კონცერტებში.

კრებები და მოხსენებები

◆ დღეს, საღამოს, სრულ 6 საათზე, სახ. უნივერსიტეტში შესდგება ეკონომიურ სამეცნიერო წრის კრება.

დღის წესრიგში სდგას წრის გამგეობის ანგარიში და არჩევნები.

ხელოვნება [illegible] ვირტუოზ-ვიოლონჩელისტ ს. ი. ბეზროდნის კონცერტი, რომელიც უნდა შემდგარიყო 21 დეკემბერს, გადადებულია და შესდგება ოთხშაბათს, 26 დეკემბერს.

◆ საქართვ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგადოებაში, პარასკევს, 21 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში მოხსენებას წაიკითხავს გ. გოზალიშვილი: „საქმე 1832 წლის შეთქმულების შესახებ“.

◆ დღეს, 20 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა კლუბში შესდგება სტუდენტთა საერთო კრება. დღის წესრიგში სდგას ამხ. წილოსანის მოხსენება თავდაცვა-ავიაქიმის შესახებ.

◆ დღეს, 20 დეკემბერს, სოციალურ ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) საღამოს 7 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიის პრეზიდიუმის სხდომა.

სასამართლო

გაფლანგვა იუსტიციის სახალხო კომისარიატში

(პროცესის მეთოთხმეტე დღე)

მხარეთა კამათმა განსაკუთრებული ხასიათი მიიღო.

როგორც ვსწერდით, ბრალდებულ მაისურაძის დამცველებმა ჯაფარიძემ და ამირაღოვმა სცადეს ბრალდების მთელი სიმძიმის გადატანა მოლარე ჩიკოიძეზე. უკანასკნელის დამცველმა ჯაფარიძემ უწოდა „ბოროტი სული“, რომელიც თავისი თავის გადასარჩენად მზად არის დაღუპოს უდანაშაულო კაცი (!) ე. ი. ამ შემთხვევაში საფინანსო ნაწილის ყოფილი გამგე მაისურაძე.

ბრალდებულ ჩიკოიძის დამცველებმა მესხიშვილმა და დიდებულიძემ კბილი შეუბრუნეს დამცველებს ჯაფარიძეს და ამირაღოვს და ბრალდებულ მაისურაძის წინააღმდეგ მიმართეს ძლიერი არტილერია.

მესხიშვილის სიტყვით, „ბოროტი სული“ და იშვიათი კომბინატორი არის სწორედ მაისურაძე, რომელიც გაძრომ-გამოძრომით მიუხედავად სათანადო კვალიფიკაციისა, იკეთებს კარიერას, ხოლო კარიერის გაკეთების შემდეგ დაშინებით და სხვადასხვა ოინებით თავის ბრმა იარაღად იხდის ხელქვეით თანამშრომლებს.

მესხიშვილი მოუთხრობს სასამართლოს თუ როგორ გაიხადა მაისურაძემ მოლარე ჩიკოიძე თავის ბრმა იარაღად. მაისურაძემ ჩიკოიძე შეიყიდა სწორედ მაშინ, როცა უკანასკნელს სალაროში 600 მანეთი დააკლდა. ამ დანაკლისის მიფუჩეჩებით მაისურაძემ ვალდებული გახადა ჩიკოიძე დამორჩილებოდა. მას ყველაფერში და მას შემდეგ სოსტი ნებების ყოფის პატრონი (!) და ბრმა იარაღად გამხდარი ჩიკოიძე აკეთებს იმას, რასაც უბრძანებს უფროსი მაისურაძე.

ჩიკოიძის დამცველების სიტყვით, ჩიკოიძის დანაშაული მხოლოდ ზემოდ დასახელებულ 600 მანეთის დანაკლისით განისაზღვრება, და დანარჩენ თანხების გაფლანგვაში კი ყოვლად უდანაშაულოა (!). მთელი დანარჩენი თანხა მაისურაძის მიერ არის გაფლანგული.

როგორც ხედავთ, თვითეული დამცველი მზად არის პროკურორის როლში გამოვიდეს, ოღონდ თავის მარწმუნებელს რითიმე უშველოს და მეორე ბრალდებულს მოახვიოს თავზე ყველაფერი.

დანარჩენ ბრალდებულების დამცველები ყოვლად უდანაშაულოდ სთვლიან მათ მარწმუნებლებს და ითხოვენ მათ განთავისუფლებას.

დამცველთა საპასუხოდ ლაპარაკობენ პროკურორები, რომლებიც ჯერ მადლობას უძღვნიან დამცველთა ერთ ჯგუფს ბრალმდებლის ენით ალაპარაკებისათვის და შემდეგ ფაქტებით ხელში ამტკიცებენ, რომ მაისურაძე და ჩიკოიძე ერთმანეთს სჯობნიან ფულების ფლანგვაში.

პროკურორები, დანარჩენ ბრალდებულების მიმართაც სავსებით დამტკიცებულად სთვლიან წაყენებულ ბრალდებებს.

უკანასკნელი სიტყვა ეძლევათ ბრალდებულებს, საკვირველი ის არის, რომ ფულების გაფლანგვაში არც ერთი ბრალდებული თავს დამნაშავედ არ სცნობს, გამოძიებით კი დადასტურებულია 21.000 მანეთის გაფლანგვა

ნაშუადღევის 1 საათზე დასრულდა სასამართლო გამოძიება. სასამართლო გადის სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად.

განაჩენი

8 საათის თათბირის შემდეგ საქართველოს უზენაეს სასამართლოს საღამოს 9 საათზე გამოაქვს განაჩენი, რომლის კითხვა საათ ნახევარი გრძელდება.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის საფინანსო ნაწილის ყოფილ გამგეს იოსებ დავითის ძე მაისურაძეს და იმავე ნაწილის ყოფილ მოლარეს ალექსანდრე ედიშერის ძე ჩიკოიძეს დაუმტკიცდათ სხვადასხვა კომბინაციებისა და სიყალბეების ჩადენის გზით ერთიმეორეთან შეთანხმებულად ოცდაერთი ათასი მანეთის გაფლანგვა, რისთვისაც მიესაჯა თვითეულს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით ამნისტიის შეუფარდებლად.

დანარჩენ ბრალდებულებს: ყამუტაშვილს, კარახანს, ბენდალიანს და განჯუმოვს დაუმტკიცდათ სამსახურებრივი დაუდევრობა, რისთვისაც მიესაჯათ თითო წლით თავისუფლების აღკვეთა.

შიკრიკ სოკოლოვსკის დაუმტკიცდა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რისთვისაც მიესაჯა საზოგადოებრივი გაკიცხვა.

უკანასკნელი ხუთი ბრალდებული ამნისტიის ძალით სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქნენ.

გაფლანგულ თანხის ანაზღაურება სოლიდარულად დაეკისრათ მსჯავრდადებულებს.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—ამხ. ბერძენიშვილი, წევრები: ამირაჯიბი და ლელაშვილი. პროკურორები: ჯანჯღავა და ტატიშვილი.

მსჯავრდადებულთ განაჩენის გასაჩივრების უფლება არ ეძლევათ.

მევახშე მიკიტანი

მიტროფანე ერმილესძე ნოსელიძეს სამიკიტნო ჰქონდა ქ. ქუთაისში. სანამ კოოპერატიული სასადილოების რიცხვი მცირე იყო, ნოსელიძე თავისუფლად აძრობდა ტყავს მოქალაქეებს. მაგრამ კოოპერატიულ სასადილოების რიცხვის გამრავლებამ დიდათ გააჭირვა ნოსელიძე. მიუხედავად ამისა იგი სულით არ ეცემა და პოულობს გამოსავალს.

მიტროფანე ნოსელიძე იწყებს მევახშეობას, ყველა გაჭირვებული კაცი მისთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.

ნოსელიძე ზღაპრულ პროცენტებს აძლევინებს გაჭირვებულ ხალხს. თითო თუმანში მანეთი, მანეთ-ნახევარი მისთვის ცოტაა.

ნოსელიძეს რაღად უნდა სამიკიტნო. ზის არხეინად და უშრომელად ფული „ჩეჩქივით“ შემოსდის.

ერთმა წინდაუხედაობამ დაღუპა ნოსელიძე. თორემ ეხლაც ასეთი შემოსავალი ექნებოდა.

მან გაჭირვებულ მოქალაქეს ვარლამ მატარაძეს ასესხა ასი მანეთი, ხოლო თამასუქი გამოართვა 210 მანეთის. 110 მანეთი ასი მანეთის პროცენტი გახლდათ.

მატარაძემ ვადის გასვლისას მოუსრულა მთელი ეს 210 მანეთი და სთხოვა თამასუქის უკან დაბრუნება. გაუმაძღარმა მევახშემ თამასუქის დაბრუნებაზე უარი უთხრა, რადგან 20 მანეთი თითქოს კიდევ ეკუთვნოდა და სანამ ამ თანხას არ მისცემდა მატარაძე, ლაპარაკი ზედმეტად მიიჩნია.

მატარაძე იძულებული გახდა გაესაჩივრებინა საქმე.

ნოსელიძეს გაუგეს მევახშეობა და პასუხისგებაში მისცეს.

საქმე გაარჩია ქუთაისის მეორე უბნის სახალხო სასამართლომ, რომელმაც ნოსელიძეს მევახშეობისათვის მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და აგრეთვე 110 მანეთის გადახდა მოქ. მატარაძის სასარგებლოდ.

საქ. უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა განაჩენი.

ზერ.

ქუთაისი

დამწვარი უბნის აღდგენა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მიუხედავათ ზამთრის პერიოდისა და სამუშაოთა მასალის ნაკლებობისა, მუშაობა ქალაქის დამწვარ უბნის აღსადგენად მუშა ხელის და ტეხნიკოსთა პერსონალის სწორად შერჩევის გამო, ჩქარი ტემპით და დადებითი შედეგებით მიმდინარეობს. სამუშევრების საწარმოებლად ცენტრიდან დახმარების სახით მიღებულია 400.000 მანეთი, ხოლო მიღებული ცნობით ახლო ხანში დამატებით იქნება მიღებული 600.000 მანეთი. წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა სახლების მშენებლობის დაწყებისათვის ნაწილობრივ უკვე დამთავრებულია, უბანი სავსებით გაწმენდილია ნანგრევებისა და უსწორმასწორო მიწების გროვებისაგან. ხე-ტყის მასალით უზრუნველსაყოფად დადებულია ხელშეკრულება სატყეო ტრესტთან და რაჭა-ლეჩხუმის ხე-ტყის სახერხ ქარხანასთან 80 ვაგონი მასალის მისაწოდებლად. საიდანაც ნაწილი უკვე მიღებულია. შეკვეთილია ადგილობრივი აგურის ქარხნების კომიტეტთან და აღმასკომის ქვის სატეხ განყოფილებაზე ქვის და აგურის მასალის მოწოდება, ხოლო ლენინგრადში რკინის სახურავი და წყალსადენის მილები დროებ. წყალსადენის ასაგებად 5.000 ცალის რაოდენობით. სწარმოებს რკ. გზის ვიწრო ლიანდაგის გაყვანა ქვის და სხვა მასალის მოსაწოდებლად. ამავე დროს მიმდინარეობს ადგილის გასუფთავება ორსართულიან 12 ბინიანი სახლის № 11 ტიპის საძირკველის ჩასაყრელად.

სამაზრო აღმასკომის მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები სახლების მასალის დაჩქარებით მოსაწოდებლად. დამტკიცებულ პროექტის თანახმად, განზრახულია ჯერ-ჯერობით 11 ორსართულიანი სხვადასხვა ტიპების სახლების აგება, ხოლო პირველ რიგში № 11-ტიპის სახლის საძირკველის ჩაყრა. შემდეგ დაიწყება მუშაობა № 2 და № 10 ტიპის სახლებზე. სახლები შემდგარი იქნება ორი ერთმანეთზე გადაბმული შენობებით, 2 და 3 განცალკევებულ საცხოვრებელ ოთახისაგან, რომლებსაც თან ექნებათ აბაზანა, სამზარეულო, ღია ბალკონები, საზაფხულო ოთახები და სხვა. ამ დღეებში დაიწყება ასაგები სახლების ბალავრის გათხრა და საძირკვლების ჩაყრა. უბნის დაკერთი წესით აღსადგენად საჩქაროდ სწარმოებს ნაწილობრივ დამწვარ და დაზიანებული სახლების აღდგენა. მთელ სამუშევრებზე ამჟამად მუშათა რიცხვი უდრის 120 კაცამდე, ხოლო დღემდე გაწეული ხარჯები მოსამზადებელი მუშაობის საწარმოებლად 150.000 მანეთს.

გ. სვანიძე.



გადამწვარ უბანში ასაგებ 18 ოთახიანი სახლის პროექტი

მიწების ჩამორთმევა

ქუთაისი, 18 დეკემბერი. 1922-23 წელს მიწის რეფორმის ჩატარების დროს დაშვებული დეფექტების გამოსწორებელმა კომისიამ დაამთავრა ქუთაისის მაზრის 20 თემის გამოკვლევა. გამოკვლევის შემდეგ ჩამოერთვათ მიწები კულაკებს, ვაჭრებს, ყოფილ თავად-აზნაურებსა და სამღვდელოებას. 20 თემში სულ ჩამორთმეულ იქნა 1.690 ჰექტარი მიწა. აქედან დიდი ნაწილი თავად-აზნაურებისა იყო. (ადს).

ქუთაისის თამბაქოს ფაბრიკაში

ქუთაისი, 18 დეკემბერი. ქუთაისის სახელმწიფო თამბაქოს ფაბრიკამ მიიღო ორი ახალი მანქანა. ამ მანქანების ამუშავების შემდეგ შრომის ნაყოფიერება 25 პროცენტით გაიზარდა. დღემდე დღიურად ფაბრიკაში მზადდებოდა 400 000 ცალი პაპიროსი. ახალი მანქანების ამუშავების შემდეგ კი ფაბრიკა დღეში ამზადებს 500.000 ცალს პაპიროსს.

ამჟამად ფაბრიკისათვის იძებენ ახალ, უფრო ფართო შენობას. (ადს)

საკურორტო-სასანიტარო მკურნალობა

ქუთაისი, 18 დეკემბერი. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის სტატისტიკური განყოფილების ცნობებით, წყალტუბოს კურორტით 1928 წლის აპრილიდან ნოემბრამდე ისარგებლა 14.043 ავადმყოფმა. ავადმყოფთა ყველაზე მეტი რიცხვი მოდის ქუთაისის და შორაპნის მაზრაზე, შემდეგ თბილისის მაზრაზე. (ადს).

შემთხვევები

მკვლელობა

სერგო ტარასის ძე კახიანმა ჩხუბის დროს დანით მოკლა გიორგი ალექსანდრეს ძე გულაზაროვი. ს. კახიანი დაპატიმრებულია.

გაფლანგვა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მუშკოოპ-ის პურის საცხობის გამგე—ივანე მიხეილის ძე სოფიანიდი, რომელმაც მიითვისა 323 მანეთი. სოფიანიდი გამოტყდა დანაშაულში.

მოკვლის განზრახვა

გუშინ დღისით ვართან ავეტისის ძე ახვერდოვმა და კოსტა ივანეს ძე თვალაძემ მეშჩვანილეთა ბაზარში მოკვლის მიზნით რამდენიმეჯერ ესროლეს მოქ. სიმონ ნიკოლოზის ძე კაჟაუროვს, რომელიც უვნებლად გადარჩა. ორთავე ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

რეციდივისტები

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტები: ეფრემ დავითის ძე მეგრელიშვილი და მამედ ქეშის ძე ეიკუნოვი, რომლებიც სისტემატიურად ეწეოდენ ბინებისა და მაღაზიების გაქურდვას. ნაქურდალი ნივთების უმეტესი ნაწილი აღმოჩენილია.

ქმრის დაწვა

მოქალაქე პოლია კიტაევს იჭვიანობის ნიადაგზე დაუსრულებელი ჩხუბი და დავიდარაბა ჰქონდა ქმართან ნიკო ივანეს ძე კიტაევთან.

ერთ დღეს მოქ. ნიკო კიტაევი თავის ოთახში ბარათს სწერდა ამხანაგისათვის გასაგზავნად. როცა ცოლმა შენიშნა, რომ ქმარი რაღაცას სწერდა, აღელვებული მივარდა და წინადადება მისცა გაეცნო მისთვის ბარათის შინაარსი. კიტაევმა ყურადღება არ მიაქცია ცოლის სიტყვებს და განაგრძო წერა. ცოლმა ბარათი საეჭვოდ მიიჩნია, დაავლო ხელი ანთებულ ლამპას და ესროლა ქმარს. კიტაევს ცეცხლი მოედო მთელს ტანზე. გამოვარდა გარედ და მორთო ყვირილი.

ყვირილზე მისულმა მეზობლებმა დიდის გაჭირვებით ჩააქრეს ტანსაცმელზე წაკიდებული ცეცხლი.

კიტაევს დამწვარი აღმოაჩნდა მთელი სხეული. იგი გადაიგზავნა ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

საავადმყოფოში მიყვანისას კიტაევი გარდაიცვალა.

მცირეწლოვანის გახრწნა

პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა ალექსანდრე მირონის ძე კოროტკოვი, რომელსაც ბრალდება შვილად აყვანილ მცირეწლოვან ვ—ა კ—ს გარყვნა.

თავდამსხმელთა დაპატიმრება

ამას წინად ორი ბოროტმოქმედი გაძარცვის მიზნით თავს დაესხა მოქ. ნიკოლოზ გაბედაურს. ამ დღეებში მილიციამ თავდამსხმელები დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდნენ: დავით ალექსანდრეს ძე ბარამაშვილი და გიორგი ისაკის ძე ბადალაშვილი.

ყალბი საბუთებით

სისხლის სამართლის მილიციამ პასუხისგებაში მისცა დავით თედორეს ძე ჰიჭინაძე, რომელმაც ყალბი საბუთებით მუშკოოპიდან გამოიტანა სხვადასხვა საქონელი.

შეპყრობა

დაპატიმრებულია ილია მიხეილის ძე კამაროვი, რომელსაც ბრალდება ჯიბგირობა.

მილიციამ შეიპყრო ქურდი-რეციდივისტები: ერმილე გიორგის ძე ბედიაშიძე, ვანო ვასილის ძე ტერ-სიმონოვი ივანე დიმიტრის ძე სტეფანოვი, ოსკარ მიხეილის ძე ფალუსტოვი და ვაგან აბრამის ძე ოსიპოვი.

ქურდობა

მოქ. დ. გურგენიძეს განათლების კომისარიატში მაგიდის უჯრედიდან მოჰპარეს სხვადასხვა საბუთები;—ლ. ბერაძეს საფეიქრო სინდიკატის მაღაზიაში ჯიბიდან ამოაცალეს რევოლვერი;—გარდა ამისა 18 დეკემბერს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის სამი შემთხვევა.

ახალი ექიმები

1928 წლის შემოდგომის სესიაში სახელმწიფო გამოცდები ჩააბარეს და ექიმის წოდება მიიღეს:

აპრიამოვი კონსტანტინე არტემის ძე, აფხაზავა ელენე არქიპოს ასული, ალავერდიანცი ლიპარიტ ნიკიტას ძე, აზმაიფარაშვილი ოლღა სოლომონის ასული, ბარბაქაძე შალვა ლავრენტის ძე, ბოკერია თამარა ივანეს ასული, ბერიძე გრიგოლ ნიკიფორეს ძე, ბერძენიშვილი სერაფიონ ალექსანდრეს ძე, გელოვანი მიხეილ ანტონის ძე, გელეყვა ეპიფანე ივანეს ძე, გზირიშვილი ალექსანდრე ზაქარიას ძე, გიოშვილი ივანე დავითის ძე, გობრონიძე იეტიხი გიორგის ძე, გოგიძე დიმიტრი გიორგის ძე, გოცირიძე, ალექსანდრე მიხეილის ძე, გეილავა სერაფიონ გიორგის ძე, გუნია ალექსანდრე უშანგის ძე, დავითაია ილია პავლეს ძე, ერქომაიშვილი იესიხი მიხეილის ძე, ენუქიძე სოფიო სპირიდონის ასული, თოფურია შალვა რუბენის ძე, თუშიშვილი ელენე აბრამის ასული, იმერლიშვილი სოფიო ლევანის ასული, ინასარიძე გიორგი სამსონის ძე, კვანტალიანი ილია დავითის ძე, კიტაშვილი გიორგი ვლასის ძე, კუკულაძე იონა იასონის ძე, კვერენჩხილაძე ვალერიან კონსტანტინეს ძე, კობახიძე-კუხალეიშვილისა ნადეჟდა დავითის ასული, კაწურაშვილი ხარიტონ პავლეს ძე, კაპანაძე ვერა ქრისტეფორეს ასული, კიკნაძე ფეოდოსია მიხეილის ასული, კვირკველია მარიამ ალფეზის ასული, კოდუა ვერა ალექსანდრეს ასული, კურპანოვა ლიუდმილა ალექსანდრეს ასული, კალანდაძე ნინო სერაფიონის ასული, ლოლაშვილი ილია ივანეს ძე, მენთეშაშვილი ირაკლი ტიმოთეს ძე. მჭედლიშვილი მარიამ ზაალის ასული, მაჭავარია ქიონია მანუჩარის ასული. მდივანი თამარ ალექსანდრეს ასული, ნადაშვილი დავით ლუკას ძე, მინდაძე გრიგოლ ივანეს ძე. მეჩჩუა ტერეზა ლუკას ასული, მესხი ოლღა ალექსანდრეს ასული, ნაკაიძე გერონტი ამბაკოს ძე, ნოდია კონსტანტინე პეტრეს ძე, ნემსიწვერიძე ნინა ზოსიმეს ასული, ნატროშვილი ანა ნიკოლოზის ასული, ნიკოლაიშვილი ელენე ივანეს ასული, ნადარეიშვილი ეპრაქსია სპირიდონის ასული, ნაფეტვარიძე ნატალია რაჟდენის ასული, ოჩიგავა თამარ ანტონის ასული, ჟორდანია ვუკოლ ფარნაოზის ძე, [illegible] სიმონ ვლადიმირის ძე, რამიშვილი ეპრაქსია ნიკოლოზის ასული, რცხილაძე ქეთევან დავითის ასული, სარჩიმელია ლევან გიორგის ძე, სვანიძე იოსებ ერმალოს ძე, საკანდელიძე სამსონ ვასილის ძე, სახაძე ელენე ბესარიონის ასული, სუპატაშვილი გალინა მიხეილის ასული, ტორჩინავა ნინო გიორგის ასული, ტულუში ნოე ნიკოლოზის ძე, ტერელაძე დავით სოლომონის ძე, ტროყაშვილი მიხეილ გიორგის ძე, ტორონჯაძე ანა ათანასეს ასული, ფერაძე ვლადიმერ თეიმურაზის ძე, ქებულაძე-გამყრელიძე აპოლინარია ნიკოლოზის ასული, ქვარიანი ლევან კონსტანტინეს ძე, ქუთელია ქრისტინე ალექსის ასული, ქახთარია დავით ჯამულეთის ძე, ქაჯაია მარიამ როსაპის ასული, ქაჯაია მარიამ ექვთიმეს ასული, ღლონტი თამარ ირაკლის ასული, ღლონტი ნინო ირაკლის ასული, ღლონტი ქსენია ბენიამინის ასული, ყიფიანი გიორგი დავითის ძე, შავლაყაძე ნიკოლოზ ქრისტეფორეს ძე, შარაშიძე ზაქარია ტრიფონის ძე, შარაბიძე სერაფიონ ბესარიონის ძე, ჩარგეიშვილი ნექტარიოს კორნელის ძე, ჩიხლაძე ვალერიან დიანოსის ძე, ჩხაიძე ილია ჯამულეთის ძე, ჩაჩავა ვარლამ ბიჭიას ძე, ჩაჩავა მიხეილ კონსტანტინეს ძე, ცინცაძე სერგო კონსტანტინეს ძე, ცინცაძე შუშანა ფილიმონის ასული, წივწივაძე კონსტანტინე ილარიონის ძე, ჭავჭანიძე მიხეილ ერასტის ძე, ხვედელიანი დარია ილარიონის ასული, ხუროშვილი თინათინ პლატონის ასული, ჯორბენაძე არკადი ბესარიონის ძე და ჯახყარაშვილი ალექსანდრე ილიას ძე.

ჭადრაკი

ჭადრაკის რეორგანიზაციისათვის

ჭადრაკის ყოფ. მსოფლიო ჩემპიონმა კაპაბლანკამ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც მოითხოვს ჭადრაკის თამაშის არსებული წესის შეცვლას — დაფის გადიდებას ას უჯრედამდე და ორი თეთრი და ორი შავი ფიგურისა და ორ-ორი პაიკის დამატებას.

პარტიული კალენდარი

სახ. უნივერსიტეტის სოც.-ეკონ. ფაკულტ. 1 და მე-2 კურსთან არსებული ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიურო წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ უჯრედის ბიუროში ამხ. მეტრეველთან: არჩვაძე ლონგინოზ, ბარამიძე შოთა, გოგოხერიძე კოტე, მახარაშვილი ვლადიმერ, მახარაძე ეკატერინე, ქავთარაძე სოკრატი. კვარაცხელია თამარი, მიქაძე პარმენ, მეტრეველი დავით, ოკუჯავა ილია, სხვიტარიძე პავლე, ჭელიძე თამარი, ფხაკაძე ვერა და ფხაკაძე ანნა.

ლენინრაიონის მუშათა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, 20 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება სადელეგატო კრების ჯგუფების მეცადინეობა: 1-ლი ქართული ჯგუფის—პლეხანოვის სახ. კლუბთან არსებულ ქალთა კუთხეში, მეორე ქართული ჯგუფის—რკ. გზ. სამმართველოში, მესამე რუსული ჯგუფის—ძერჟინსკის სახ. კლუბში, მეოთხე რუსული ჯგუფის—რკ. გზ. სამმართველოში.

თბილისის კომიტეტის საagitაციო-საპროპაგანდო განყოფილება ამაგრებს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან შემდეგ ამხანაგებს მოხსენებების ჩასატარებლად ანტისაშობაო კამპანიის დროს: 1) გეგენავა (ამიერ-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი), 2) ჩახვაძე, 3) ჩხარტიშვილი (პოლიტ. განათ. მთავარი სამმართველო). 4) კიტა მეგრელიძე (სახელმწიფო უნივერსიტეტი), 5) მ. ტოროშელიძე (სახელმწიფო უნივერსიტეტი). 6) ქ. ორაგველიძე (სახელმწიფო უნივერსიტეტი), 7) დავით ორაგველიძე (ცეკა), 8) ჭეიშვილი (სახელმწიფო უნივერსიტეტი), 9) ტატიშვილი, 10) ვარძიელი (ცაკი), 11) შელია, 12) ხუციშვილი (ცენტრალური პარტსკოლა), 13) სოსიანი (სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი), 14) პილოზეროვი (ცეკა), 15) ბოლოტნიკოვი (ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი), 16) ზ. ადამიანი, 17) პოლოსოვი (ცენტრალურ. პარტსკოლა), 18) სურხატიანი, 19) მელიქიანი („პროლეტარი“), 20) ალექსანიანი („პროლეტარი“).

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონული კომიტეტი 20 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე რაიონული კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომაზე იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

დავით დადიტოვი, კონსტანტინე ქართველიშვილი, ლიუდმილა გალკინა, ელენე სანაძე, ნინელ ტინტიკოვა, ხარლამპი გონია, ყაზარ მკრტჩიანი, ალექსანდრე ძრილიშვილი, შუშანა დობროვინა, ვასილ პარტანოვი, ნიკოლოზ ნუცუბიძე, კეგან მნაცაკანოვი, ლაზარ არუთინოვი, მიხეილ ოგანეზოვი, მარგარიტა კირაკოსიანი, სერგეი კოვალი, ვლადიმირ ხიდირბეგიშვილი, არშაკ სარქისოვი, ალექსანდრე სტეფანოვი, ოგანეს აბრამიანი ელისაბედ კურცხალია, აპოლონ გორგანიძე, შუშანიკა კალანდაძე, დავით კობაიშვილი, ალექსი გაბიაშვილი, შალვა იაკიზაშვილი, ვარლამ იძგვერაძე, მიხეილ ილიაძე, ანდრია დოლიძე, ლათბეგოვი ლადო აპრიამოვი, ილია გიორგაძე, იასონ გოგიძე, პარმენ გორგენიძე, ალექსანდრე სოხანოვი, პავლე მირზაშვილი ვასილ ამანიშვილი, მიხეილ დრომზდიკო, მიხეილ იორდანიშვილი, ნიკოლოზ ჯავახიძე, თამარა ელიაშვილი ნიკოლოზ კვინტრაძე, ილია ლორთქიფანიძე, ალექსანდრე იმელინოვი, ბაშირ შამბი, ელენა იორაშვილი, ნიკოლოზ ხეთაგური, ივანე არიგაძე, კალისტრატი კბილაძე, გიორგი ტუხაშვილი.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 20 დეკემბერი

გადაიცემა ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის სტუდიიდან.

პარასკევი, 21 დეკემბერი

პარასკევს, 21 დეკემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაიცემული იქნება:

საუბარი ციკლიდან „ტეხნიკა მასებს“ ქართულ ენაზე; საუბარი—„ახალი ცნობები გულის მუშაობის შესახებ“—რუსულ ენაზე; თურქული რადიო-გაზეთი; ტეხნიკური კონსულტაცია; საუბარი გლეხებთან ოსურ ენაზე; ოპერა „დაისი“-ს მუსიკალური განმარტება; „დაისი“-ს ტრანსლიაცია; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; ამინდის ბიულეტენი; 22 დეკემბრის პროგრამის გადაცემა

ღრმად დამწუხრებული შვილები: ალიოშ, თელე, ლუკრეცია, მარიამი და ფილუმა; სიძეები: პავლე ბალათურია და შალვა გვიჩიძე, რძალი: გუ[illegible]ული; შვილიშვილები: ალექსანდრე, ტანო, ტოლიკო და ოთარი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

გაიანე სტეფანეს ასული კასაბაშვილი

გამოსვენება ბინიდან, 1 თუმანოვის ქ. № 19, 21 დეკემბერს 3 საათზე. (შ)

ელისაბედ ზაალის ასული [illegible]ესაიშვილისა თავისი ქალი ელენეთი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დიდათ ძვირფასი და საყვარელ დედის

მართა ქაიხოსროს ასულის მესხიშვილის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს საღამოს 5 საათ. გიორგიევის ქ № 2 გამოსვენება პარასკევს, 21 დეკემბერს, 1 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 6015

ღრმად დამწუხრებული დედა ელისაბედი, დები: დარო, აპეტა და სოფო, [illegible] ქავა შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა [illegible] ფასი

თებრო თევდორეს ასული ფადალაშვილისა

გამოსვენება ბინიდან დღის 3 საათზე ლენ[illegible]ის ქუჩა № 22.

თბილისის საკონტოს სადგურის თანამშრომლები: ლ. გოგოლაშვილი, ვ. [illegible]ნაშვილი, დ. ხებიერიძე, კატუშა სალუქვაძისა, ვ. ჯვარიბეიშვილი, გ. გვარამაძე, დ. თევდორაშვილი, ი. ვეფხვაძე, რ. სვიმონიშვილი, ს. დოლიძე, პ. გაბელაია, ს. ჩხიკვაძე, ი. კალანდაძე, ს. გოგოძე ლაძე, ს. გაგუა, დ. არზიანი, გ. წითლაძე, ა. კუზინა, ს. ჯაანიშვილი, გ. ლაზარიშვილი, ა. ქიტუაშვილი, კ. ფირცხალავა, პ. ბერძიგულოვი ნ. [illegible]ვაიძე, ნ. იახიშვილი, ა. სკანიძე, ი. გაბელაია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. ლადო მაისურაძის ვაჟის

გ ო გ ი ს

ტრაგიკულად დაღუპვის გამო 17 დეკემბერს. 6022

კომუნისტი

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის და სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო.

მიიღება ხელისმოწერა 1929 წლისათვის

გაზეთის წლიურ ხელისმომწერთ 1929 წელს დაურიგდება

კ. მარქსის „კაპიტალი“ ქართულ ენაზე

ტომი I-ლი, ათას გვერდამდე ყდაში, სახელგამის გამოცემა

თარგმნილი გერმანულიდან ქართულად—დ. ე. ონიაშვილის მიერ.

ქართული თარგმანის პასუხისმგებელი რედაქტორი—სახ. უნივერსიტეტის რექტორი მ. ტოროშელიძე.

გაზეთი წლიურად „კაპიტალი“-ს დამატებით ეღირება:

შეღავათიან ხელისმომწერთათვის 15 მ. 50 კ.

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირებისათვის 19 მან.

დაწესებულებანი და კერძო პირები 19 მანეთს იხდიან ერთდროულად, ხელისმოწერისთანავე.—

შეღავათიან ხელისმომწერლებს შეუძლიათ ნაწილ-ნაწილ შემოიტანონ ხვედრი (15 მ. 50 კაპ.) ფული შემდეგ ვადებში: ორი მანეთი 10 იანვრამდე, დანარჩენი კი გადაიხადონ თვიურად მანეთნახევარი, თებერვლიდან დაწყებული.

ხელისმოწერა მიიღება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში, რკინისგზის კიოსკებში, „კომუნისტი“-ს გამომცემლობის კონტრაგენტებთან და გამომცემლობის მთავარ კანტორაში

რუსთაველის პრ. № 34

სახელმწ. აკადემიური ოპერა

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს. 20 დეკემბ. მე 7 აბონემენტის მე-4 წარმოდგენა **ფაუსტი** ვალპურგის ღამით ნ. ნ. ბოგოლიუბოვის ახალი დადგმა.

21-ს მეოთხე აბონემენტის მეოთხე წარმოდგენა პირველად ამ სეზონში **დაისი**

22 დეკემბერს, აბონემენტის გარეშე პრემიერა **სევილიელი დალაქი**

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ა. მ. ბრაგინის მონაწილეობით

ნ. ნ. ბოგოლუბოვის ახალი დადგმა

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე,

დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები იყიდება

2—1 ნ. 2007

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს, 20 დეკემბერს

პრემიერა 1 აბონემენტის მე-4 წარმ.-დ. მ. კირშონის

„ლიანდაგი გუგუნებს“

დრამა 4 მოქმედებათ და 9 სურათ. თარგმ. ალ. ბოკერიასი

დადგმა შ. ალსაბაძის მხატვარი ირ. გამრეკელი.

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

უკანასკნელი ვადა აბონიმენტის მე 4 ა და ახადი ა/წ. 20 დეკემბ დღის 2 სა თ

2—1 ნ. 2001

[illegible]	
პანთიადი	სეზონის საუკეთესო ფილმი **სიცოცხლის უფლება**
არფასტო	ანა ნილსონი და ერნესტ ტორენს სურათში **ჯამბაზები**
სოლეი	ელენ რიხტერი **მორალი**
მინიონი	1928 წელს გამოშვებულ უცხოეთის ხატიურულ სურათში **მორალი**
აპოლო	**ნიკოლოზ მე-2-ს რუსეთი და ლევ ტოლსტოი**
კაპასი	თავისი დადგმით გრანდიოზული ფილმი **პასტუს პალიროვსკი** რეჟ. ბარნეტი
დარბაზი	ლია დე-პუტი მხატვრულ სურათში **ვარიეტე**
კოლოტარი	**თავზე ხელაღებული** 3 და 4 სერიები

ახალია. მალე „ხალხი ტრუბნოის მოედანზე“ და „კირა კირალინა“

0—16

მალე

კინო-თეატრებში

არფასტოში და სოლეიში

კირა კირალინა

პანაიტ ისტრატის ცნობილი რომანის მიხედვით

მთავარ როლში ზოია ვალერსკაია

მალე მალე

სახვაჭრობამ მიიღო

ნავთით გასახურებელი (ვარვალა)

ფანრები

100 სანთლიანი სინათლით

საათში იხარჯება 5 კაპეიკამდე

იყიდება სახვაჭრობის

მეოთხე (№ 4) მაღაზიაში

შუა ბაზარი, სახლი № 82 ტელ. № 13—0:

2 1 ნ. 2009 საქ. სახვაჭრობა

ფ. მახარაძე

თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა

მოსამზადებელი ხანა (1870—1890)

ფასი 25 კაპ.

იყიდება გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34).

0—8. მთავარი კანტორა.

დაბა ვანში (ქუთ. მაზრა)

გაზეთ „კომუნისტ“-ზე ხელის მოწერა მიიღება

თეოფანე (ჭიჭიკო) ერასტის-ძე სვანიძესთან.

0—1 „კომუნისტი“-ს გამომცემლობა.

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. იღებს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეხაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

25—17

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

არტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილა-საღამოს.

ნ. 8 25—8

დაკარგ. დაზარალების აქტი № 1650, წიგნაკი № 391 და მოწმობა № 13—58 გრიგოლ ივანეს ძე ურომაძეს სახელზე. ჩ. გ. 6012

მიიღება ხელისმოწერა 1929 წლისათვის

„საქართველოს კ.პ. (ბ) ც.კ.-სა და თბ.კ.-ს მოამბე“-ზე

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ ქართულ და რუსულ ენაზე

ჟურ, „საქ. კ.პ. ბ)ც.კ.-სა და თბ. კ.-ს მოამბე“

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს ხელმძღვანელი ორგანოა პარტაქტივისათვის: ეს ჟურნალი ათავსებს ინფორმაციას საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს პლენუმების, პრეზიდიუმების, სამდივნოების, განყოფილებებისა და კომისიების მუშაობისა და აგრეთვე საქართველოს პარტორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

„საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს მოამბე“-ში თავსდება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს ყველა რეზოლიუციები, ცირკულიარები და სხვა ოფიციალური მასალები, რომელიც სავალდებულო და სახელმძღვანელოა ადგილობრივ ორგანიზაციებისათვის.

„საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს მოამბე“ უნდა ჰქონდეს ყოველ კომიტეტს, უჯრედსა და პარტიის ყოველ წევრს, როგორც აუცილებლივ საჭირო სახელმძღვანელო მათ ყოველდღიურ მუშაობაში.

ჟურნალის ფასი:

1 წლით—2 მან. 00 კაპ.	3 თვით— მან. 55 კაპ.
6 თვით—1 მან. 05 კაპ.	1 თვით— მან. 20 კაპ.

ფული უნდა გადმოიგზავნოს შემდეგ მისამართით: ქ. თბილისი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი — საფინანსო განყოფილება.

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება

აცხადებს

კონკურსს

ფეიქართა კავშირის **მუშათა კლუბის** შენობაზე **ქ. ოზურგეთში**

შედარებით უკეთესი პროექტებისათვის გაიცემა 2 ჯილდო: 500 მანეთი და 300 მ.

დაწვრილებითი ცნობებისათვის უნდა მიმართონ პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას, რუსთაველის პრ. სპექტი, 17, მუშათა სასახლე, მე-2 სართული, ოთახი № 15.

ჟიურის შემადგენლობაში შედიან ამხ. მატინ ანი (ფეიქართა კავშირის თავმჯდომარე), ინჟინრები: კრაიცი, სევროვი და ნეკ ინცევი, და მხატვარი დავ. კაკაბაძე.

პროექტების წარდგენის უკანასკნელი ვადა—1929 წლის 1 მარტი.

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება.

2—1 ნ. 1998

„კომუნისტი“-ს გამომცემლობას

ესაჭიროება გაზეთის საზიდავად

ნახევრად საბარგო ავტომობილი

ერთი ან ერთ ნახევარ ტონიანი

კომისიონეროებს ვსთხოვთ თავს ნუ შეიწუხებენ

იკითხეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) ტელ. № 8—81. 0—1

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

დღეს

უდიდესი ატრაქციონების სანახაობა

მხეცების 1-ლი რუსი მწვრთნელის

ნ. პ. გლადილშჩიკოვის გასტროლები

ძუ და ხვადი ლომებით, დათვებით და დოგებით

აგრეთვე მთელი დასი და გასტროლიორები

დასაწყისი სალ. 8 ნახ. საათ.

სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან

—2 ნ. 2000

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(ცეცხოველის ქ. № 8) აცხადებს, რომ კვირას, 23 დეკემბერს, დილის 10 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა. გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 2004

ექ. **დ. ლ. თევზაძე**

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმისა და მეტყველებისა.

კობიაშვილის ქ. № 4 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 ნახ. საათამდე საღამოს 7—8 ს. გარდა კვირა დღეებისა. 25—1

დაკარგ. პროფკავშირის წიგნაკი ალექსანდრე გაბრიელის-ძე შუღლაძის სახელზე ჩ. გ. 6012

დაკარგ. ინვალიდობის მოწმობა და სოლარიების მოწმობა გიორგი ოქროპირის-ძე ღვინეფაძეს სახელზე. ჩ. გ. 6019.

დაკარგ. პარტ. ბილეთი № 0856334. კავშირის წიგნაკი და საანგარიშო წიგნაკი № 8 გაბრიელ ბალიაურის სახელზე. ჩ. გ. 6015

ახალი აღთქმა

დემიან ბედნის თქმა

სილ. თოდრიას თარგმანი

ფასი **50** კაპ.

იყიდება სახელგამის და „შრომის“ წიგნის მაღაზიებში

(უფ)

ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს ხამარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 2 საათამდე და სალ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. №10

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

ლორთქიფანიძე

ამით აცხადებს, რომ ის 1928 წ. 24 დეკემბერს დღის 2 საათზე № 11 ალაზნის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ლეონ არუთიონოვის სახლს, რომელიც შესდგება ოთხი საცხოვრებელი ოთახისაგან, ორ საკუჭნაოსაგან ნაშენს აგურით, დახურულს თუნუქით შეფასებულს 1.500 მანეთად, საბჭოთა და საქალაქო მუშაკების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 1927 წ. 28 სექტემბრის თარიღით, № 3404 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა ჩატარდება ს. ს. კოდ. 311—312 313 მუხლების დაცვით. 6017

ქ. თბილისის 1-ლი რაიონ სასამართ. აღმასრულებელი

მ. ი. ფირალოვი

აცხადებს, რომ ის 1928 წ. 24 დეკემბერს დღის 1 საათზე სახლში № 14 მოსკოვის შესახვევში **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ერ ქ. ხიზვილების ძარიამი და ლუარსაბის უძრავ ქონებას მთლიანი ნაწილ სახლს: ორ ოთახსა და ერთ სამზარეულოს (ერთ სართულიანი სახლის) შეფასებულს 1000 მან. ეკატერინე ავალიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის სახელმწ. სანოტარო კონტორისა 12 ოქტომბ. 1928 წ. თარიღით, № 231.

6011

თვალის ექიმი

მალაევი

ლებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90.

25—12

ქ. ქუთაისი

ექიმი

თ. ვ. აკოფაშვილი

შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვის ავადმყოფობა.

შრომის ქ. № 7 (ძესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).

1—25

ლოგოპედი

ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132.

13-1 ნ. 1809

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 10—9 ა. 25—19.

დაკარგ. დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 2 ოლღა ტუღუშის სახელზე, ჩ. გ. 6020

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.

ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

4903 25—1

დაკარგ. სამხედრო წიგნაკი № 368 სერაფიონ სირაძეს სახელზე, ჩ. გ. 6010

დაკარგ. მშენებელთა კავშირის წიგნაკი № 14/14728 არჩილ ლომიას სახელზე, ჩ. გ. 6012

დაკარგ. სუფსის კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 184 შალვა ტყკარაძის სახელზე, ჩ. გ. 6012

დაკარგ. მატრიკული № 111, გაცემული სახ. უნ. პოლ. ფაკ. მიერ ალ-რე ცომაიას სახელზე, ჩ. გ. 6013

დაკარგ. პარტიული ბილეთი № 850040 შალვა კახკავას სახელზე, ჩ. გ. 6015

დაკარგ. მშენებელთა კავშირის წიგნაკი № 20263 და საანგარიშო წიგნაკი № 746 გიორგი იოსავას სახელზე, ჩ. გ. 6010

დაკარგ. უმუშევრობის წიგნაკი № 16325 თბილისის დამზღვევ სალაროს მიერ გაცემული გაბრიელ მჭედლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 6021

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 204.